გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: roland.jalagania@mail.ru

№353 (412) 1-8 მარტი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## ალექსანდრე ჭაჭია: ორი წელი გავიდა. სად არის პროგრესი?

გვ. 2-3



## იგორ კეკელია: გერმანელი ავტორები სამეგრელოს შესახებ

გვ.4

## სვიატოპოლკ ჩეხი: მოგზაურობა კავკასიაში

თარგმანი ალ. კაკულიასი

გვ.5

## მამანტი ძაძამია: ქვა-ღორღით ნუ ჩაუხერგავთ გზა-სავალს და ნუ გადაუკეტავთ მომავალს, თანამედროვე და შემდგომ თაობებს, კეთილშობილო ადამიანებო!

გვ.10

## იზა თამაზაშვილი: ევროკავშირთან მიახლოებამ ქვეყნის ბიუჯეტში სარიტუალო მომსახურების ხარჯები გაზარდა

გვ.8



## კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურაია): რენესანსი ლიტერატურაში

რუსთაველი კატეგორიულად მოითხოვს მიჯნურობისა და სიძვის სხვადასხვაობის გაგებას. მთელი პოემის მანძილზე იგი ამტკიცებს თავისი გმირების ქცევაში მიჯნურობისა და სიძვის სხვაობას.

გვ.3



გვ.7

ენგურის ხიდზე გადაადგილება ე.წ. საზღვის გარეშეა შესაძლებელი



## რეალური საფრთხე, რომელმაც შეიძლება ადამიანები დაღუპოს

გვ.11

*კოლხი ადამიანი ბრძანდებით, ბატონო ნარმანია, და ამიტომაც მოგმართავთ გაზეთ “ილორის” ფურცლებიდან, რომლის სახელობის ხატი იფარავს სრულიად საქართველოს. იმედია, რომ შეისწავლით ჩვენს მიერ წარმოდგენილ პრობლემებს და მიიღებთ კანონიერ გადაწყვეტილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუფრთხილებლად დაგატყდებათ თავს ილორის წმინდა გიორგის რისხვა!*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსანდრე ჭაჭია: ორი წელი გავიდა. სად არის პროგრესი?

*(დაიბეჭდა გაზეთში "საქართველო და მსოფლიო", 2014 წლის 20 ოქტომბერს)*

***ცნობილი პოლიტოლოგი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია საქართველოსა და, საერთოდ, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება. ბატონი ალექსანდრე, რომელიც ადრე ოპტიმისტურად იყო განწყობილი, ახალი ხელისუფლების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებს კრიტიკულად აფასებს.***

**– ჩვენი ბოლო საუბრიდან წელიწადზე მეტი გავიდა. ამასობაში საქართველოსა და, საერთოდ, მსოფლიოში ბევრი რამ მოხდა, თუმცა უკრაინის მოვლენები განსაკუთრებით აქტუალურია. თქვენი აზრით, რა მოხდა ამ ქვეყანაში და როგორ განვითარდება იქ მოვლენები?**

– ჩვენ, ქართველებს, ყველაზე უკეთ უნდა გვესმოდეს უკრაინის ტრაგედიის არსი, იმიტომ, რომ 90-იანი წლების დასაწყისში იგივე გადავიტანეთ. სამწუხაროდ, საქართველოს მწარე გამოცდილება ჩვენი უკრაინელი მეგობრებისთვის გაკვეთილად არ იქცა. ფორმალური თვალსაზრისით, კიეველი პოლიტიკოსების ჯგუფმა დასავლეთ უკრაინული დაჯგუფებების დახმარებით განახორციელა სახელმწიფო გადატრიალება – განდევნა კანონიერად არჩეული პრეზიდენტი და მიიტაცა ძალაუფლება დედაქალაქში. მოსახლეობის ნაწილმა მხარი დაუჭირა ამ გადატრიალებას და ლოიალურად მოეკიდა პუტჩისტებს, მაგრამ მნიშვნელოვანმა ნაწილმა, უმთავრესად ქვეყნის აღმოსავლეთში, უარი თქვა ახალი ხელისუფლების აღიარებაზე. მაშინ კიევმა გადაწყვიტა, ძალით დაემყარებინა თავისი იურისდიქცია და ამ რეგიონებს სადამსჯელო რაზმები შეუსია.

დაიწყო სამოქალაქო ომი. ანალოგიური რამ მოხდა საქართველოშიც ოციოდე წლის წინათ, როდესაც თბილისელი პოლიტიკოსების ჯგუფმა სამხედრო დაჯგუფებების მხარდაჭერით დაამხო კანონიერი პრეზიდენტი და მიიტაცა ძალაუფლება (რა თქმა უნდა, არ ვადარებ ზვიად გამსახურდიას კორუმპირებულ ბრიყვ იანუკოვიჩთან). საქართველოს მოსახლეობის ნაწილმა უარი თქვა მოძალადე ხელისუფლების აღიარებაზე და მაშინაც მოსახლეობას დასაშოშმინებლად სადამსჯელო რაზმები შეუსიეს. გაჩაღდა სამოქალაქო ომი. პარალელურად აფხაზეთის მოსახლეობამ განაცხადა: თქვენ, თბილისში, აზრს არ გვეკითხებით, ისე აწყობთ გადატრიალებას, მერე კი ხოცავთ თანამოძმეებს, რომლებიც არ გეთანხმებიან; არ შეგვიძლია თავი უსაფრთხოდ ვიგრძნოთ ასეთ სახელმწიფოში და უარს ვამბობთ თქვენთან თანაცხოვრებაზეო. ომი აფხაზეთზეც გადაერთო და ამ რეგიონის დაკარგვით დასრულდა. ასევე ტერიტორიის დაკარგვით დასრულდება ომი უკრაინაშიც.

**– არანაკლებ თვალშისაცემია 2003 წლის "ვარდების რევოლუციასთან" ანალოგიებიც.**

– შევარდნაძის დამხობას ქართველ საზოგადოებაში პროტესტი არ გამოუწვევია, მაგრამ პოლიტიკური ძალა, რომელიც 2003 წელს საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა, სრულიად იდენტურია ძალისა, რომელიც კიევის მაიდანმა მოიყვანა ხელისუფლებაში. გარე მოხმარების ლოზუნგები – **"უკრაინა – ევროპაა!", "მხარს ვუჭერთ ევროკავშირში შესვლას!", "ჩვენ – დასავლეთის ნაწილი ვართ!"** და სხვა, შეხამებულია შიგა მოხმარების ულტრანაციონალურ ლოზუნგებთან (**"უკრაინა – უკრაინელებისთვის!", "ძირს რუსული ენა!", "რუსები და ებრაელები – სახრჩობელაზე!"** და სხვ.) და ბანდერას, შუხევიჩისა თუ დიდი სამამულო ომის დროს წითელ არმიასთან მებრძოლი ბოევიკების გმირებად წარმოჩენასთან. დასავლური საინფორმაციო საშუალებები, ბუნებრივია, გადასცემდნენ პროევროპულ ლოზუნგებს, მაგრამ არანაირ ყურადღებას არ აქცევდნენ ფაშისტურ მოწოდებებს. საოცარია – მსოფლიო პრესა, რომელიც ფრიად მგრძნობიარეა ანტისემიტიზმის გამოვლინებებისადმი, სრულიად ბრმა და ყრუ აღმოჩნდა ებრაელების განდევნისა და დახოცვის მოწოდებებისადმი უკრაინაში. ეს ისე, – დასავლეთში სიტყვის თავისუფლების საკითხისთვის... ამგვარად, უკრაინული გადატრიალების ლიდერები მოუწოდებდნენ **"ეროვნული სახელმწიფოს"** შექმნის, უცხოტომელების განდევნის, უკრაინული იდენტობის, უკრაინელი ხალხის ტრადიციული ფასეულობების განვითარებისკენ და ამავე დროს კამერების წინ ტლანქად იწერდნენ პირჯვარს მართლმადიდებლურ ტაძრებში და მღვდლებისგან კურთხევას იღებდნენ. რა მიიღეს შედეგად უკრაინელებმა? – პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, ვიცე-პრემიერები, უმსხვილესი რეგიონების გუბერნატორები ეთნიკური ებრაელები გახდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრი სომეხია; პარლამენტის თავმჯდომარე – მართლმადიდებლების მოძულე ბაპტისტი; ოპოზიციის ძირითად ლიდერს – ტიმოშენკოსაც კი წვეთი სისხლი არ ურევია უკრაინული. ეს არ არის კაზუსი, ეს არ არის შემთხვევითობა. ეს კანონზომიერებაა ყველა იმ გადატრიალებისთვის, რომლებიც ამერიკული სპეცსამსახურების ხელმძღვანელობით ხორციელდება. გაიხსენეთ სააკაშვილის ხელისუფლება: ეთნიკური ქართველები მასშიც უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენდნენ. თითქმის არც ერთი მთავარი ფიგურა არ იყო ქართული წარმომავლობის, მაგრამ ქვეყნის შიგნით ისინიც ფართოდ იყენებდნენ ადამიანების ეროვნულ გრძნობებს, ნაციონალურ რიტორიკას, ისევე მოუქნელად ანთებდნენ საყდრებში სანთლებს, როგორც მათი უკრაინელი კოლეგები, საკუთარ პარტიასაც კი **"ნაციონალური მოძრაობა"** დაარქვეს, მაშინ, როდესაც სინამდვილეში პირწავარდნილი კოსმოპოლიტები, გლობალისტები, ეროვნული თვითშეგნების ნებისმიერი ფორმის დაუძინებელი მტრები არიან. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ისინი მიზანმიმართულად დევნიდნენ ქართული ეროვნული იდენტურობის ნებისმიერ გამოვლინებას, ამცირებდნენ და შეურაცხყოფდნენ ჩვენი ერის ტრადიციულ სულიერ ფასეულობებს, ყველაფერს აკეთებდნენ მართლმადიდებლობის დისკრედიტაციისთვის, ფართო გასაქანი მისცეს ერის სულიერი ერთობის გამხრწნელ სხვადასხვა ჯურის რელიგიურ სექტებს. ეს ყველაფერი ჩვენ გამოვიარეთ, ახლაც განვიცდით შედეგებს და ყოველივე ეს, ისევე, როგორც ქვეყნის დაშლა, ელოდება უკრაინასაც.

**– რატომ მოჰყავთ ამერიკელებს ხელისუფლებაში არამკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები?**

– იმიტომ, რომ ასეთ მარიონეტებს არ ადარდებთ მკვიდრი მოსახლეობა და მზად არიან, ნებისმიერი, ყველაზე სასტიკი ექსპერიმენტებიც კი, ჩაატარონ ამ მკვიდრ მოსახლეობაზე; მზად არიან, პატრონების ინტერესებიდან გამომდინარე, გამოიყენონ ქვეყანა ნებისმიერი საერთაშორისო ავანტიურის მოსაწყობად. ყველა ნორმალური ადამიანისთვის ცხადია, რომ ევროკავშირში, **ნატო**-ში შესვლა ბლეფია, მოსახლეობის მოტყუებაა, მაგრამ ეს სისხლიანი ბლეფია, რომელსაც საზოგადოების გახლეჩა, სისხლისღვრა და ქვეყნის დაშლა მოჰყვება.

ასე მოხდა საქართველოში, მოლდოვაში, ახლა იგივე ხდება უკრაინაში. განა ნამდვილი პატრიოტი, ერისკაცი ამაზე წავა? ამიტომაც არჩევენ მკვიდრი მოსახლეობისგან ეთნიკურად, სულიერად უცხო ადამიანებს, გარკვეული ფსიქიკური და ფიზიკური გადახრებით, მათ შორის, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციით. ასეთები პატრონებისადმი განსაკუთრებულად ერთგულები არიან, რადგან იციან, რომ მთლიანად მათ ნებაზე არიან დამოკიდებულნი; კურატორების მზრუნველობის გარეშე ამ პირებს არ აქვთ არანაირი შანსი, გახდნენ პოლიტიკური ან სახელმწიფო მოღვაწეები. დააკვირდით იაცენიუკს ან ტურჩინოვს: შეიძლება ასეთი ინტელექტისა და იერის ადამიანები ქვეყნის ლიდერები გახდნენ? როგორც ირკვევა, შეიძლება, თუკი ასეთია **აშშ**-ის ნება. დააკვირდით იმავე სააკაშვილის სახელისუფლო გუნდის შემადგენლობას – ჩვენი ნება რომ ყოფილიყო, დამოუკიდებელი არჩევანი რომ გვქონოდა, რომელიმე მათგანს ავირჩევდით ქართველები რაიმეს ხელმძღვანელად?

**– ასეა თუ ისე, მოსახლეობა იღებს ამ ტიპის მარიონეტებს. გონების მასობრივი დაბინდვა, ეროვნული ღირსების გაქრობა, რაიმე ძალისადმი ბრმა მორჩილება... რა არის ამის მიზეზი?**

– არ ვიცი, ეს ჩემთვისაც გამოცანაა. უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმების 9 პროცენტამდე მიიღო ცნობილმა ჰომოსექსუალმა ლიაშკომ, რომელსაც რადიკალი უკრაინელი ნაციონალისტის როლი აქვს მიკუთვნებული, ანუ უკრაინის თითქმის ყოველ მეათე ამომრჩეველს სურდა, თავის პრეზიდენტად ოფიციალური პედერასტი ეხილა! ეს არც ამერიკის შეერთებული შტატებია, არც საფრანგეთი და არც ჰოლანდია, ეს უკრაინაა – ტრადიციული, ძირითადად, მართლმადიდებელი ქვეყანა. შინაგან საქმეთა ორგანოები, შინაგანი ჯარები თავის მინისტრად ეგუებიან პედოფილსა და ჰომოსექსუალ ავაკოვს. რით შეიძლება ეს აიხსნას? – არ ვიცი.

როგორ შეიძლება აიხსნას, რომ ანალოგიური ყაიდის ადამიანებს ჩვენ, ქართველები, ვითმენდით და დღემდე ვითმენთ ხელისუფლებაში?

**– პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ქართველებს ასეთი დიაგნოზი დაგვისვა: "გონებრივი სისუსტე მსუბუქი დებილობის ფორმით... ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისთვის შესაფერისი აზროვნება – აი, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა!"**

– მგონი, ეს უნიკალური შემთხვევაა, როდესაც პრეზიდენტი საკუთარ ხალხს ასე ახასიათებს. პრეზიდენტმა, ალბათ, საკუთარი თავი აღწერა... ძალიან ჰგავს მას. ისე კი, მიჩნეულია, რომ პრეზიდენტი ერის სახეა, ალბათ, მარგველაშვილიც ასე მიიჩნევს და ამიტომაც ერის სახე საკუთარის შესაბამისად აღწერა. – სერიოზულად რომ ვთქვათ, ხალხმა ხომ ის აირჩია, მანამდე ასევე აირჩია მიხეილ სააკაშვილიც... საქართველოს ყოველ ხელისუფლებას მოსახლეობა ისეთ მდგომარეობამდე მიჰყავს, რომ ხალხი მზადაა, ხმა მისცეს ნებისმიერს, ვინც მოაშორებს ამ ხელისუფლებას.

ასე იყო სააკაშვილის მიმართ, ასე იყო ივანიშვილის მიმართაც. რაც შეეხება მარგველაშვილს, მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის, თუ არ ვცდები, მხოლოდ 15 პროცენტმა. ხალხი არჩევნებზე არ მივიდა. ამ პრეზიდენტის ლეგიტიმურობა ძალიან დაბალია, ხოლო მორალური ლეგიტიმურობა, საერთოდ, არ გააჩნია. ადამიანებმა ხმა მისცეს ცარიელ ფუტლარს, მხოლოდ იმიტომ, რომ ივანიშვილმა ასე მოითხოვა.

მარგველაშვილის არჩევა – ეს, რა თქმა უნდა, ივანიშვილის პირადი ავანტიურაა, ისევე, როგორც რესპუბლიკური პარტიის ხელისუფლებაში მოყვანა. ეს პარტია დღეს რეალურად მართავს პარლამენტს. როგორც ჩანს, ივანიშვილი იმედოვნებდა, რომ მოსახლეობაში ავტორიტეტის არმქონე პრეზიდენტი და პარლამენტი მთლიანად მასზე დამოკიდებული და ადვილად სამართავი იქნებოდა. ამაში იგი შეცდა და კიდევ არაერთხელ დარწმუნდება, რომ შეცდომა დაუშვა. საერთოდ, ხელისუფლების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით საქმე ძალიან ცუდად გვაქვს.

ხალხი ეძებდა მხსნელს და იპოვა იგი ივანიშვილის სახით, ხმაც, შესაბამისად, მხოლოდ მას მისცა. ივანიშვილმა კი თან მოიყვანა ადამიანები ნულოვანი რეიტინგით, შემდეგ კი ხელისუფლებიდან წავიდა და მოსახლეობა ბუტაფორიულ პრეზიდენტსა და **"ნაციონალ-რესპუბლიკელების"** პარლამენტს შეატოვა. ნუგეშად თქვენც და საკუთარ თავსაც ისღა შემიძლია ვუთხრა, რომ სუსტი, სამარცხვინო ტიპები ხელისუფლებაში მარტოდენ საქართველოს უბედურება როდია. გადახედეთ ევროპელ ლიდერებს – საფრანგეთში ერთი მასხარა მეორეს ცვლის. ბრიტანელი კემერონი, ბლერი, მეიჯორი, ბრაუნი წვრილფეხა კლერკის ინტელექტის მქონე უბადრუკი მარიონეტები არიან. ევროპაში სადმე ხედავთ ძლიერ ეროვნულ ლიდერს? გერმანია ოკუპირებული ქვეყანაა, რომელიც თავის ოქროს მარაგსაც კი აშშ-ში ინახავს და ვინც უნდა აირჩიონ გერმანელებმა, ვერავინ შეძლებს, თავი დააღწიოს ამერიკელების კონტროლს. აღმოსავლეთ ევროპის მარიონეტულ რეჟიმებზე, საერთოდ, არაფერს ვამბობ, მათი ლიდერები, უბრალოდ, სასაცილონი არიან. ამიტომაც შეიძლება, გავუგოთ პრეზიდენტ პუტინს, რომელიც ამ ევროპელ ლიდერებს უყურებს, როგორც საწყალ ფინიებს. იგი, რა თქმა უნდა, სამი თავით მაღლა დგას, ვიდრე ყველა ეს ლიდერი, ერთად აღებული. მსოფლიოს მართავს საერთაშორისო ფინანსური კაპიტალი, მას ძლიერი ეროვნული ლიდერები არ სჭირდება. ამერიკაშიც კი კაპიტალს პრეზიდენტებად კლოუნები მოყავს. მთელი მსოფლიო, ამერიკელების ჩათვლით, დასცინოდა ბრიყვ ბუშს (ჩვენც დაგვცინოდნენ, როდესაც მისი სახელობის ქუჩა გავხსენით), დღეს დასცინიან უბედურ ობამას.

ლიდერების დეგრადაცია, თავისთავად იწვევს პოლიტიკური ელიტების დეგრადირებას. თვითონ ამერიკელები ქვეყანაში ყველაზე დიდ სულელებად პრეზიდენტ ბუშს, თავდაცვის მინისტრ რამსფელდსა და ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის ასახელებდნენ. დღეს მათი ადგილი ჯო ბაიდენმა დაიკავა.

დააკვირდით საშინელ, გულისამრევ ქალებს, რომლებიც აშშ-ის დღევანდელი საგარეო პოლიტიკის სახეს წარმოადგენენ: სელესტ უოლანდერი, ვიქტორია ნულანდი, ჯენიფერ ფსაკი, მარი გარფი. ოპოზიცია კი ვინ არის? – ჯონ მაკკეინი და სარა პეილინი. ნახეთ, რა ინტელექტუალური უბადრუკობაა. მაგრამ ეს ყველაფერი არაა იმდენად სასაცილო, რამდენადაც საშიში. **აშშ**-ის დღევანდელი ხელმძღვანელობა – ეს იგივეა, რაც მაიმუნი ხელყუმბარით ხელში.

**– საქართველოში იზრდება ამჟამინდელი ხელისუფლებით უკმაყოფილება. საგარეო პოლიტიკაში, ფაქტობრივად, სააკაშვილის კურსი გრძელდება, ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება, ემიგრაციის ტემპი არ მცირდება...**

– ხელისუფლებისგან არ უნდა ველოდოთ იმას, რისი გაკეთებაც არ შეუძლია. საქართველოს საგარეო პოლიტიკა არ შედის საქართველოს ხელისუფლების კომპეტენციაში. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გადაბჟირდებიან, საქართველოს ხელმძღვანელობის რაიმე საგარეოპოლიტიკურ ინიციატივას რომ მოკრან ყური. ეროვნული ეკონომიკა არ გვაქვს, იგი განადგურდა ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში, ხოლო ნარჩენებს სააკაშვილმა მოუღო ბოლო. ყველა იმაზე შფოთავდა, რომ სააკაშვილმა ვიღაც გომბიო, რომელსაც მხოლოდ მამამისის თონის მართვის გამოცდილება ჰქონდა, ქვეყნის ეკონომიკის მინისტრად დანიშნა. როდესაც არ გაქვს ეკონომიკა და არც მისი აღორძინების პერსპექტივები, ეკონომიკის მინისტრობას გაწვრთნილი მაიმუნიც შეძლებს. ეკონომიკა – ეს არის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა განვითარებული შიდა ბაზრითა და კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციით.

ასეთი ეკონომიკის შესაქმნელად საჭიროა მსხვილი და გრძელვადიანი, გასაღების კონკრეტულ ბაზარზე ორიენტირებული ინვესტიციები. დასავლეთის ქვეყნები კი მხოლოდ კრედიტებს იძლევიან მათთვის სასურველი ხელისუფლების მხარდასაჭერად, რაც კიდევ უფრო ზრდის ეროვნულ ვალს, ხოლო დასავლური ბიზნესი ჩვენში ინვესტიციებს არ დებს, რადგან იცის, რომ პოლიტიკურ დასავლეთს საქართველო სჭირდება, როგორც რუსეთთან ბრძოლის ინსტრუმენტი და, როგორც კი გადაწყდება ამ ინსტრუმენტის რუსეთის წინააღმდეგ ამოქმედება, ინვესტიციებს ომის ქარცეცხლი შთანთქავს. ბოლო მოვლენების ფონზე ასევე ფიქრობს რუსული ბიზნესიც. ამიტომაც ივანიშვილისა და მისი გუნდისგან ეკონომიკაში გლობალურ პოზიტიურ ძვრებს არ უნდა ველოდოთ. ამ უიმედო საქმეში ის თავის მილიარდებს არ ჩადებს, თუმცა, პროფესიონალები რომ ყოფილიყვნენ, ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, შეეძლო, შიდა რესურსებზე დაყრდნობითაც კი ოდნავ მაინც გაეუმჯობესებინა ეკონომიკური ვითარება ქვეყანაში.

**– რიგი ექსპერტებისა მიიჩნევს, რომ, უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა გააუარესებს ეკონომიკურ ვითარებას ქვეყანაში...**

– მე ასე არ მიმაჩნია. ასოცირების ხელშეკრულება დაანგრევს უკრაინის ეკონომიკას, ქვეყანა დაკარგავს თავის მრეწველობას, განსაკუთრებით კი მაღალტექნოლოგიურ დარგებს, გარდაუვალია მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაცემა. ამ ყველაფერს, როგორც წესი, მოჰყვება მსხვილი სამეცნიერო კოლექტივების დაშლა, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრების მოშლა და სხვ.

*(გაგრძელება მე-3 გვერდზე)*

# პრენესანსი საქართველოში — შოთა რუსთაველი

რუსთაველი კატეგორიულად მოითხოვს მიჯნურობისა და სიძვის სხვადასხვაობის გაგებას. მთელი პოემის მანძილზე იგი ამტკიცებს თავისი გმირების ქცევაში მიჯნურობისა და სიძვის სხვაობას. მიჯნურობისათვის დასაშვებია სიძვა, მაგრამ, სიძვას არ შეუძლია შეცვალოს მიჯნურობა. რუსთაველის გმირები — ავთანდილი და ტარიელი სიძვაზე უარს არ ამბობენ. ფატმან ხათუნთან ავთანდილი დროს ატარებს — ჰკოცნის და ეალერსება ვაჭრის ცოლს, ასრულებს მის დავალებას, მაგრამ მას **"ჰკლავს თინათინის გონება"**. იგი თინათინის მოგონებაშია, თინათინს ვერვინ შეცვლის, რადგან ავთანდილს **"ერთი უჩანს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობს"**. ასეთივეა ტარიელი, როდესაც მას მოახსენეს, ვიღაც ქალი მოვიდაო, მან მოკლედ უპასუხა: **"ჩემგან არის ნახმობი"**. რუსთაველის აზრით დროგამოშვებით მიჯნურისათვის დასაშვებია ხორციელი გატაცება, თუმცა **"კარგი მიჯნური იგია, ვინც იქმს სოფლისა თმობასა"** (26). რუსთაველს **"სოფლის თმობა"** დამახასიათებელ თვისებად მიაჩნია კარგი მიჯნურისათვის, მიჯნურის გული გატაცებული უნდა იყოს ერთი სახით, **"გული ერთსა დააჯეროს"**. სოფლად ყოფნა, ქვეყნად დარჩენა საშიშია მიჯნურისათვის, რადგან სოფელს თავისი მრავალნაირი შემთხვევებით შეუძლია ჩააქროს გატაცების, ექსტაზის ცეცხლი, შეუძლია შეცვალოს მიჯნურის გრძნობა და მისი გამომწვევი ობიექტი.

სწორედ ამიტომ არის გაჭრილი ველად ტარიელი. იგი მოშორდა სოფელს, მის სიამოვნებას, ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობას, მოშორდა ცდუნებასა და **"მტლაშა-მტლუშს"**, რათა მუდმივ, შეუსვენებლივ იყოს ნესტანის მოგონებაში. ველური ბუნება, მინდორ-ველი, წყლის პირსა და მხეცებს შორის ხეტიალი ტარიელს ესაჭიროება, რომ ნესტანის სახე მის წარმოდგენაში არ შეავიწროვოს რომელიმე სხვა სახემ. რუსთაველი აქ გვესაუბრება, როგორც დიდი მეცნიერი და ადამიანის სულის მცოდნე. ერთი სახით გატაცება იწვევს ადამიანში ნების მიმართვას ერთი გარკვეული მიმართულებით, ერთი ტენდენციით. რუსთაველი სასტიკი წინააღმდეგია დაბნეული და უსისტემო ქცევისა. ყოველი აზრი, ყოველი ქმედება რუსთაველის გმირებისა ყოველთვის გარკვეულ სისტემაშია მოქცეული. მაგრამ სისტემა შექმნილია მიზანდასახულობით, ხოლო ყოველგვარი მიზანდასახულობა იწვევს გატაცებას, გატაცება კი — ნებისა და მოქმედების მიმართებას. გატაცების ხანგრძლივობით განიზომება მიჯნურობისა და პოეზიის განცდა. სწორედ ამიტომ ამბობს რუსთაველი ასე მკვეთრად: **"მოშაირეც არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად"** (17). მაშასადამე, შაირობა, პოეტობა მოითხოვს გამიჯნურებას, განცდისა და განწყობილების გასაგნებას. ეძებს რა მთლიანი ადამიანის ტიპს, იხედება რა დიდი ინტუიციით და შინაგანი ხილვით ადამიანის სულში, რუსთაველი გვესაუბრება როგორც დიდი ფსიქოლოგი: წარმოდგენაში სახე იძლევა მიმართებას ადამიანის ქცევისას,— აი, დედააზრი რუსთაველის შეხედულებისა პოეზიისა და სიყვარულის შესახებ. რადგან წარმოდგენაში სახე იმდენ ხანს რჩება, ამდენ ხანსაც მის დარჩენას მოითხოვს ჩვენი არსებობის ინტერესი, რუსთაველი გენიოსურად იხედება ადამიანის სულის სიღრმეში, სადაც ორგანულად უკავშირდებიან ერთმანეთს სახე და ინტერესი. რუსთაველის გმირები ყოველთვის დაინტერესებული ადამიანები არიან. გმირების სულიერი განწყობილება ფეხდაფეხ მიჰყვება მათი ინტერესის მიმართულებას, ხოლო ინტერესი რეალურად ჩნდება ადამიანის და გარემოს ურთიერთობაში. ზეიმია თინათინის გამეფების გამო. დიდი მხიარულების დროს როსტევანი უცბად მოიწყენს, რადგან წარმოიდგენს, რომ მისებრ გულადი და მარჯვე მსროლელი, მისი სიკვდილის შემდეგ არვინ დარჩება სახელმწიფოში. იწყება ნადირობა ავთანდილის გამოსაცდელად, გარკვეული მიზნით დაინტერესება იწვევს სანადიროდ გამგზავრებას. მაგრამ ნადირობის დროს ადამიანები მოექცევიან სხვა გარემოში. აქ ადგილი აქვს სხვა ურთიერთობას ადამიანებსა და გარემოცვას შორის. იბადება ახალი ინტერესი. მეფე გატაცებულია ახალი საქმით. მას სურს გაიგოს ვინ იყო ის მოყმე, წყლის პირას რომ იჯდა და ტიროდა. მეფეს აწუხებს, რომ ვეფხისტყაოსანი გაიქცა; ამრიგად, ინტერესი და საგნობრივი გატაცება, მათ შორის ადამიანთა ქცევისა და ხასიათის გაშლა, — აი, რა გამოიყურება რუსთაველის პოემის შესავლიდან. ნამდვილად პოემა იწყება სწორედ იქ, სადაც როსტევანი პირველად დაინახავს წყლის პირას მჯდომ და მტირალ ტარიელს.

ფაბულა და სიუჟეტი რუსთაველს შერჩეული აქვს თავისი ესთეტიკურ-ფილოსოფიური მიზანდასახულობის მიხედვით: რუსთაველის, როგორც შემოქმედის პიროვნებაში გაერთიანებულია მოაზროვნე და მხატვარი. დაკვირვების შედეგად ვგრძნობთ, რომ რუსთაველი, როგორც მხატვარი, იდეალურად ემორჩილება და ამსახურება რუსთაველს, როგორც მოაზროვნეს. რუსთაველი ტიტანურად გამოიყურება, როგორც თავისი აზროვნებით, ისე მეტყველებით. მთელი პოემა უმშვენიერესი გამარჯვებაა აზროვნებისა და პოეზიის. დაწყებული შესავლით და დამთავრებული ბოლოსიტყვაობით, რუსთაველის პოემაში ცხოვრების უღრმესი ფილოსოფია შეწყობილია უმშვენიერეს მეტყველებასთან. მთელ პოემაში ყურადღებას იქცევს აზროვნებისა და მეტყველების განსახეობის შეუდარებელი თავისუფლება: აზრები და სიტყვები ერთმანეთს ევლებიან, ერთმანეთს შველიან, ერთმანეთს ემსახურებიან ადამიანის მთელი ბუნების გამოვლენაში.

უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს პოემის აგებულება და მოქმედ პირთა ტიპოლოგიური სხვადასხვაობა. რუსთაველის გმირები ერთგვარი სისტემით არიან დახასიათებულნი და ეს სისტემა ისე თვალსაჩინოა მთელ პოემაში, რომ რუსთაველის მთავარი გმირების ხასიათებით შეიძლებოდა პოემის პროპორციის დადგენა. **"ვეფხისტყაოსანში"** ოთხი მთავარი გმირია — ორი ქალი და ორი კაცი. ესენი არიან ნესტან-დარეჯანი, თინათინი, ტარიელი და ავთანდილი. დანარჩენები — როსტევანი, ფარსადანი, სარიდანი, ასმათი, დავარი, მელიქ-სურხავი, ფატმანი, უსენი და სხვა მეორეხარისხოვანი მოქმედი პირნი არიან. მთელი **"ვეფხისტყაოსანი"** დაწერილია იმისათვის, რომ მწერალმა გვიჩვენოს ამ ოთხი ტიპის ბედი და თავგადასავალი. როგორია ამ ტიპების ტიპოლოგიური ურთიერთობა და რა სისტემით არიან ისინი მოცემული პოემაში? ჩვენი ღრმა რწმენით, **"ვეფხისტყაოსანი"** დაწერილია ამ სისტემისათვის, ამ მიზნით მხატვრული განვითარებისათვის. დასაწყისში ყურადღებას იქცევს ის, რომ თინათინსა და ნესტანს შორის განსხვავება ისეთივეა, როგორიც ავთანდილსა და ტარიელს შორის. ტიპოლოგიურად ქალები ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ვაჟები. ამ სხვადასხვაობაშია ახსნილი ადამიანის **"მე"** თავისი ყოველდღიური ქცევითა და ნებისყოფის ფორმებით. ტიპოლოგიურად თინათინი ჰგავს ავთანდილს, ხოლო ნესტან-დარეჯანი — ტარიელს. ადამიანის **მე** მეცნიერულ-ფილოსოფიური ანალიზით ერთ შემთხვევაში მოცემულია სიჭარბით, ძლევით გრძნობისა (ნესტანი, ტარიელი), მეორე შემთხვევაში ტიპოლოგიურად მოცემულია სიჭარბე, ძლევა გონებისა, ინტელექტისა (თინათინი, ავთანდილი). ამ ოთხი ტიპის სახეებით მოცემულია ადამიანის მეობის ორი დიდი მხარე — ემოცია და ინტელექტი. ნესტანი და ტარიელი ემოციური დომინანტის ტიპები არიან, თინათინი და ავთანდილი — ინტელექტუალური დომინანტის ტიპები. ნესტანსა და ტარიელში გონებას იმორჩილებს ემოცია, თინათინსა და ავთანდილში ინტელექტი იმორჩილებს ემოციას. ამ ტიპების ნებისყოფა და ქცევა ყოველთვის ემოციისა და ინტელექტის ერთმანეთთან ბრძოლის შედეგია. თინათინსა და ავთანდილში ინტელექტი იმორჩილებს ამოციას და ამიტომ მათი ქცევა, მათი ნებისყოფა, ცხოვრების სხვადასხვა პირობებში, ასე გამჭრიახი და თავისუფალია. ნესტანსა და ტარიელში ემოცია იმორჩილებს ინტელექტს და ამიტომ მათი ქცევა, ხასიათი მუდმივ ტყვეობაშია. სიყვარული, როგორც ბუნების სტიქია, ამ ტიპოლოგიურ სხვადასხვაობაში სხვადასხვანაირად ვლინდება. პოემის მთელ ფაბულაში თინათინისა და ავთანდილის ხელმძღვანელია ინტელექტი, ნესტანი და ტარიელი კი ვნებათა ღელვის ტიპებია; მათი ნებისყოფა შებოჭილია ემოციებით. დამახასიათებელია ტარიელის თქმა: **"...ქმენ გულისა, რა გინდა, ვინ გივაზიროს"** (880).

საგულისხმოა გონებრივი და ზნეობრივი კულტურა, თავდაჭერა თინათინისა მთელ პოემაში, განსაკუთრებით მამასთან და ავთანდილთან ურთიერთობაში. როსტევანი ნადირობიდან მოწყვეტილი ბრუნდება შინ, ზის ავთანდილთან ოთახში, თინათინი მივა კარებთან, მაგრამ როცა მოახსენებენ — მეფე **"დაღრეჯილიაო"**, უკან ბრუნდება, ვერ შედის მამასთან. როდესაც მამა თვითონ დაიბარებს, თინათინი მას აძლევს მშვენიერ რჩევას წყლის პირას მტირალი მოყმის მონახვისათვის. ბოლოს ხომ მაინც თინათინის წინადადებით მიდის ავთანდილი უცნობის საძებრად.

**კონსტანტინე კაპანელი**

*(გაგრძელება იქნება)*

# ალექსანდრე ჭაჭია: ორი წელი გავიდა. სად არის პროგრესი?

*(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)*

უკრაინისთვის ეს ნამდვილი კატასტროფაა, ხოლო საქართველოსა და მოლდოვისთვის ბევრი არაფერი შეიცვლება. ის კატასტროფა, რომელიც უკრაინას ელის, ჩვენ უკვე გამოვიარეთ. ერთ დროს აყვავებული მოლდოვა მილიონზე მეტმა მოქალაქემ დატოვა, მათგან 700 ათასი რუსეთში მუშაობს; ისინი სამშობლოში ყოველწლიურად 2 მილიარდამდე დოლარს აგზავნიან, რაც მოლდოვის **მშპ**-ს 30 პროცენტს შეადგენს. ეს ღატაკი ქვეყანაა.

საქართველოშიც და მოლდოვაშიც ეკონომიკა, როგორც ასეთი, არ არსებობს, აქედან გამომდინარე, მოშლაც არაფერს ემუქრება. სხვა საქმეა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება საბოლოოდ ასამარებს ეროვნული ეკონომიკის აღორძინების პერსპექტივას. წარმოიდგინეთ, რომ მოხდა სასწაული და საქართველოში მოვიდა მთავრობა, რომელიც ეროვნული ეკონომიკის აღდგენაზე იქნება ორიენტირებული. ასოცირების შესახებ ხელშეკრულების პირობებში მას ამის გაკეთება უკიდურესად გაუჭირდება, მეტიც, ეს შეუძლებელი იქნება. ძლიერი ეროვნული ეკონომიკა ორიენტირებულია ექსპორტზე და შიგა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას, რომლის ექსპორტზე გატანაც შესაძლებელი იქნება, ევროპა არ დაუშვებს — კონკურენტები არავის სჭირდება, ხოლო შიდა ბაზარს იაფიანი უცხოური პროდუქცია წალეკავს — ეს ჩიხია!

**— სამაგიეროდ გვეტყვიან, რომ ეს არის მორიგი დროებითი სირთულე ევროპისკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ, როდესაც ევროკავშირში მიგვიღებენ, ზღაპრული ცხოვრება გვექნებაო...**

— კი, ევროკავშირში შესვლის შესახებ ბოდვის მოსმენა დიდხანს მოგვიწევს... ისე, ცუდი არ იქნებოდა, თუნდაც გაზეთებს (ტელევიზიაში ეს შეუძლებელია) გაეშუქებინათ რეალური ცხოვრება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებიც, დიდი ხანია, **ნატო**-შიც მიიღეს და ევროკავშირშიც. რუმინეთში, მაგალითად, დახურულია ყველა მსხვილი სამრეწველო საწარმო, უმუშევრობა 40 პროცენტს აჭარბებს, ხოლო ქვეყნის საგარეო ვალი — 50 მილიარდ დოლარს. უკვე წლებია, ერთი გაუპარსავი ყურპანტურა ბულგარელი გვასწავლის, საქართველოში როგორ უნდა ვიცხოვროთ და როგორ უნდა მოვიქცეთ ევროკავშირში მოსახვედრად. მას, სამწუხაროდ, არავინ ჰკითხა, რატომ არის ასეთ სავალალო მდგომარეობაში მისი მშობლიური ბულგარეთი, რომელიც **ნატო**-ს წევრიც არის და ევროკავშირისაც და სადაც სიდუხჭირის გამო მთავრობები ლამის წელიწადში ორჯერ იცვლებიან. ამას წინათ მოვუსმინე, როგორ ამუნათებდა ევროკავშირის სიკეთეებით ქართველებს ლატვიის პრეზიდენტი. თუკი მართლა ასეა, მაშინ რატომ გაექცა ამ სიკეთეს ევროკავშირის წევრი ლატვიიდან მოსახლეობის თითქმის მესამედი?

განა გარბის აყვავებული ქვეყნიდან მოსახლეობა საშოვარზე სხვა ქვეყნებში? დამუნათებას ის ურჩევნია, დაგვისახელოს ერთი მსხვილი საწარმო მაინც რომელიც ლატვიაში გადარჩა.

**— ბრძანეთ, რომ ომის შედეგად უკრაინა დაკარგავს ტერიტორიებს. ყირიმი უკვე დაკარგულია, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქები გაქვთ მხედველობაში?**

— არა მხოლოდ. უკრაინას დაშლა ელის. აქ ისევ იკვეთება პარალელები ჩვენს უახლეს ისტორიასთან. უკრაინის აღმოსავლეთმა მოითხოვა ქვეყნის ფედერალიზაცია, მაგრამ ხისტი უარი მიიღო.

დღეს ფედერალიზაციაზე საუბარი უკვე აღარ არის: აღმოსავლეთი გამოყოფას ითხოვს. იგივე მოხდა ჩვენთანაც: აფხაზური მხარე ფედერალიზაციას გვთავაზობდა ომამდეც, ომის პერიოდშიც და ცოტა ხანს ომის შემდეგაც, მაგრამ უარი მიიღო; დღეს კი ამაზე საუბარიც სასაცილოა.

რაც შეეხება ყირიმს, ისტორია ხომ ყველამ იცის: არამზადა ხრუშჩოვმა 1954 წელს მომავალ ანტისტალინურ კამპანიაში უკრაინული პარტაქტივის მხარდაჭერის სანაცვლოდ, ყირიმი უკრაინას აჩუქა. ამასთანავე, ეს უკანონოდ, სსრკ-ს კონსტიტუციის დარღვევით გააკეთა ისე, რომ უმაღლეს საბჭოს შესაბამისი დადგენილებაც არ მიუღია. ყირიმელები, მათი ძირითადი ნაწილი, თავს უკრაინელებად არასდროს მიიჩნევდნენ, რეფერენდუმის შედეგებიც ამის დასტურია.

სხვათა შორის, ყირიმის რეფერენდუმი ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრეცედენტია პოსტსაბჭოთა სივრცეში. თუკი ოდესმე საქართველოს გონიერი ხელისუფლება ეყოლება, იგი ამ პრეცედენტზე დაყრდნობით, რა თქმა უნდა, რუსეთის მხარდაჭერით, შეძლებს, მოითხოვოს ანალოგიური რეფერენდუმის ჩატარება გალის რაიონში.

**— ყოველთვის ოპტიმისტურად უყურებდით აფხაზეთის პრობლემას. ამ საკითხზე რეგულარულად გამოდიოდით პრესაში წინადადებებით. დღეს ეს ოპტიმიზმი აღარ ჩანს...**

— განა ვინმემ გამოიყენა ეს წინადადებები? ხელისუფლებამ ისინი არც განიხილა. ეს ხომ საგარეო პოლიტიკის, რუსეთთან ურთიერთობის საკითხებია, რომლებიც უკვე ამერიკელი კურატორების კომპეტენციაა და საქართველოს ხელისუფლებას არავინ არაფერს ჰკითხავს. ჩვენ ბევრჯერ გვქონდა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარების შანსი. როგორც ბაღაფშის, ასევე ანქვაბის პრეზიდენტობისას, მაგრამ შევარდნაძემ და სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მოესპოთ ეს შანსები, რადგან ამ საკითხში პროგრესი ნიშნავდა საქართველოს ნეიტრალურ სტატუსს და რუსეთთან დაახლოებას, ამერიკელებს კი ეს არ სჭირდებოდათ. ძალიან კარგი და, ვფიქრობ, უკანასკნელი შანსი გაგვიჩნდა ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლისას. რატომღაც მეგონა, რომ მისგან დადებული პირობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თაობაზე, არ იყო უბრალო წინასაარჩევნო ლაყბობა, რომელიც წინამორბედი ორივე პრეზიდენტისგან სისტემატურად გვესმოდა და რომლისგანაც ყველანი დავიღალეთ. მაგრამ ივანიშვილმა და მისმა მთავრობამ განუხრელად გააგრძელა წინამორბედთა პოლიტიკა, საქართველომ დაკარგა უკანასკნელი შანსი და მეც კი, ამ საკითხში გამოუსწორებელმა ოპტიმისტმა, დავკარგე ყოველგვარი იმედი. დღეს აფხაზეთის ხელისუფლებაში მოვიდნენ ძალები, რომლებთანაც რამენაირ დაახლოებაზე საუბარი ამაოა. თუკი წინამორბედ პრეზიდენტებთან შემეძლო თავისუფლად, ორმხრივი ინტერესით, ურთიერთგაგების სურვილით განმეხილა ჩვენი დაახლოების პროექტები (არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათთან მრავალწლიანი პირადი მეგობრობა მაკავშირებდა), ახალ ხელმძღვანელობასთან არც კი შევეცდები ამის გაკეთებას.

**— საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს მოსახლეობის დარწმუნებას, რომ აფხაზეთს დაიბრუნებს...**

— როდესაც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ, დაგვპირდნენ, რომ 2 წელიწადში მიაღწევდნენ მნიშვნელოვან პროგრესს. ორი წელი გავიდა. სად არის პროგრესი? ალბათ, ეს 2 წელი საკრალური ვადაა, როგორც შევარდნაძისა და სააკაშვილის, ასევე ამჟამინდელი მთავრობისთვისაც. ყველანი გვპირდებოდნენ და გვპირდებიან აფხაზეთის საკითხის 2 წელიწადში გადაწყვეტას. როგორც ჩანს, ამერიკულ პიარინსტრუქციაში უწერიათ: **"დავპირდეთ, რომ 2 წელიწადში აფხაზეთს დავიბრუნებთ"**. ინსტრუქცია შესაცვლელია. არ შეიძლება, 20 წლის განმავლობაში ერთი და იგივე იძახო.

მართალია, სააკაშვილის პერიოდში ამ ინსტრუქციაში დამატება შევიდა: **"ჩვენ ავაშენებთ ისეთ აყვავებულ ქვეყანას, რომ აფხაზი და ოსი ძმები აქეთ შეგვეხვეწებიან, დაგვაბრუნეთ საქართველოს შემადგენლობაში"**.

ამ ბოდვას იმეორებს ამჟამინდელი მთავრობაც. სხვათა შორის, იგივე ინსტრუქცია ამერიკელებმა უკრაინის ხელისუფლებასაც გადასცეს. დღეს უკრაინის ხელმძღვანელობაც ერთხმად გაიძახის: ჩვენ ავაშენებთ ისეთ აყვავებულ ქვეყანას, რომ ყირიმელები აქეთ შეგვეხვეწებიან, დაგვაბრუნეთ უკრაინის შემადგენლობაშიო...

**ესაუბრა ირაკლი თოდუა**

# გერმანელი ავტორები სამეგრელოს შესახებ

*(იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობების მიხედვით)*

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

არქანჯელო ლამბერტის ცნობით, **„ტეხური შეიძლება იყოს arrianes sigame. თუმცა იმის სიტყვით ეს მდინარე მეოთხეაო ხოფის შემდეგ, ხოლო, რადგან არრიანემ შეცდომით აღნიშნა ცხენისწყლის მდებარეობა, ადვილი შესაძლებელია, რომ იგი შემცდარი იყოს სიგამეს მდებარეობის შესახებაც. არრიანე ამტკიცებს, რომ ეს მდინარე ჩაუდის ერთ ადგილს, რომელსაც მდინარის გამო ეწოდების სიგამე. ამის მსგავსი სახელი მართლა ჰქვია იმ ადგილს, რომელსაც ჩაუდის ტეხური. ამ ადგილის სახელია სენაკი (Sinaghi). ადვილი შესაძლებელია, რომ ენის განუვითარებლობის გამო სიგამე გადაიქცა სენაკ-ად (Sinaghi) და მდინარემ რომ თავის სახელი მისცა ამ ადგილს, ადგილმა შეინახა ეს სახელი და თვით მდინარემ კი გამოიცვალა ეს სახელი სხვაზე“** (ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 200). ლამბერტის რუკაზე ტეხური აღნიშნულია **Tachur**-ის ფორმით (ბერაძე თ. ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, 148). სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ სინგამე ოქუმ-ერისწყალია (იხ. ზემოთ).

ტეხური რიონის მარჯვენა შენაკადია. სათავეს იღებს ეგრისის ქედზე. მდინარის სიგრძე 108 კმ-ია. მთავარი მარცხენა შენაკადია აბაშა. მდინარის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია ტეხირი (ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. VII, სენაკის რაიონი. თბ., 2013, 357, 358). ტეხურს მოიხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი: **„ამას რიონს მოერთვის ჩდილოდამ აბაშა-ტეხურის მდინარე, უნაგირას მთის ზით, ისულეთს“**; აბაშის **„დასავლით დის მდინარე ტეხური.** იწოდა ჩქარად დინებისაგან, რამეთუ შემრავს და მტეხარ ჰყოფს ხიდსა და სხვასა რას. გამოსდის მასვე კავკასსა, მიერთვის ისულეთს ჩდილოდამ რიონს. ხოლო ტეხურისა და აბაშის შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლით კიდეზედ, არს შხეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა...“; **„ხოლო ამ ტეხურის დასავლის კიდურსა რიონამდე წარმოსდევს მცირე მთა კავკასსამდე, ტყიანი და ნაყოფიანი. ამას უწოდებენ უნაგირას...“** (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 776, 777).

ტეხური დასახელებულია ოდიშის მთავარ ბეჟან დადიანის მიერ სუჯუნის ეკლესიისათვის მიწების შეწირულების წიგნში (1717 წ.): **„დაბლა ისულას რიონს ღელე ჩაერთვის. ღალუჩა ქვიან. კ-თის ტყეს შუაზედ გამოივლის. ონტყოროს ტბიდგან გავა. ტეხურამდის მოაწევს და იმას აქეთ. აწ ტეხურს გამოღმა. ბერუღალუ რომ ტეხურს ჩაერთვის იქედამ და იწყება. წმინდის. სტეფანეს საყდარს აქეთ...“** (კეკელია ი., კურდღელია ე., ხარებავა ი., მასალები ოდიშის სამთავროს ისტორიისათვის. კრ. **“მხარეთმცოდნე“** (ონომასტიკური და საისტორიო მასალები). II. ქუთ., 2011, 47).

ცედლერის ენციკლოპედიაში აღნიშნულია, რომ **ცხენისწყლის (Sceniscari)** ძველი სახელწოდებაა **ჰიპუსი (Hippus, Abascia)** ან **აბაშია** (გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 552). სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ჰიპუსი იგივე ცხენისწყალია. ვახუშტის ცნობით ცხენისწყლის უწინდელი სახელწოდება **თაკუერი//მდინარე თაკუერისა** ყოფილა. ჰიდრონიმის ვახუშტისეულ ეტიმოლოგიას საფუძვლად უდევს **„ქართლის ცხოვრების“** მემატიანის ცნობები. ხალხური გადმოცემა სახელწოდებას ამ მდინარეში მტრის მოლაშქრეთა ცხენების დახრჩობას უკავშირებს. ფრანგი კომერსანტი ჟაკ ფრანსუა გამბა (1763-1833 წწ.) თავის სამოგზაურო ჩანაწერებში აღნიშნავდა: **„ვიდრე მარანში ჩავიდოდით, შვიდ-რვა ვერსზე ცხენისწყალი შევნიშნეთ: ეს არის ბერძნების ჰიპუსი, ანუ ცხენისწყალი; ეს სახელი მას სწრაფი დინების გამო უწოდეს“** (გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, 129). არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც: ნ. კეჭაღმაძე ვარაუდობს, რომ ბერძნული წყაროების Hippus მდ. კოდორის სახელწოდებაა (იხ. აგრეთვე კორძახია ტ., ცხენის წყალი თუ ცენის წყალი? გაზ. **„კოლხიდა“**, №133, 1911).

საენციკლოპედიო სტატიის ცნობა **ცხენისწყლისა** და **აბაშის (Abascia)** იგივეობის შესახებ მცდარია. ლამბერტის მიხედვით, ცხენისწყალთან ერთად მდინარე ფაზისს აბაშა და ტეხურიც შეერთვის: **„აბაშა ძველად შეიძლება იყოს სტრაბონის გლავკოსი, რომლის შესახებ იგი ამბობს, რომ ცხენისწყალთან ერთად ფაზისს ერთვისო“** (ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 199-200). რუკაზე მისიონერი აღნიშნავს Abascia-ს (ბერაძე თ., ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, 148).

აბაშის შესახებ ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი. ბანძისა და ჭყონდიდის (მარტვილის) აღწერის შემდეგ ვახუშტი ეხება ჰიდრონიმ **„აბაშის“** ეტიმოლოგიას: **„ამათთა დასავლით დის მდინარე აბაშა, პირველ სხვის სახელით წოდებული. შემდგომად, მოიქცა რა ანაკოფიიდამ მურვან ყრუ, აქ დაბანაკებულთა მოაშთო ამან პ-ჩ აბაში, და მიერითგან იწოდა აბაშა... ესე სიგრძით არს ტეხურის შესართავამდე. გამოსდის კავკასს, ოდიშსა და სვანეთს შორისს, და დის ჩდილოდამ სამხრით“** (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 776-777). გიულდენშტედტი გვაუწყებს, რომ აბაშა პატარა მდინარეა რიონის შემდეგ, მოედინება მთიდან და შავ ზღვას შეერთვის (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1961, 321). მაგრამ ეს არ არის მართებული ინფორმაცია. მდინარე სათავეს იღებს ასხის კირქვული მასივის სამხრეთ ნაწილში. სიგრძე 66 კმ-ია. აბაშა მარცხენა მხრიდან უერთდება ტეხურს, სოფ. ზანათის ტერიტორიაზე, და არა შავ ზღვას. ვახუშტის ცნობით, მდინარის სახელწოდება VIII ს-ის 30-იან წლებში ეგრისის სამეფოში არაბთა ლაშქრობის ისტორიას უკავშირდება. მეცნიერი ამასთანავე, მიიჩნევს, რომ **„აბაშა“** მდინარის გვიანდელი სახელწოდებაა. არაბთა ლაშქრობამდე მდინარე **„პირველ სხვის სახელით“** ყოფილა, მაგრამ კონკრეტულად თუ რა სახელით, ამის შესახებ მეცნიერი არაფერს ამბობს (ვრცლად იხ. სიხარულიძე ი., ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის წყაროები. გაზ. **„მახარია“**, №1 (28), 2003, 3; სიხარულიძე ი., კეკელია ი., ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის წყაროები. კრ. **„მხარეთმცოდნე“**, IV, ქუთ., 2013, 22; კეკელია ი., სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია (დისერტაცია), 108-109; მისივე, აბაშის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომისა და რუკების მიხედვით. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. ტ. XIV, თბ., 2012, 210-238; მისივე, აბაშის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში. ქუთ., 2013, 32-36).

ენციკლოპედიაში მდ. ოქუმის შემდეგ დასახელებულია ეხალისი და მოქვისწყალი (გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 552). ვახუშტი ბატონიშვილი მდინარეს ოქუმის სახელწოდებით არ იცნობს, მაგრამ სხვა წერილობითი წყაროთი დასტურდება, რომ ვახუშტი ბატონიშვილამდე ბევრად ადრე აღნიშნული მდინარე ოქუმის სახელს ატარებდა. ვგულისხმობთ ლამბერტის შემდეგ ცნობას: **„ოქუმის იქით ეგრისია (Echalis) და ეგრისის იქით – მოქვისწყალი“** (ლამბერტი ა., 2011, 201).

ქართველ მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ ეგრისწყალი იგივე ღალიძგაა. **„ხოლო ეგრისის მდინარე ეწოდების ღალიძგას“**, – წერს ნიკო დადიანი (დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, 153). ეგრისწყლისა და ღალიძგის იგივეობის თვალსაზრისს მხარს უჭერდა პ. ინგოროყვა, რომელიც აღნიშნავდა, რომ თვით მდინარის სახელწოდება **„ღალიძგა“** მეგრულად სიტყვასიტყვით ნიშნავს მოსაზღვრე მდინარეს, ანუ ღელეს კიდესი. მკვლევარმა ლამბერტის მიერ მოხსენიებული **chalis** გაიაზრა როგორც **„ეგრისი“** და გამოთქვა ვარაუდი, რომ ღალიძგას ძველის სახელწოდება ეგრისწყალი შერჩენილი ჰქონდა XVII-XVIII საუკუნეებამდე (ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბ., 1954, 128, სქოლიო).

საქმე ისაა, რომ ლამბერტის რუკაზე, ოდიშის დასავლეთ ნაწილში, მდინარის სახელწოდებად მკაფიოდ იკითხება Echalis, ხოლო ამ მდინარის მარჯვენა ნაპირას – ეკლესია Echalisgas (ღალიძგა) (კეკელია ი., სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია, 194).

ჯუანშერის, ლეონტი მროველისა და ვახუშტის მიერ რამდენიმეგზის (სხვადასხვა სიტუაციაში) მოხსენიებული **„ეგრის წყალი“** და **„ეგრის მდინარე“** ღალიძგის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო. ამ კუთხით მეტად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ლამბერტის რუკაზე, ოქუმსა და მოქვისწყალს შუა გამოსახული მდინარე იწოდება **Echalis**-ად. ამავე მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ეკლესიის პირობითი ნიშნით მონიშნულია **Echalisgas**, რაც, საფიქრებელია, რომ სწორედ დასახლებული პუნქტის სახელწოდების – **ღალიძგის** (აწინდელი ბესლახუბა) შესატყვისი უნდა იყოს (ცხადაია პ., სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია. თბ., 2004, 44-45; კეკელია ი., სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია, 184-194).

მოქვისწყალს ვახუშტი ბატონიშვილიც ასახელებს და შენიშნავს, რომ **“...ამ მდინარის დასავლით დის მოქვის მდინარე ჩდილოდამ სამხრით. გამოსდის კავკასს და მიერთვის ილორს ზღუას“** (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 780). მდინარე მოედინება ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სიგრძე 47 კმ-ია, აუზის ფართობი 336 კმ$^2$-ს შეადგენს. სათავეს იღებს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 2560 მ-ზე და სოფ. ჯუყმურის მახლობლად შეერთვის შავ ზღვას (აფხაზავა ი., მოქვი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, თბ., 1984, 148). ამასთანავე, მოქვი ეწოდება სოფელსა და თემის ცენტრს მოქვის ნაპირზე. მოქვისწყალი აღნიშნულია კასტელის 1654 წლისა და შარდენის 1672 წლების რუკებზე.

**იგორ კეკელია,**
ისტორიის დოქტორი,

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

## იმედი გადარჩენისა!

24 წელია ტანჯვა-წამებაშია ქართველი ერი. ჩვენს დღევანდელ ყოფას ბევრი ჭვრეტდა ჯერ კიდევ სახელმწიფო გადატრიალების პერიოდიდან (იხ. **„აქტივისტები“** №1, 1998წ.) და იქ გამოთქმული მოსაზრებები ყველაფერი ძალაშია დღესაც, მითუმეტეს, რომ ყველაფერი ახდა! ჯერ კიდევ მაშინ ბევრი ამხელდა, რომ ბევრი არასამთავრობო, თითქოს რადიკალური, ძალოვანი სტრუქტურების მითითებით მოქმედებდა. დღესაც ეს ორგანიზაციები ამოფარებულნი არიან პატრიოტულ ნიღაბს და ისე მოღვაწეობენ. ადამიანის უფლებების დამცველი ეს არასამთავრობოები მთავრობის, პოლიტიკური პარტიების და ცალკეული ანგაჟირებული პიროვნებების ინსტუქციებით მოქმედებენ და ეს აღარავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს. ყოველივე ამასთან ერთად, თუ რაზე აფრთხილებდა ქართველ ხალხს და რას ეწინააღმდეგებოდა და თავს წირავდა ბევრი ჭეშმარიტი მამულიშვილი წინა საუკუნის 90-იან წლებში, შემოგთავაზებთ პატრიოტის ბ-ნ ზურაბ ვარდოსანიძის სტატიის გრძელ ფრაგმენტს ზემოთ აღნიშნული დაიჯესტიდან:

„ილუზიები გაჰქრნენ. ნებსით, თუ უნებლიედ ყველა დაადგა იმ გზას, რაც მათ ყოფაცხოვრებამ უკარნახა. იმ ყოფა-ცხოვრებამ, რომლის კომუნისტური ეპოქიდან უკვე **„თავისუფალ და დემოკრატიულ“** საქართველოში გადმოტანა მოახერხა ედვარდ შევარდნაძემ და მართვის ერთადერთ ფორმად დაამკვიდრა: **„იკადრე ყველაფერი, მოერგე ამ ცხოვრებას და შენც წილში იქნები რა დროს საქართველოა“.** თვალსა და ხელს შუა გაიფანტნენ ეროვნული იდეალები. გაუფერულდა ყოველი დ დაიწყო შემორიგების პროცესი, სინამდვილეში კი ამ ყოფასთან შეგუების პროცესი, რომელსაც კარგა ხანია ისეედაც შეგუებულნი იყვნენ. მაგრამ როცა ეროვნული მოძრაობა სარფიანი საქმე გახდა და უკეთესი პრესპექტივის შანსი გამოჩნდა, ხმა აღიმაღლეს. როგორი იქნება ამ პირობებში საქართველოსა და ქართველი ერისთვის ის ყოფა ცხოვრება?

ეს იქნება სიცრუის, სიყალბის, მექრთამეობის, პროტექციონიზმის, ცრუ პატრიოტიზმისა და ვულგარული ინტერნაციონალიზმის ასპარეზი. ჩვენ გვეყოლება მსოფლიოში ყველაზე მეტი პოლიტიკოსი, მეცნიერი, ექიმი, ინჟინერი, გენერალი, იურისტი, მომღერალი, რეჟისორი, მოცეკვავე, ვუნდერკინდი მოსწავლე თუ სტუდენტი და ხალხი მაინც სიბნელეში იქნება. მონურ შრომაში ჩაბმული არსებობის ზღვარზე იცხოვრებს, პატიოსანი კაცი სამართალს ვერ იპოვის, დავმარცხდებით ბრძოლაში. საქართველოს ექნება ბიოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ქართველი კაცი კონცეროგენული შხამით იქნება გაჟღენთილი. ჩვენი მარგანეცი, დარიშხანი თუ ბარიტი საერთაშორისო ბაზრებს დაამშვენებენ, ხოლო აქ გაიხსნება მხოლოდ უცხოური კორპორაციები, ფირმები. სადაც ქართველს იმდენს გადაუხდიან თვიდან თვემდე თავი რომ ძლივს გაიტანოს. ჩვენი კურორტები უცხოელებით გადაიჭედება, ხოლო ქართველი მათი ფეხების ბანითა და პირისფარეშობით ნაშოვნი გროშებით აჭმევს თავის ოჯახს უმადურ ლუკმას.

მოკლედ, საქართველოს ექნება ძველებურად დიდი სახელი, ხოლო ქართველ ერს არ ექნება ის მთავარი, რის გარეშეც არ არსებობს არც ერთი ერი დედამიწაზე – მას არ ექნება ღირსება და ჭეშმარიტი თავისუფლება. იგი მოქცეული იქნება იმ ახალი მსოფლიო წესრიგის მარწუხებში, რომელიც არც მეტი არც ნაკლები ჰიტლერისეული ახალი ევროპული წესრიგის გაგრძელებაა და ემყარება უკვე ძალმომრეობას ინტერნაციონალიზმის ნიშნით. ქართველი ერი აღარ იქნება თვითმყოფადი ერი.

სომხეთი სომხური იყო და სომხური დარჩება მომავალში, აზერბაიჯანი – თათრული, ჩეჩნეთი – ჩეჩნური მაგრამ საქართველო აღარ იქნება ქართული. იგი ერთდროულად იქნება რუსულიც, სომხურიც, თათრულიც, დასავლურიც, აღმოსავლურიც და სინამდვილეში არ იქნება არაფერი. აი ამის შეგუებას ეშურებიან ახლა.

მაგრამ ყველა არ აპირებს შეეგუოს ამას. ჩვენ ვიცით რომ არა! ისინი კი არც ისე ცოტანი არიან: მათ დიახაც იციან უღირსად წარმოჩინებულთა ჟამი დგას ჯერ კიდევ, ამიტომაც სდუმან და ჩუმად იღწვიან. აი სწორედ მათი იმედი აქვს საქართველოს! ჭეშმარიტი მამულიშვილები, საქმის მცოდნენი, პროფესიონალები, სწავლულნი თუ უსწავლელნი, პატიოსანი ადამიანები. და თუკი ზოგიერთი მათგანი უიმედობას შეუპყრია მაინც, ვთავაზობთ ერთ ლექსს ჟოზეფ რედიარ კიპლინგისა, რომელშიც მხოლოდ ორი სიტყვა შევცვალეთ და ამ ლექსით იხელმძღვანელონ მათ:

*თუ თუ ძალგიძს დარჩე ძველებურად მშვიდი და მტკიცე*
*და არ დაიბნე, როცა თავგზა ებნევა ყველას.*
*თუ ძალგიძს სიმხნედ, შემართებად და რწმენად იქცე.*
*როცა შენს ირგვლივ მკვდარი არის შენდამი რწმენა;*
*თუ ძალგიძს მკაცრი მოთმინებით ელოდო ხვალეს,*
*ცრუს გაუტანელს არ მიაგო სიცრუე ავი,*
*მოძულეს შენსას მძულვარება შეუნდო მალე*
*და თანაც ქრისტედ არ აჩვენო არავის თავი.*
*თუ შეგიძლია სულში მარად ოცნება რეკდეს,*
*მაგრამ ოცნების არასოდეს არ გახდე მონად,*
*და დამარცხებას თანაბრად შეხვდე*
*ამ ორ თაღლითს მიეგებო ტოლად და სწორად;*
*თუ შეგიძლია აიტანო სიმართლე შენი,*
*ბრბომ სულმდაბალმა ვით აქცია ხითხითის საგნად,*
*იხილო ერთ დღეს დანგრეული, სიცოცხლის დღენი,*
*რასაც შესწირე და შეუდგე შენებას ახლად*
*თუ შეგწევს ძალა მაგიდაზე დაყარო ჩალად,*
*რაც გაგაჩნია, გიშოვია ოფლით და სისხლით,*
*წააგო წყნარად, წაგებული ჩათვალო არად,*
*იშოვნო კვალად და სასწორზე შეაგდო რისკით;*
*თუ შეგწევს ძალა წარბი შეჰკრა, მოთოკო გული,*
*მოუხმო ნერვებს, გამაგრდე და ივარგო ასწილ,*
*ეს მაშინ, როცა სულიერად დაღლილს და დაცლილს*
*ნებისყოფაღა გეუბნება: „წინ-მეთქი, გასწი!“*
*თუ შეგწევს ძალა ბრბოში იყო და დარჩე კაცად,*
*მეფეებს ახლდე და გახსოვდეს ყოველთვის ხალხი,*
*შენი ღირსება არ დაკარგო არ-ოდეს არსად,*
*მტერ-მოყვარესთან პირდაპირი იყო და ლაღი;*
*თუ შეგწევს ძალა, გაიზიარო ყოველიწუთი,*
*აზრით დატვირთო სამოცივე ფეხმარდი წამი,*
*მაშინ შენია, ჩემო კარგო, ეს საქართველო,*
*მამულიშვილიც მაშინ გქვიან და გერქვას – ამენ!“*

სამწუხაროა მაგრამ ფაქტია ახდა ყოველივე და ბევრი შეეგუა ბედის უკუღმართობას, მაგრამ ასევე ფაქტია, რომ ბევრი პატიოსანი ადამიანი იღვწის საქართველოში და არ ეგუება ყოველივე ამას. ასეთი ხალხის არსებობის რწმენაა, რომ ეს შესანიშნავი ლექსი ორ ათეულ წელზე მეტია იქცა ჩვენი ცხოვრების კრედოდ! ასეთი, ღრმად მოაზროვნე, მამულიშვილების არსებობის და მოღვაწეობის შედეგია, რომ ვერ კლავენ ქართულ სულს! ამჟამად კი, მივმართავთ ყველა ასე ჩუმად მოღვაწე, უბრალოდ პატიოსან ხალხს: არ შედრკეთ რადგან უკვე, თუნდაც შორიდან, მაგრამ მოისმის გუგუნი აზვირთებული ქართული სულისა!!! ამ შესანიშნავ ლექსს კი ამჟამად დავამატებთ შემდეგს:

თუ შეგიძლია გაითავისო ზემოთ თქმული? მიჰყევ მას და აქციო შენი ცხოვრების კრედოდ?

*მაშ არ გეგონოს ასეთი შენ ხარ ერთადერთი,*
*უიმედობით არ ჩაფერფლო გული რჩეული!*
*გჯეროდეს! ინებებს ღმერთი,*
*დაგვიდგენს ისეთ ჟამს, ზარების რეკვით,*
*როდესაც ყველას მოგვიყრის თავს!*
*ქართული სული აღორძინდება იმავე წამს!*
*ახდება ნატვრა – საქართველო კვლავ გაბრწყინდება!!!*

ამენ!

**გია ჩუთლაშვილი**

# მოგზაურობა კავკასიაში

## სვატოპლუკ ჩეხი

*ქუთაისი-სვანეთი-მოწამეთა-გორი-უფლისციხე-თბილისი-კოჯორი-თეთრიწყარო-მანგლისი-არაგვისპირეთი-ვლადიკავკაზი*

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

სამაგიეროდ წარმოსახვას ვრცელი ასპარეზი ეთმობა, იგი შლის საუკუნეების ზღვარს და გვიჩვენებს უცნობ ადამიანებს, რომლებიც თავიანთ ცხოვრებას ამ გამოქვაბულებში ატარებდნენ. მუშაობდნენ აქ მეგობრულად, თავს იცავდნენ მტერთაგან, შეჰღაღადებდნენ უცნობ ღმერთებს, სად არიან ისინი? სამუდამოდ გაქრნენ, აღიგავნენ პირისაგან მიწისა და ადამიანთა მეხსიერებიდან? დარჩა მხოლოდ ცარიელი, ბნელი ფუღურო, მზით გავარვარებული კლდეები, სადაც დასრიალებენ რუხი ხვლიკები. ქარსა და წვიმაში თავს აფარებს მწყემსი, რომელსაც წარსულის სულ უმცირესი ამბავიც კი არ შეხებია.

უნებურად დავწვდი რაღაც მადნის ნამსხვრევს, რომელიც ერთ-ერთი მღვიმის კედელზე გამოჩრილიყო, მღვდელმა განზე გამიყვანა და ეშმაკურად თვალებმოწკურულმა მითხრა: **„ბრიყვები არიან აქაურები, ყური მოვკარი, ინგლისელებს მოუნდომებიათ ამ გამოქვაბულების ქვებისაგან რკინის დამზადება, ჩვენებურებს კი უნდათ განკითხვის დღემდე აქაურობა ხელუხლებელი დატოვონ. რა გაეწყობა, ხეპრე ხალხია?!“**

უფლისციხიდან ყველანი კმაყოფილი დავბრუნდით. სოფლისკენ ეშვება დამრეცი, თაღოვანი გვირაბი. ადრე აქ კიბეები ყოფილა, მაგრამ მისგან მხოლოდ ნაშთიღა შემორჩენილა, კაცი იქიდან ჯდომელა უნდა დაეშვას.

ჩემი იქ ყოფნისას ვნახე მცირე გამოქვაბული, რომელიც ახალია შედარებით და ქართული წარწერებითა და იეროგლიფებით არის დამშვენებული, აქ დღემდე ღვთისმსახურება არ წყდება. აქ, ამ პატარა ეკლესიასთან გამოვეთხოვე ქართველების ამალას. **„ფაეტონიდან“** თვალს ვერ ვაცილებდი დიდებულ კლდეს, რომელიც ზვიადად და იდუმალებით გადმოჰყურებდა მდინარეს, როგორც ვეებერთელა სფინქსი, ვინ ამოხსნის მის შუბლზე ამოტვიფრულ გამოცანას?

### მგზავრობა ქართლის ზოგიერთ კუთხეში

ვაი მას, ვისაც ზაფხულის თვეებში უწევს ნოყიერი ეთნოგრაფიული რაგუს შემზადება: შეიბრაწება ღადაღუდიანი ქვის თონის ფსკერზე – ამიერკავკასიის დედაქალაქის – თბილისის შემოგარენში.

აუტანელია ამ თვეებში თბილისში ყოფნა, აზიური სახლების ტლანქი კედლები გავარვარებული, სიცხისაგან დამსკდარი ფილებივითაა, მათი ფანჯრები კი, თუ შეიძლება ფანჯარა ვუწოდოთ ვიწრო ღრიჭოებს, რომლებიც უფრო სათოფურებსა ჰგავს, თავგანწირვით ებრძვიან ალყადშემორტყმულ ხვატს. აგერ წაიფორხილებს დაფიქრებული მენახშირის გოდრებაკიდებული ვირი, მას ზანტად მისდევს მძიმე ტყავკაბიანი და ბომბორა ფაფახიანი აზიელი, გამხდარი, ნაოჭებით დაღარული, ამ ცეცხლის ღუმელში ნახშირივით გაშანტლული. მისი წითური წვერი თითქოს ქურაშია გამოხურვებული. შენი მზერა ამაოდ ეძებს შვებას. ყოველი მხრიდან შემოჯარულან გავარვარებული შიშველი კედლები, თითქოს ცეცხლისაგან დანახშირებული ქართული და სომხური ეკლესიების შავი, კონუსისებური გუმბათები. მათი ბერძნული ჯვრები კი გამლღვალ ოქროსავით ციალებს და იწვის. თავზე გემხობა უმსუბუქესი ღრუბლებისაგან გაძარცული, ალმურმოდებული ცისფერი ცა და გამაგრილებელი შვების უმცირეს იმედსაც არ ტოვებს.

თუ გსურს წამით გაგრილდე, სულიერად მაინც, უნდა მილასლასდე ქალაქის თავზე სპარსული ციხის ნანგრევებამდე და პირი ჩრდილოეთისაკენ ქნა: იქ, შორს, უთვალავი ბორცვისა და მწვერვალის მიღმა დაინახავ მაღალი კავკასიონის მთების თეთრ ქედებს, მუდმივი ყინულითა და თოვლით რომ ბრწყინავენ და მოგეჩვენება, თითქოს გრილი მთის ნიავი მოესალმუნა შენს გახურებულ საფეთქლებს. მაგრამ ეს ხედი მხოლოდ მწირი ნუგეშია თბილისის ზაფხულით წამებულთათვის.

რა თქმა უნდა, ზაფხულის დამდეგს ქალაქის ევროპულ ნაწილს ციებ-ცხელება იპყრობს. შავთვალება ქართველი მოახლეები აივნებზე გარბი-გამორბიან, ეზიდებიან ნაირფერი ფრთების კონებით ჩემოდნებსა და ყუთებს, მაფრაშებს, მოქარგული გამძლე მატერიისაგან დამზადებულ საგზაო ტომრებს, ცხენები დინჯად თხრიან ფლოქვებით მიწას ეზოში, კიდობნებში ჩაუტვირთავთ მთელი სახლის ესენცია დიუმიდან დაწყებული შიდა ტაყის ჯიბეში, კანარის ჩიტით დეკორატიულ გალიაში, რომელიც ირწევა უხეში ბიდრუგანის კედელზე, საიდანაც იცქირებიან ქალიშვილების ტურფა სახეები, გამინვებელნი აზრით, რომ მალე ისინი ბროწეულისა და მაგნოლიის ყვავილების ჩარჩოდან გადაჰხედავენ ქართლის, კახეთის ულამაზეს პეიზაჟებს.

ციებ-ცხელება, რომლის ნიშნებიც აქ გაკვრით ჩამოვთვალე, ზაფხულის დასაწყისშივე შეეყრება ყველას, ვინც სიღატაკის ან მოხელის ხუნდებით არაა შეკრული, ყველას მიეჩქარება კოჯრისაკენ, მანგლისისაკენ, თეთრი წყაროსაკენ, აბასთუმნისაკენ, ახლო თუ უფრო შორეული კურორტებისაკენ, ამიერკავკასიის სხვა დასასვენებელი ადგილებისაკენ.

ამ დროს თბილისის კალეიდოსკოპიდან თითქმის ქრება ევროპული ელეგანტური სამოსი, ნაირფერ ბრბოდ მოედებიან აზიელები ყველა ქუჩას. იშვიათად თუ გამოჩნდება რუსი მოხელე, რომელსაც დაქვემდებარებული მდგომარეობა და მოკრძალებული შემოსავალი უფლებას არ აძლევს ჩაებას თბილისური არდადეგების ფუფუნებაში.

ამ საყოველთაო გადასახლებისათვის მზადებისას ჩემმა მასპინძელმა და თანამემამულემ კაპელმაისტერმა მ-მა შემომთავაზა წავყოლოდი მანგლისსა და თეთრ წყაროში, სადაც ზოგიერთ ოფიციალურ საქმესაც მოვაგვარებდით.

სიხარულით დავყაბულდი, მაგრამ აღტაცებას შეერია გაურკვეველი სევდანარევი მღელვარება, დიად და იდუმალ საქმეთა კარიბჭესთან რომ აიტანს კაცს.

როცა ჩემმა მეგობარმა განმიცხადა, უწინარეს ყოვლისა ორი ცხენი უნდა ვიქირაოთო, მაინცდამაინც არაფრად ჩამიგდია. ასევე აუღელვებლად დავესწარი კაპელმაისტერისა და ხმელ-ხმელი სომეხი ჩალვადარის გაჯანჯლებულ ვაჭრობას, რაც დასრულდა ორი კვიცისა და სრული აღკაზმულობის ქირაობით დღეში მანეთად თითოეულ ცხენზე.

გამგზავრების დილას მდუმარედ მივჩერებოდი, როგორ უვლიდა **„პრეფაინი“** ცხენებს, ჩერქეზულ უნაგირებზე ამაგრებდა აბგებსა და დახვეულ ნაბდებს, სიამოვნებით ჩავიცვი ვეება მხედრული ჩექმები, რომლებიც მ-მა მომიტანა, მ-ც ემზადებოდა, გატენილ რევოლვერს ჯიბეში იდებდა და თან მარწმუნებდა, მზის ჩასვლამდე მანგლისში შევალთო. არავითარი შინაგანი რწმენა არ გამაჩნდა, რომ ოდესმე სადმე მივაღწევდი და ჩემს მხედრულ სამოგვებს მოწიწებით დავალაგებდი დედამიწაზე.

ცხენით მგზავრობის ჩემი მოსამზადებელი განათლება შემოიფარგლებოდა სიყმაწვილის ბედნიერ დღეებში რამდენიმე გასეირნებით ქალაქის ტბორამდე, სადაც მოჯამაგირეები ცხენებს აბანავებდნენ.

სრულიად უჩვევს ახლა ამ წყეულ უნაგირზე უნდა გამეძლო არა ერთი ან ორი საათი, არამედ მთელი დღე – ჩასვლამდე მზის, რომელმაც ახლახან გადმოხედა თბილისის ბანიან სახლებს. უნდა მემგზავრა სადღაც გადასაკარგავში, არა და ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იყო და უარის თქმა ღალატს ნიშნავდა.

ახალ ხელოვნებაში ჩემი პირველი ცდის შედეგი იმით გამოიხატა, რომ დადგინდა – ცხენზე ამხედრებას უფრო მეტად ხელები გიშლიან და რომ მთავარი სიძნელე ისაა, ცხენითურთ ალაყაფის კარებში გაეტიო.

ჩემმა ამხანაგმა მოკლე მათრახი გაატყლაშუნა და ჩვენმა საბრალო ცხენებმა მსუბუქი ჩორთით გასწიეს.

გუნებაში კიდეც შევაქე მარტივი ჩერქეზული უნაგირი, იმიტომ კი არა რომ ვიწრო და ხისტი იყო, არც უზანგის სიმოკლისათვის, რაც იძულებულს გხდის ფეხი არაბუნებრივ მდგომარეობაში გქონდეს, რაც ორმაგად ძნელია გამოუცდელი მხედრისათვის, სულ სხვა რამემ მომხიბლა, კეხზე, წინაც და უკანაც, ლითონის კოპები ამშვენებდა, უმალვე მივხვდი ამ მოწყობილობის სიკეთეს. ვერ მოგახსენებთ, ჩავწვდი თუ არა ჩანაფიქრის სიღრმეს, მაგრამ ეს სამშვენისი იქცა ჩემთვის არქიმედეს წერტილად ამ ყოყმანსა და გაუბედაობაში, ერთადერთ ღუზად ამ ცოცხალ ტალღაზე, რომელიც სრულიად უცხო ნაპირისკენ მიმაქანებდა. რახან ასეთი ეპიკური, გაჭიანურებული სტილი ავირჩიე, ბარემ ჩვენი წყვილის რამდენსამე თვისებასაც მოვხაზავ:

ჩემი მეგობარი ახოვანი ჭაბუკია, მოგრძო სახეზე ჯანსაღი სამხრეთული იერი დასდებია და კიდევ უფრო დამშვენებულა, ჩვიდმეტი წლის განმავლობაში კავკასიაში ყოფნისას მიღებულ სამხრეთულ ელფერს არ შეუცვლია მისი ჭეშმარიტად ჩეხური გამომეტყველება.

სამაგიეროდ რუსეთში ყოფნისას გვარიანად გადავიწყებია დედაენა და მომავლის რაღაც საეროსლავურ კილოდ ექცია იგი. ვიმედოვნებ, ამას არ შემომწყრებით, ეგებ არა ღირს იმის დაწერა, რასაც მისი მხედრული გარეგნობის შესახებ მოგახსენებთ, რადგან ეს მიმაჩნია სამხედრო მდგომარეობისადმი სიყვარულის ზვარაკად. დამახასიათებელი სიდინჯისა და სერიოზულობის სადავე წამდაუწუმ აიშვებდა და თავს წამოჰყოფდა დაუდგრომელი ტემპერამენტი და მსუბუქი, ხალისიანი აზრი ჩემი მუსიკოსისა, ახლა კი უნაგირზე ამხედრებულიყო უზადო მხედრული მოხდენილობით, მხრებზე ეპოლეტები შვენოდა, ხოლო შეკრეჭილ თავზე ბრტყელი თეთრი ქუდი კოხტად დაეხურა. იდუმალ შევხაროდი ჩემი მეგობრის სიჩაუქეს.

ვერაფერს მოგახსენებთ, რა სანახავი ვიყავი მის გვერდზე, ასე მგონია ის ზედმეტი ყურადღება, რასაც ვიჩენდი ჩერქეზულ უნაგირზე დამაგრებული ღილისადმი, რამდენადმე არღვევდა ჩემს რაინდულ შესახედაობას.

მაგრამ მოვეშვათ ამ კავალერისტულ მღელვარებას, რაც უეჭველად მრავალ მოგზაურს განუცდია, მაგრამ მხოლოდ მცირედს აღუწერია. მე თქვენთვის მარტო იმის თქმა მინდოდა, ამ ჩემი ესკიზების ხატვას სინადვილესთან შეფარდებით ვაპირებ და არ მინდა დავემგვანო იმ მწერალ მოგზაურებს, ვინც საკუთარ თავს სრულყოფილობის შარავანდედით გარსმოვლებულს წარმოგვიდგენს ხოლმე.

**თარგმანი ალ. კაკულიასი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

## პოეზიის კუთხე

ბატონო როლანდ! მოგიკითხავ დიდი პატივისცემით და გაახლებ ჩემს სტრიქონებს, რომელიც ჩემი მოგვარის, ქალბატონ მარინე ჭყონიას დასაცავად დაიწერა.

მისი მეუღლე, ბატონი თენგიზ მდივანი ჩვენი საერთო კოლეგაა, მე და ბატონი თენგიზი – ორივენი ერთდაიმავე გაზეთის „სარკმელი საქართველოსი“ რედაქტორთა საბჭოს წევრები ვართ და მისი უაღრესად პატიოსანი ოჯახის დაჩაგვრას ვერავის ვაპატიებ.

უღრმესი პატივისცემით,

**ვაჟა ჭყონია,**

### შენთან ვარ, ჩემო მოგვარევ!

ექო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 13 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ ჩემი მოგვარის ღია წერილზე:

სხვის ქონებაზე კბილებსა
ახლა იმდენი ილესავს,
არ მოსწრებია ვინმესა,
მათ შორის თუნდაც გინესსა.
თვალზე ცრემლები მომგვარე,
ნატანჯი რომ არ დაგინდეს,
შენთან ვარ, ჩემო მოგვარევ
და ასაკს არად დაგიდევ.
დაგჩაგროს, ნურვის ჰგონია,
ჩათვალე, რომ ვერ გათვალა,
შენთან ვარ, ვაჟა ჭყონია,
კუტუზოვივით ცალთვალა!

**ვაჟა ჭყონია,**
გაზეთის „სარკმელი საქართველოსი“ რედაქტორთა საბჭოს წევრი, მუხა-ჭყონიათა საგვარეულოდან.



მეგობრული შარჟი „ვაჟა ჭყონია“.
ავტორი გივი მიზანდარი

## აფხაზი მწერლები ზუგდიდის ბიბლიოთეკებში

**„აფხაზეთის თემაზე დარგობივი ლიტერატურა უფრო მეტიც გვაქვს. დაინტერესებულები ვართ, რომ იყოს აფხაზეთზე მასალები ჩვენს ფონდში“,** – ამბობს ბიბლიოთეკის თანამშრომელი.

ბიბლიოთეკამ ჯერ კიდევ 2009 წელს შექმნა ელექტრონული ვებ-გვერდი, სადაც მკითხველს მისთვის საინტერესო ლიტერატურის მოძებნა შეუძლია, მათ შორის აფხაზეთზე. ვებ-გვერდი პერიოდულად ახლდება.

აფხაზი მწერლების შემოქმედება მწირია, დიმიტრი გულია, ივანე თარბა, ბაგრატ შინქუბა, ჯუმა ახუბა, შალვა წვიჟბა, სამსონ ჭანბა, ეს მცირე ჩამონათვალია იმ აფხაზი მწერლების, რომელთა შემოქმედებაც ზუგდიდის ბიბლიოთეკებშია დაცული. ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ცალკე თარო ეთმობა აფხაზურ მხატვრულ ლიტერატურას. წიგნსაცავში ინახება დარგობრივი ლიტერატურაც – აფხაზური კულტურის, არქიტექტურის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ისტორიის შესახებ.

აბონემენტის განყოფილების უფროსმა ინგა ქარჩავამ **„ლაივპრესს“** უთხრა, რომ მათთან მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში აფხაზი მწერლების ორმოცდაათამდე წიგნია დაცული, მათ შორის 50-იანი, 60-იანი წლების გამოცემები. ყველაზე ახალი 2011 წლის გამოცემაა – **„აფხაზური პროზა“,** სადაც დიმიტრი გულიას, ალექსი გოგუას, ჯუმა ახუბას და ალექსი ჯენიას შემოქმედებაა შესული. განსაკუთრებული პოპულარობით მკითხველებს შორის მისი თქმით, ბაგრატ შინქუბა გამოირჩევა, ასევე ივანე თარბა, დიმიტრი გულია. ინგა ქარჩავა აღნიშნავს, რომ მხატვრულ ლიტერატურასთან შედარებით უფრო დიდია მოთხოვნა დარგობრივ სახელმძღვანელობზე. ბოლოს მარი ბროსეს ნაშრომი მიიღეს სახელწოდებით – **„მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში“.**

თუმცა მოიპოვება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაშიც. წიგნსაცავი მხოლოდ წელიწად-ნახევრის წინ შეიქმნა, ამიტომ ჯერ ცალკე, აფხაზური განყოფილება არ აქვთ, თუმცა სამომავლოდ მისი გამრავალფეროვნების მიმართულებით მუშაობას გეგმავენ. დირექტორ მადონა მაქაცარიას განმარტებით, აქ მკითხველები განსაკუთრებით ბაგრატ შინქუბას **„უკანასკნელ უბიხს“** ითხოვენ. მოქალაქეებს ასევე შეუძლიათ წაიკითხონ ქიაზიმ აგუმაას **„დედის სიყვარული“,** მიშა აყუსბას **„არა, შემთხვევით არა“,** ალექსი ჯენიას **„ზარმაცი“,** შალვა აჯინჯალის **„უწყება“,** მუშნი ხაშბას, დარ-იფა-ეთიმის, გიორგი გულიას, ნიკოლოზ კოკოსკერიას და სხვა აფხაზი მწერლების შემოქმედება.

**„ვცდილობთ გავამდიდროთ და მოვიპოვოთ აფხაზური ლიტერატურა. ამით ჩვენს აფხაზ ძმებს ვასიამოვნებთ, და ჩვენც ვისიამოვნებთ. არ უნდა დაიკარგოს აფაზური კულტურის ისტორია“,** – გვითხრა მადონა მაქაცარიამ.

მხატვრული ლიტერატურის გარდა, ბიბლიოთეკაში სამეცნიერო-დარგობრივი ლიტერატურაც ინახება. მაგალითად, **„აშხარული დიალექტი და მისი ადგილი აფხაზურ-აბაზურ დიალექტიკას შორის“,** აფხაზური პროზის ანთოლოგია. ნახავთ ნაშრომებსაც სოხუმის ბოტანიკური ბაღის განაშენიანებაზე, აქ წარმოდგენილი ხე-მცენარეების შესახებ ინფორმაციას.

**„დაინტერესება არის ჩვენგან, რომ შევავსოთ ჩვენი ფონდი თანამედროვე აფხაზი მწერლებით, იმიტომ, რომ მათი ლიტერატურა უფრო იზიდავს მკითხველს, და აქედან გამომდინარე, შეიძლება ხიდი გავაბათ და აფხაზეთი კიდევ ერთხელ შევახსენოთ ჩვენს ახალგაზრდობას“,** – ამბობს ბიბლიოთეკის დირექტორი.

**ნინო თოლორაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მცხეთა — მეორე იერუსალიმი და „ახალი ისრაელის“ დედაქალაქი

***ანუ საქართველოს უძველესი სამეუფო ქალაქის — მცხეთის პროექტების: „მცხეთა-იერუსალიმისა“ და „გეთსიმანიის ბაღის“ ანალიზისა და შეფასებისათვის მოხსენება, რომელიც წაკითხულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ეროვნული პრობლემების აკადემიური კომისიის“ 2015 წლის 12 ოქტომბრის სხდომაზე.***

პატივი მაქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის **„ეროვნული პრობლემების აკადემიური კომისიის“** წინაშე წარვდგე მოხსენებით ჩემი თვალსაზრისების გასაზიარებლად ორი უმნიშვნელოვანესი პროექტის: **„მცხეთა-იერუსალიმისა“** და **„გეთსიმანიის ბაღის“** შესახებ, რომელთა განხორციელებაც დღის წესრიგში დგას სრულიად ამჟამად, საქართველოს სახელმწიფოებრივი და საქართველოს ეკლესიისეული ერთობლივი ოფიციალური მხარდაჭერით. უფრო მეტიც: ეს პროექტები, შეიძლება ითქვას, რომ როგორც სიმბოლურად, ასევე რეალურად, სიღრმისეულად განასახიერებენ დღევანდელი საქართველოს ეკლესიურისა და სახელმწიფოებრივი თანამშრომლობის ტენდენციას, იმ ერთიან იდეოლოგიურ ეკლესიურ-სახელმწიფოებრივ სულისკვეთებას, რომელმაც უნდა განსაზღვროს ჩვენი ქვეყნის საქართველოს — უახლოესიც და შორეული პერსპექტივაც, და ამგვარად, ქართველი ერის მომავალიც. ბუნებრივია, ქართული მეცნიერება და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც დღეისათვის, მისი სამუშაო წესდებით, სახელმწიფოს ოფიციალური მრჩევლის სტატუსი აქვს მინიჭებული, გულგრილი მაყურებელი ვერ იქნება საქართველოს და ქართველი ერის მომავალთან დაკავშირებული მიმდინარე პროცესების უმთავრესი მეცნიერული საყრდენების განმარტებათა საჭიროებაში, ანუ, რას ვაკეთებთ ჩვენს ქვეყანაში, რა მიზნით ვაკეთებთ და რის საფუძველზე?! მინდა უღრმესი მადლობა ვუთხრა აკადემიკოსებს: ბატონ როინ მეტრეველსა და ბატონ ელიზბარ ჯაველიძეს, რომელთაც შესაძლებლობა მომცეს ჩემი თვალსაზრისების მოხსენებისა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლად შექმნილი და ძალზედ საჭირო, და ძალზედ აუცილებელი **„ეროვნული პრობლემების აკადემიური კომისიის“** ღრმად პატივცემული წევრების წინაშე. არ შემიძლია საგანგებოდ არ აღვნიშნო, რომ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში, ჩვენი ქვეყანა, ანუ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის მაძიებელი საქართველო, იმდენად აბსურდული და თავისთავის საწინააღმდეგო იდეოლოგიითა და პოლიტიკური კურსით ცხოვრობს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში **„ეროვნული პრობლემების აკადემიური კომისიის“** დაფუძნება იმედს მიღვიძებს, რაღაც გარკვეული მასშტაბით მაინც განხორციელდეს, ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ჩაყენება სახელმწიფოებრიობის სამსახურში და თავი დავაღწიოთ და ამოვიდეთ თანამედროვე მსოფლიო რეალობის ეროვნული, სტიქიური გაუცნობიერებლობის წყვდიადიდან. **„ეროვნული პრობლემების აკადემიური კომისიის“** დაფუძნება იმ ვითარებაში, რომელშიაც ჩვენი ქვეყანა იმყოფება, უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიმაჩნია, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მხარდაჭერის გარეშე ვერ განხორციელდებოდა, რისთვისაც მინდა მადლიერება გამოვხატო ბ-ნ გიორგი კვესიტაძის მიმართ და წარმატება ვუსურვო ამ ახლად დაფუძნებულ კომისიას ჩვენი საქვეყნო ინტერესების სამსახურში. ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით კი ვფიქრობ, საინტერესოა, მოვიხსენიო ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი საქართველოს დღევანდელ პარტნიორ ქვეყნად აღიარებული **აშშ**-ის ცხოვრებიდან: როდესაც ბ-ნი ბარაკ ობამა აშშ-ების პრეზიდენტი გახდა, ინაუგურაციის შემდგომი პირველი ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა, როგორც პრეზიდენტმა, ეს იყო შეხვედრა ამერიკის მეცნიერებთან, ქვეყნის უმნიშვნელოვანეს მეცნიერთა გრანდიოზულ წარმომადგენლობასთან. სწორედ ამ პირველივე შეხვედრაზე განუცხადა მან ქვეყნის ინტელექტუალურ ძალებს, რომ ნებისმიერ სამეცნიერო საზოგადოებას ანიჭებს სრულ უფლებას, პირდაპირ და უშუალოდ ჩაერიოს სახელმწიფო მართვის პროცესებში. ეს განცხადება, მართალია, უფრო მოწოდებას ჰგავდა, მეცნიერთა მორალური ვალდებულების შესახსენებლად, რათა მათ საკუთარი პროფესიული ცოდნა ჩააყენონ სახელმწიფოს სამსახურში, მაგრამ უსათუოდ განმარტებაც იყო იმისა, რომ ამერიკელი მეცნიერებიც, გონებანი დღევანდელი ამერიკისა, ისევე უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი სახელმწიფოს მართვის შედეგებზე, როგორც თავად ხელისუფლება. შეიძლება ითქვას, რომ **აშშ**-ის პრეზიდენტმა არა მხოლოდ მეცნიერული ცოდნის მნიშვნელობა წამოსწია წინ სახელმწიფო მართვაში, არამედ ხელისუფლების პასუხისმგებლობის გადანაწილებაც მოახდინა სახელმწიფოს მართვის შედეგებზე სამეცნიერო სიბრტყეში (ვსარგებლობ ბარაკ ობამას ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციულად გასაჯაროებული ტექსტით-დ.ს.). უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ამავე გამოსვლაში, სრულიად ლოგიკურად, მეცნიერული აზრის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წინწამოწევიდან გამომდინარედ, ამერიკის პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ, პირველმა მსოფლიოში, ჩათვალა საჭიროდ ახლებურად განესაზღვრა 21-ე საუკუნის ზესახელმწიფოებრიობის სტატუსი, ანუ ზესახელმწიფოებრიობის ახალი მნიშვნელობა: — ჩვენს საუკუნეში ნამდვილ ზესახელმწიფოდ წარმოჩინდებაო ის ქვეყანა, რომელიც მიაგნებსო პლანეტის გადარჩენის გზებს ეკოლოგიური საფრთხისაგან — ბრძანა **აშშ**-ის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, შვიდი წლის წინ. ვფიქრობ, ეს იყო ზესახელმწიფოებრიობის გენიალური დეფინიცია, საიდანაც, ჯერჯერობით, ჩვენს თვალწინ, მსოფლიოში მიმდინარე სრულიად ჯალათური, დამანგრეველი და ხალხების გამანადგურებელი ომებით თუ ვიმსჯელებთ, დღეისათვის უფსკრულებრ არის დაშორებული ამერიკის შეერთებული შტატებიცა და ახალი წესრიგის მსოფლიოც. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ დღევანდელი მსოფლიოს საშინელებანი, რამდენადაც ისინი **„ბოლო ჟამის“** ნიშნებთან არის საყოველთაოდ გაიგივებული, და რამდენადაც ჩვენ, ჩვენი თანამედროვეობა თვითმხილველნი და მოწმენი აღმოვჩნდით ვირტუალური ჯალათური სახელმწიფოს შექმნისა და მისი ჯალათური ქმედებებისა, (ცხადია, ვგულისხმობ ქრისტიანებისათვის თავების წაჭრას, მარტო იმიტომ რომ ისინი ქრისტიანები არიან!), ყოველივე ამ ქმედებებისადმი მსოფლიო საზოგადოებრიობის უმწეობისა და ხშირ შემთხვევაში მსოფლიოს ამორალური დუმილის, უნდა ვაღიაროთ, რომ საქმე გვაქვს კაცობრიობის ისტორიის საბედისწერო გზაჯვარედინთან, იმ დიდი წინასწარმეტყველების სიახლოვესთან, რომელიც გათვლილ იქნა, როგორც მეორედ მოსვლა უფლისა და მოვლინება ნუგეშინისმცემლისა თავისდახსნისათვის კაცობრიული სიცოცხლის აღსასრულისაგან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ ზემოთ, უკვე მოხსენების სათაურშივე ხსენებული ორივე პროექტი: **„მცხეთა-იერუსალიმი“**-ცა და **„გეთსიმანიის ბაღიც“**, რომლებსაც, ერთი შეხედვით სრულიად უწყინარი, მიწიერი, ხალხის საცხოვრებელი და ებრაულ-კომერციული მიზანდასახულებანი ამოძრავებთ, დაკავშირებულნი არიან როგორც **„მეორე იერუსალიმისა“** და **„მეორედ მოსვლის“** საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ იდეებთან, ასევე ამ იდეათა გაყალბებულ, სპეკულაციურ შინაარსებთან, რის გამოც საფუძველი გვეძლევა, მივიჩნიოთ, რომ ამ **„მცხეთა-იერუსალიმისა“** და **„გეთსიმანიის ბაღის“** პროექტებით საქმე გვაქვს ებრაელ ე.წ. ინვესტორთა არა მხოლოდ კომერციულ და ბიზნეს ამოცანებთან, არამედ უფრო რთულ, და ამასთან კომერციასა და იდეათა სპეკულაციაში შეფუთულ ფარულ და მძიმე განზრახვებთან. ამიტომ, ჯერ ვუპასუხოთ კითხვას, თუ რას წარმოადგენენ ეს პროექტები თავის უმარტივეს, ანუ კომერციულ სახეში? თავს ნებას ვაძლევ, საკითხი წარმოგიდგინოთ და გაგაცნოთ იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ჩემს ცნობიერებაში შემოვიდა. ცხადია, და ბუნებრივია, შემოვიდა იმ სამეცნიერო თვალსაზრისების შუქზე, რომელთა წარდგინება ფართო საზოგადოებრიობის წინაშე შევეცადე და ღვთის შეწევნით შევძელი, ფაქტიურად, სულ ახლახანს გამოცემული ჩემი გამოკვლევებით: 1)**„გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“** (გამოიცა გამომცემლობა **„უნივერსალის“** მიერ, თსუ არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრის ეგიდით, 2011-2012 წელს), და 2)**„ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად, ანუ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის — „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში“** (მოხსენება, წაკითხული ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ქალაქ ბათუმში, 2011 წლის სექტემბერში. ეს უკანასკნელი, სათაურით: **„საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიპსის კარიბჭესთან“** გამოქვეყნდა **„საერთო გაზეთის“** 2014 წლის დეკემბრისა და 2015 წლის იანვრის ნომრებში, სრული სახით. რედაქტორი: ბ-ნი ვახტანგ ხარჩილავა. მინდა განსაკუთრებული დაფასებით მოვიხსენიო ბ-ნი ვახტანგ ხარჩილავა, ჩემი, ესოდენ მწვავე და რთული პრობლემებით დატვირთული გამოკვლევის გამოქვეყნებისათვის. აღნიშვნას იმსახურებს ფაქტი, რომ ჩემს გარშემო, საზოგადოების მიერ, ბ-ნი ვახტანგ ხარჩილავას, როგორც რედაქტორის გაბედულება, აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნებისათვის, გმირობის ტოლფასად იქნა შეფასებული). ამ ნაშრომებში გამოხატული თვალსაზრისების შუქზე მომიხდა 2015 წლის 8 ივლისს ინტერნეტ-ტელევიზიის — **„ობიექტივის“** ეთერით ჩემი პოზიციების საჯაროდ წარდგინება **„მცხეთა-იერუსალიმის“** პროექტთან დაკავშირებით, ბ-ნ ვაჟა ოთარაშვილის მიწვევით, რისთვისაც ბატონ ვაჟა ოთარაშვილისაც და ტელევიზია **„ობიექტივსაც“** მადლობას მოვახსენებ, რამეთუ ეს გადაცემა აღმოჩნდა პირველი ხმამაღალი საჯარო გაჟღერება ამ კონსპირაციულ და ფარულ დინამიკაში მიმდინარე პრობლემისა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული საზოგადოებრიობა საერთოდ არ არის საქმის კურსში, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში. უფრო მეტი: მცხეთის მეორე პროექტი: **„გეთსიმანიის ბაღი“**, ჩემთვისაც, ცნობილი გახდა **„მცხეთა-იერუსალიმის“** პროექტთან დაკავშირებული ჩემი საპროტესტო გამოსვლის შემდეგ, **„ობიექტივის“** ეთერით. მოგეხსენებათ, ორივე ეს პროექტი, **“მცხეთა-იერუსალიმიცა“** და **„გეთსიმანიის ბაღიც“**, იერუსალიმთან, ანუ ზოგადად ისრაელისა და საქართველოს ურთიერთმიმართების პოლიტიკურ გარიგებებთან, ამასთან გარედან მართულ პოლიტიკურ გარიგებებთან დაკავშირებული პროექტებია. მოგეხსენებათ ისიც, რომ ზუსტად ერთი წლის წინ — 2014 წლის ოქტომბერში, თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, მსოფლიო ებრაელობის წარმომადგენლობამ იზეიმა მსოფლიო ებრაელობის პოსტსაბჭოთა სივრცეში ოფიციალური შემოსვლის 25 წლისთავი. ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენისათვის ქართულ საზოგადოებრიობას არავითარი ყურადღება არ გამოუჩენია. ეს ოფიციალური და ხმამაღალი განაცხადი მსოფლიო ებრაელობისა ჩვენს დედაქალაქში, პირდაპირ გვიხსნის კარს ფარდაახდილი საუბრისათვის მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურებთან. ეს ღია განაცხადი არა მხოლოდ საშუალებას და შესაძლებლობას გვაძლევს ჩვენი ქვეყნის უკანასკნელი 25 წლის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პროცესები განვიხილოთ მსოფლიო ებრაელობის **„ზეიმი“**-ს კონტექსტში, არამედ გვავალდებულებს ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო სახელმწიფო პოლიტიკა (საშინაო საიდუმლო პოლიტიკის ჩათვლით ძალზედ გახმაურებული თავისი სახელგანთქმული ციხეებით და იქ განხორციელებული ღონისძიებებით) გავაანალიზოთ მსოფლიო ებრაელობის პოსტსაბჭოთა საქართველოში ოფიციალური შემოსვლის, ანუ საქართველოს ებრაულ-მასონური სახელმწიფოებრივი მმართველობის კონტექსტში და დავაყენოთ პასუხიმგებლობის საკითხი მსოფლიოს ახალი წესრიგის შედეგებზე (ისევე, როგორც ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ანუ ახალი ნიურნბერგის პროცესის თაობაზე!). არავითარი მტკიცება არ არის საჭირო იმაში, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი მსოფლიო ებრაელობის პოსტსაბჭოთა საქართველოში ოფიციალურ შემოსვლასა და ე. წ. დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს იმ აბსურდულ საგარეო და საშინაო პოლიტიკურ კურსს შორის, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი 25 წლის მანძილზე. უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენს მიერ განსახილველი ორივე პროექტი: **„მცხეთა-იერუსალიმიცა“** და **„გეთსიმანიის ბაღიც“** ერთერთი გარკვეული შედეგი და ასახვაა მსოფლიო ებრაელობის ოფიციალური შემოსვლისა პოსტსაბჭოთა საქართველოში. სანამ ამ პროექტების ანალიტიკას შევუდგებოდეთ, შევეცდები, ძალიან მოკლედ გადმოგცეთ ჩემეული ანალიტიკური ხედვა, საქართველოში მიმდინარე ეკლესიურ-სახელმწიფოებრივი პროცესების ამსახველი იმ რეალობისა, რომელთა ნიადაგზეც, ანუ რომელთა საფუძველზეც ეს პროექტები აღმოცენდნენ, როგორც საქართველოს უძველეს დედაქალაქში, მცხეთაში განსახორციელებელი პროექტები: ჩვენს მიერ დოკუმენტურად იქნა მიგნებული, რომ საქართველოში, ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის ვითარებაში, 1990 წელს, მუშაობს ფარული სიონისტურ-მონარქისტული მოძრაობა, რომელიც ინფორმაციული ომის გზით ცდილობს ქართველ ხალხს თავს მოახვიოს აზრი, თითქოს საქართველოს ისტორიული დროშის სახელწოდებაში: **“გორგასლიან-დავითიანში“** ებრაელთა ბიბლიური მეფე და მეფსალმუნე დავითი იგულისხმება და თითქოს ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტული: „დავითიანი“ ბაგრატიონთა ებრაულ წარმომავლობას ნიშნავს. ორივე ეს პრეტენზია მეტყველებს სიონისტურ-მონარქისტული მოძრაობის დაფარულ მიზანზე — საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის მითვისებაზე — ინფორმაციული ომის გზით. როგორც ვხედავთ, საქართველოს სამეფო ტახტზე პრეტენზიის გამოცხადებით, მსოფლიო ებრაელობა, რომელმაც, სულ ახლახანს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, 2000 წლოვანი დაკარგული სახლმწიფოებრიობა აღიდგინა, სამეფო ძალაუფლების აღდგინებისათვისაც ყოველი მიმართულებით იბრძვის. რამდენადაც ებრაული ისტორიული სახელმწიფოებრიობა სამეფო ძალაუფლებას გულისხმობს, ისრაელის გარკვეულ ძალებს სურთ შექმნან პოზიცია, რომ პრეტენზია ისრაელისა საქართველოს სამეფო ტახტზე, ისეთივე ბუნებრივია, როგორც ორიათასწლოვანი დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. უკანასკნელ ხანებში ებრაელთა გარკვეული ძალები აქტიურად შეუდგნენ ასევე ცრუთეორიის გავრცელებას, თითქოს ქართველი და ებრაელი ხალხი, ორივე ეს ხალხები ერთი მოდგმისანი — იბერიული მოდგმისანი არიან. თუ დავაკვირდებით, ზემოთ აღნიშნულ იმ ორ პოზიციას, ანუ: ერთი მხრივ, საქართველოს ისტორიულ დროშაში — **„გორგასლიან-დავითიანში“** — ებრაელთა მეფის ძიებას და ქართველ ბაგრატიონებში — ებრაული წარმომავლობისას, ხოლო მეორე მხრივ, ებრაელთა 4 მცდელობას, რომ თავიანთი თავი ქართველური მოდგმისად წარმოაჩინონ, უნდა დავასკვნათ, რომ ებრაელებს სურთ, ჩვენ, ანუ ჩვენს მეფეებს ებრაელობა დააბრალონ, ხოლო თვითონ, მთელმა ებრაელმა ხალხმა დაიბრალოს ქართველობა: ე. ი. ჩვენ — ქართველი ხალხი, ჩვენი მეფეების წარმომადგენლობით, ვყოფილვართ ებრაელები, ხოლო ისინი, როგორც ხალხი და როგორც მოდგმა, ყოფილან **„ქართველები“**, ანუ **„იბერიელები“**. ქართველი ხალხისთვის წარმოუდგენელი ეს ებრაული პრეტენზია, როგორც ინფორმაციული ავანტიურა საქართველოს მიმართ, დოკუმენტურად არის გაცხადებული ერთერთი ქართველი ავტორის მიერ ჯერ კიდევ 1990 წელს გამოქვეყნებულ ე.წ. კვლევით-მეცნიერულ ნაშრომში, რომელიც დიდი ალბათობით დაკვეთილი გამოკვლევა უნდა იყოს (მხედველობაში გვაქვს ცირა ინწკირველის გამოკვლევა ქართული დროშების ფერთა სიმბოლიკის შესახებ). როგორც მოგახსენეთ, საკითხი ეხება საქართველოს ისტორიული დროშის სახელწოდების: **„გორგასლიან-დავითიანის“** ახალ ინტერპრეტაციას. დასახელებული ავტორის აზრით **„გორგასლიან-დავითიანად“** წოდებულ ქართველთა ისტორიულ დროშაში, **„დავითიანის“** წოდებაში იგულისხმება ებრაელთა სახელგანთქმული მეფე დავითი, მეფსალმუნე და წინასწარმეტყველი და არა ქართველთა დიდი მეფე: დავით აღმაშენებელი. ქართული საზოგადოებისთვის წარმოუდგენელი პრეტენზია იმისა, რომ საქართველოს წმინდა ქართული ისტორიული დროშა გაგებულ იქნას, როგორც ქართულ-ებრაული, 1995 წლიდან იცვლება და ვლინდება საქართველოს პრო-სიონისტური ხელისუფლების მიერ ახალი პრეტენზიით: საქართველოს სახელმწიფო დროშად შემოტანილ იქნას დღეისათვის გაურკვეველი მნიშვნელობის ხუთჯვრიანი დროშა, რომლის დაკანონებაც ხდება ე.წ. **„ვარდების რევოლუციის“** სპექტაკლით მოსული ხელისუფლების მიერ.

**დენიზა სუმბაძე**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

## აშშ-ს ცეკას მეორე მდივანი საქართველოში!

**„ფარული მტრისაგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკარისაგან“.
ფარტაზი (ფარტაძე), კოლხი ორატორი, მე-6 საუკუნე**

გილოცავთ შობა-ახალ წელს! ვისურვებდი, რომ წელს მაინც გვეღირსოს მშვიდობა!

საბჭოთა ხელისუფლების ზეობის, კერძოდ სულაძაღლებული ხრუშჩოვის დროიდან, მოკავშირე რესპუბლიკებში ცკ-ის მეორე მდივნად ინიშნებოდნენ საკავშირო ცკ-დან მოვლინებული პიროვნებები! ეს ხდებოდა იმიტომ, რომ რესპუბლიკებზე ზედამხედველობა ყოფილიყო უფრო ეფექტური! მართალია მშობლიურ ენასა და კულტურასთან ურთიერთობას არავინ გვიკრძალავდა და ამიტომაც იყო, საქართველო, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის (შეიძლება ასე ითქვას) ამ კუთხით ერთ-ერთი განვითარებული რესპუბლიკა! დიდი ყურადღება ექცეოდა ქართულ განათლებასა და კულტურას! მეცნიერების ყველა დარგის განვითარება იყო აყვანილი უმაღლეს დონეზე! ყვაოდა მსუბუქი და მძიმე მრეწველობა, სოფლის მეურნეობა! რა ხდება დღეს თავისუფალ(?) საქართველოში? დაკნინებულია განათლება! არ იქნა და არ დაადგა საშველი ნორმალური, განათლებული, ერუდირებული მინისტრის დანიშვნას! ქართული მეცნიერება სულს ღაფავს! ალბათ, ეს ყოველივე იმის ბრალია, რომ მას ვინც ამ საკითხს უნდა მიხედოს, საკმაო ინტელექტი არ გააჩნია! ხომ არ დადგა დრო, **“პური მეპურემ გამოაცხოს”**? რა უნდა განათლების მინისტრად სანიკიძეს? ან ენერგეტიკის მინისტრად კალაძეს? თავდაცვის მინისტრად ხიდაშელს? კულტურის მინისტრად გიორგაძეს? იუსტიციის მინისტრად წულუკიანს? საერთოდ რა სამინისტრო კაცია ზაქარეიშვილი, აგულაშვილი... საერთოდ, ვისი უფლებების დამცველია, ეს გზააბნეული, შემთხვევით (ეეჰ, ბატონო ბიძინა, ბატონო ბიძინა, რა დაგიშავა საქართველომ ამისთანა, რომ ეს გაუნათლებლები დაგვასვით თავზე და აპარპაშებთ! მაგრამ, მალე გაზაფხული მოვა და ყველას თავის ადგილ-სამყოფელს მიუჩენს ხალხი!) მოხვედრილი, ეგრეთ წოდებული უფლებების დამცველი, ნანუაშვილი?!

ზემოთ, სათაურად კომუნისტური ეპოქა გავიხსენე. ეს განაპირობა იმან, რომ ზემოთაც ვთქვი და ეხლაც გავიმეორებ, რესპუბლიკები არც ისე შეზღუდულები იყვნენ, როგორც გვიხატავენ! აი, შეზღუდულები და დაკაბალებულები დღეს ვართ, თუ ვართ! აბა გაიხედეთ რა ხდება დღეს საქართველოში? თუთიყუშებივით, რომ გავიძახით თავისუფლები ვართ, თავისუფლები ვართ, რაში გამოიხატება ეს თქვენი ქებული თავისუფლება? ხელისუფლების ნებისმიერ ნაბიჯს ბეჯითად აკონტროლებს აშშ-ს **“ცკ-ს მეორე”** მდივანი, ამხ. (ნაი)კელი!!! მას შემდეგ რაც საქართველოში აშშ შემოვიდა, იმის მერე არ იქნა და არ დალაგდა ჩვენთან ვითარება, ვერ მოვიცილეთ ეს მოურჩენელი სატკივარი! ყველა წვრილმანის გამგებელი აშშ-ს ელჩია!!! მის გარეშე ვერავინ გაბედავს და გააკეთებს საქართველოსათვის სასარგებლოს, იოტის ოდენა საქმეს! მისი მითითებით ინიშნებიან საკვანძო თანამდებობებზე დაუმსახურებლად ეს უვარგისი სუბიექტები! მაგალითად თავდაცვის, გარემოს დაცვის მინისტრები! მისი მითითებით არ დატოვა პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა, ამ მართლა ნაღდმა ქართველმა ახალგაზრდა კაცმა, პრემიერის თანამდებობა? ვერ აიტანეს მისი ჭეშმარიტი ქართველობა! არ აპატიეს ნათქვამი – ქართული ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის კავშირი! კარგი, ბიძინა თავის მილიარდებს უფრთხილდება და ამიტომაც ცეკვავს მათ დაკრულზე, მაგრამ სხვებს რა უბედურება დაეტაკათ ასეთი უსაშველო, რომ ასე ეფოფინებიან ამ სავარძლებს? გაგიტკბათ უზრუნველი ცხოვრება ხალხის ფულით, სახელმწიფოს ხარჯზე? საინტერესოა, მათ ვისაც დღეს თანამდებობები გიკავიათ, თავმოყვარეობა გაგაჩნიათ? თოჯინებივით, რომ ბუქნაობთ მათ დაკრულზე, სინდისის ქენჯნა (?) არ გაწუხებთ? შვილებს რას ეუბნებით? ღმერთი ყველაფერს მოგკითხავთ, მისხალ-მისხალ! ვინ მიყრიან პოლონეთის, ბალტიისპირეთის ან აშშ-ს ელჩები, რომ მათი ნებართვის გარეშე ვერ ბედავთ ხალხის დიდი უმრავლესობის მოთხოვნა დააკმაყოფილოთ და დიდი სტალინის და დიდი დავით მეფის ძეგლები დააბრუნოთ იქ სადაც იდგა? საინტერესოა, ტუალეტში წასვლაზეც მათ ეკითხებით ნებართვას? ამ ქვეყანას ნორმალური ხელისუფლება, რომ ჰყავდეს, ამათ ყველას კინწისკვრით გაყრიდა აქედან, მაგრამ სად არის ნორმალური პატრონი! ესენი ხომ სხვის დაკრულზე ბუქნაობენ, ამათ ხომ სხვის ნათქვამზე აქვთ ფეხი აწყობილი, და ამიტომაც შევარქვი მათ ფეხისუფლება!!! ვაი თქვე უბედურ დღეზე გაჩენილებო და ვაი საქართველოს თქვენი შემხედვარე! უფალს შევთხოვ, სამშობლოზე უკეთესი ვისაც რა გაგაჩნიათ, ყველაფერი ცეცხლმა დაგიწვათ! ამინ!

მხოლოდ უფლის იმედად მყოფი, ორი დაღუპული მებრძოლის მამა,

**ანზორი დანელია**

თემის გაგრძელება: ამხანაგო იან კელი, ქვეყანა რომ აიკელი, ცოტა გრძნობებს დაუკელი, თუ არა და, წაი სახლში, იან კელი. როგორც აქამდე ვიყავით (ამერიკის გარეშე!), ისევ ისე გავძლებთ, კელი!!!

## დევიდ კემერონი – ევროკავშირი დასრულებულია, დროა ნატოზე დაფუძნებულ ახალ ეკონომიკურ კავშირზე ვიფიქროთ



**„ევროკავშირი დასრულებულია“** – განაცხადა ბოლო შეხვედრიდან გამოსულმა დევიდ კემერონმა. ამასწინანდელი დილის ექვსის ნახევრამდე გაგრძელებული მოლაპარაკებები შეთანხმების მცირე იმედსღა ტოვებს, თუმცა როგორც ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა ტუსკმა განაცხადა, თუ საჭირო გახდება მოლაპარაკებები კვირამდე გაგრძელდება. ვერც ინგლისურ საუზმეზე დილამდელმა მოლაპარაკებებმა გამოიღო შედეგი. 28 წევრი ქვეყნის 4 პუნქტზე შეთანხმება ამ დრომდე შეუძლებელი აღმოჩნდა. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ კემერონს ძალიან გაუჭირდება ბრიტანელების დარწმუნება, ივნისში მოსალოდნელ რეფერენდუმზე ევროკავშირში დარჩენას დაუჭირონ მხარი. იმის მიუხედავად, რომ ბრიტანეთი არც ევროზონაშია, არც შენგენში და ყველაზე მეტად არის დაცული ევროკავშირის ნეგატიური ზეგავლენისგან, ბრიტანელების უდიდესი ნაწილი ინგლისში აღმოსავლეთ ევროპელთა მიგრირებას ეწინააღმდეგება.

მიმდინარე ევროპულმა სამიტმა ევროკავშირის ისტორიული კრიზისის მრავალი ასპექტი გამოაჩინა: ვიშეგრადის ქვეყნების ერთიანი და განსხვავებული პოზიცია, გერმანიის მარტო დარჩენილი შენგენის გადარჩენის გეგმა, ბრიტანეთის შანტაჟისტური მიდგომები, ავსტრიის წინააღმდეგობრივი პოზიციები, საბერძნეთის დაუცველი საზღვრები და თურქეთის ერთადერთ იმედად წარმოჩინება, როგორც ჩანს საბოლოო დაღს დაასვავს ევროკავშირის მომავალს. მდგომარეობის ხსნის უკანასკნელ გასაღებად ევროკავშირის მესვეურებს მიაჩნიათ ის, რომ თუ რეფერენდუმში ბრიტანეთის მოსახლეობა ხმას მისცემს ევროკავშირიდან გამოსვლას, მაშინ შოტლანდიელები დააყენებენ ინგლისის შემადგენლობიდან გამოსვლის საკითხს.

საკმაოდ მყიფე იმედი გახლავთ!

საინტერესოა, რას ფიქრობენ ამის თაობაზე ქართველი ლიბერასტები, განსაკუთრებით კი ის რესპუბლიკელები, რომლებიც უსაპნოდ უძვრებიან უკანალში ევროპელ გადაგვარებულებს!

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია “ზუგდიდი”-“ფერონიკელის” თამაშზე განცხადებას ავრცელებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გამოეხმაურა ზუგდიდის საფეხბურთო გუნდის **„ზუგდიდის“** კოსოვოს **„ფერონიკელთან“** გამართულ ამხანაგურ მატჩს. სფფ-ის განცხადებით, უმაღლესი ლიგის კლუბებს აქვთ ვალდებულება მასთან შეათანხმონ ინფორმაცია საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩატარების შესახებ.

**„ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სფფ ფაქტის გამოვლენის შემდეგ იმოქმედებს სფფ-ს, უეფასა და ფიფას დებულებების შესაბამისად, რომლის დაცვა წარმოადგენს ვალდებულებას სფფ-ს ნებისმიერი სუბიექტისთვის“,** – ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

თავის მხრივ, **„ზუგდიდიც“** გამოეხმაურა ქართული მედიასაშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას, საქართველოს მიერ არაღიარებულ კოსოვოს ერთ-ერთ გუნდთან, **„ფერონიკელთან“** გამართული შეხვედრის შეახებ. კლუბი ადასტურებს ფაქტს და მომხდარის გამო ბოდიშს იხდის.

**„მართალია, კოსოვოს რესპუბლიკა აღიარებული ჰყავს, საქართველოს მთავარ პარტნიორ ქვეყნებს, როგორიცაა, აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და ევროკავშირის სხვა ქვეყნები – სულ ასზე მეტ სახელმწიფოს. მიუხედავად ამისა, ვაღიარებთ, რომ ს.კ. „ზუგდიდის“ მხრიდან მოხდა პოლიტიკური საკითხისადმი ყურადღების მოდუნება, რის გამოც ვიხდით ბოდიშს“,** – ნათქვამია კლუბის განცხადებაში.

**„ფერონიკელთან“ „ზუგდიდმა“** თურქეთში 5 თებერვალს გამართა ამხანაგური შეხვედრა, რომლის ამსახველი ფოტოებიც ინტერნეტში გავრცელდა.

## გუბერნატორი: სამეგრელოს რეგიონში ჩაის კულტურის აღორძინება იგეგმება



სამეგრელო-ზემო სვანეთში ქართული ჩაის კულტურის აღორძინების მიზნით მარტის თვეში ჩინეთიდან დელეგაციას ელოდებიან. მათთან ერთად ჩამოვლენ ევროპელი სპეციალისტებიც. ამის შესახებ რეგიონის გუბერნატორმა ლევან შონიამ საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის გადაცემა **„ეპიცენტრში“** განაცხადა.

მისი ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის მხრიდან ჩაის კულტურის აღორძინების პროგრამის დამტკიცების შემდეგ, სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელიასთან ერთად ჩინეთში იმყოფებოდა, სადაც ამ კულტურის მწარმოებელ უმსხვილესი კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის განმარტებით, შეთანხმდნენ, რომ საქართველოში ისინი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწებს შეისწავლიან – აიღებენ შესაბამის ანალიზსაც. მისივე თქმით, კომპანია საქართველოში ჩაის კულტურის საკუთარი ინვესტიციებით აღორძინებას აპირებს.

**„რაც მთავარია, ისინი სკოლის გახსნასაც აპირებენ, სადაც წელიწადში 30 ახალგაზრდას მოამზადებენ ჩაის კულტურის განვითარების საკითხებზე. და მთლიანად ჩვენი ჩაის პროდუქცია გავა საზღვარგარეთ. მე ვკითხე მათ, რა ხარისხის ჩაის აღორძინებას გეგმავენ ჩვენთან, პირდაპირ თქვეს – საშუალო დონეზე და მაღლაო. დაბალი ხარისხის კულტურაზე ფული არ დაიხარჯებაო. ჩვენ იმისთვის მოვდივართ საქართველოში, რომ უმაღლესი ხარისხის ჩაი გამოვუშვათო“.**

ლევან შონიას სიტყვებით, ჩინელი სპეციალისტების მტკიცებით, ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 10-15 ტონა მოსავალის მიღებაა შესაძლებელი, რაც აძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ გლეხი, რომელიც ამ კულტურის მოყვანით იქნება დაკავებული, გაცილებით მეტ შემოსავალს მიიღებს, ვიდრე მოსახლე, ვისაც თხილი აქვს.

**„სამეგრელო-ზემო სვანეთში ჩვენ ვნახეთ ის მიწები, რომლებიც დღეს სახელმწიფოს საკუთრებაშია, და სადაც ჩაის კულტურის მოყვანა შეიძლება. დაახლოებით 1.200 ჰექტარია“,** – აღნიშნა გუბერნატორმა.

**საინფორმაციო სააგენტო “ლაივპრესი”**

## გალის მკვიდრი: ენგურის ხიდზე გადაადგილება ე.წ. საშვის გარეშეა შესაძლებელი

ენგურის ცენტრალური ხიდის და ნაბაკევი-ხურჩის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთა ე.წ. საშვის გარეშეა შესაძლებელი, უთხრა **„ლაივპრესს“** ოტობაიის მკვიდრმა.

**„სამი დღე ენგურის მთავარ ხიდზე და ნაბაკევის გადასასვლელთან უპრობლემოდ გადადიან. მე აბხაზ მესაზღვრეს ველაპარაკე და მითხრა ოტობაიაშიც დაიწყება, მაგრამ რუსებს უნდა მოუვიდეთ ზეპირი ბრძანებაო. ამბობენ ხვალიდან ჩვეულებრივად გავუშვებთ ხალხსო. ეხლა აქ ხალხია შეკრებილი და ელოდებიან დღის ბოლოსთვის უეჭველი გაიხსნებაო, ან ხვალ დილით. ეს ყველასთვის კარგი ამბავია“,**– ამბობს გალის მკვიდრი, რომლის ინფორმაციით, ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ გამშვებ პუნქტებზე თვის ბოლოდან აფხაზ სამხედროებს რუსეთის სამხედროები ჩაანაცვლებენ.

ე.წ. საშვის შესაძლო გაუქმების და თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის აკრძალვის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას არ გაუვრცელებია.

სადავო არ არის ის ამბავი, რომ ენგურზე **“აფხაზური ბარიერის”** მოხსნა დიახაც რომ რუსეთის კეთილი ნება გახლავთ და თუ ჩვენს ხელისუფლებას ეყოფა იმის პოლიტიკური ნება, რომ რუსეთთან ურთიერთობები დაალაგოს, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებული უამრავი პრობლემა ავტომატურად მოიხსნება. ხოლო თუ კვლავაც გავაგრძელებთ რუსეთთან კონფრონტაციის სააკაშვილი-დარჩიაშვილ-ბოკერია-თარგამაძის დამღუპველ კურსს, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება მარადჟამს აუხდენელ ოცნებად გვექცევა!



# ევროკავშირთან მიახლოებამ ქვეყნის ბიუჯეტში სარიტუალო მომსახურების ხარჯები გაზარდა

*„მარქვი რომელს შვილს ჰხედავ ღირსეულს*
*რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?!"*
**ნიკოლოზ ბარათაშვილი**

საქართველოს ხელისუფლებამ მომავალი არჩევნებისთვის მზადება დაიწყო და გავრცელებული ინფორმაციით ივანიშვილი პროფესიონალიზმისა და მინიმუმ, ორი უცხო ენის ცოდნის შესაბამისად თავად არჩევს ახალ სახეებს, ანუ ახალ სატყუარას **„ოცნების"** სიისთვის. რა გააკეთა ძველმა გუნდმა და რისთვის ირჩევენ ახალ სახეებს, არსებობს რაიმე გონივრული მიზანი? ერთი რამ ცხადია, რომ ექსპრემიერი მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს ვერ აანალიზებს, ხოლო შევარდნაძე-სააკაშვილის პოლიტიკური გზის გაგრძელება საქართველოსთვის დამღუპველია.

ჟურნალისტის შეკითხვაზე – როგორ მოიქცეოდა ხელისუფლება ტერიტორიების დაბრუნების სხვა ალტერნატივა რომ გაჩნდეს, ივანიშვილი პასუხობს: სხვა ალტერნატივა არ გაჩნდება, ჩვენ **ნატო**-ში და ევროკავშირში უნდა შევიდეთო. ხელისუფლება ცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს, რომ **ნატო**-ში შესვლა და რუსეთისთვის რაკეტების დამიზნება საქართველოსთვის უფრო მომგებიანია, ვიდრე რუსეთთან ურთიერთობის დათბობა და ქვეყნის გამთლიანება. ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ **ნატო**-ში შესვლა და რუსეთთან ურთიერთობის დათბობა ერთად შეუთავსებელია. ქვეყნის ხელმძღვანელობამ ვერც ის ფაქტი შეაფასა, რომ 31 დეკემბერს პუტინმა ხელი მოაწერა დოკუმენტს უსაფრთხოების ახალი სტრატეგიის შესახებ და ამერიკის ე.წ. პარტნიორი ქვეყანა რუსეთის მტრების სიაში აღმოვჩნდით, რადგან შეერთებული შტატები და **ნატო** რუსეთისთვის საფრთხის მატარებელი გახდა. არც საქართველოს ხელისუფლებას და არც ექსპერტებს (გარდა ჰ. ჭიპაშვილისა) სიტუაციათა პროგნოზირება და რეალურად შეფასება არ ძალუძთ. მათი რიტორიკით ამერიკა ეძებს რესურს რუსეთის წინააღმდეგ და ეს იდეოლოგია ნორმად მიაჩნიათ. ისინი მიმართულნი არიან როგორ ჩაიწერონ ქულები ამერიკელებთან და როგორ უჩქმიტონ რუსეთს, რაც ქვეყნის მომავალზე უარყოფითად აისახება. დასავლეთი ჩვენით მანიპულირებს რუსეთის გასაღიზიანებლად და ისწრაფვის მუდმივად დაპირისპირებული ვიყოთ რუსეთთან. რუსეთი დაინტერესებულია, რომ საქართველოდან დამიზნებული რაკეტების სამიზნე არ გახდეს და მისი სახით ჰყავდეს ეკონომიკურად ძლიერი და სტაბილური მეზობელი ქვეყანა. რუსეთის დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე დადებითად აფასებს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას: **"არ გვსურს, რომ საქართველოში შეიქმნას ანტირუსული ისტერიის რეციდივები"** – ამბობს იგი, **"მაგრამ ეს სურთ ამერიკის ძაღლიშვილებს, ხოლო ურთიერთობის დაძაბვისთვის ამერიკა არ იშურებს გრანტებს, რათა საქართველოში მუდმივად იყოს მტრის ხატი და ანტირუსული განწყობა".** საქართველო-რუსეთის ურთიერთობის დათბობა და უვიზო მიმოსვლა გლეხკაცის შრომის დაფასების და სოფლის გაძლიერების წინაპირობაა, ამას კი მხოლოდ საქართველოს მტრები – ამერიკის ავანტიურისტი ძაღლისშვილები თუ შეეწინააღმდეგებიან გარკვეული დივიდენდების სანაცვლოდ. საქართველოს მოსახლეობის მოაზროვნე ნაწილი ხელისუფლებას სწორედ ქვეყნისთვის მიუღებელი და დამანგრეველი ევროპული კურსის გატარებაში ადანაშაულებს, ხელისუფლებას კი საკუთარ ქვეყანაში ძალა არ შესწევს ხალხის ნება გამოხატოს, რადგან ქვეყანას სუვერენიტეტი არ გააჩნია.

თავის დროზე ივანიშვილს ჰომოსექსუალი ფროიდის ნაბოდვარის ნაცვლად გენიალური ფსიქოანალიტიკოსი გ. კლიმოვის ნაშრომები რომ წაეკითხა ადამიანის დეგენერაციის კატეგორიებში გაერკვეოდა და რჩევებს უსუფაშვილის არ ჰკითხავდა. არც **„რესპებს"** მოიყვანდა ხელისუფლებაში, არც ალასანიასა და მარგველაშვილს. წარმოიდგინეთ, რა შავად გვქონია საქმე უსუფაშვილის იდეოლოგიით რომ მართავს ქვეყანას – **ნატო**-ს გარეშე საქართველო რუკიდან გაქრებაო. რაც შეეხება ღარიბაშვილს, თანამდებობის დაუნანებლად დამთმობი საპრეზიდენტო სასახლესაც ასევე დათმობდა, როგორც ჯანმრთელი ფსიქიკის ადამიანი, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოებში უზნეობის სწავლების დამკვიდრებასაც შეეწინააღმდეგა და უცხოელებზე მიწების გაყიდვასაც შეზღუდვების გარეშე, ასევე, არ დაემორჩილა უცხო

**სამწუხაროდ ირაკლი ღარიბაშვილისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა ამერიკის შხამიანი საცეცებისგან განთავისუფლება, რადგან ამისთვის ჯერ ივანიშვილის დიქტატისგან უნდა განთავისუფლებულიყო. არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოსთვის მიუღებელი და საზიანო პროექტი მზადდება და სწორედ ამას გაემიჯნა ექსპრემიერი.**

ქვეყნის საელჩოს დირექტივას, რომელიც ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაერია. მას ვერ ათქმევინეს, რომ პუტინი საქართველოს მტერია. სამწუხაროდ ირაკლი ღარიბაშვილისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა ამერიკის შხამიანი საცეცებისგან განთავისუფლება, რადგან ამისთვის ჯერ ივანიშვილის დიქტატისგან უნდა განთავისუფლებულიყო. არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოსთვის მიუღებელი და საზიანო პროექტი მზადდება და სწორედ ამას გაემიჯნა ექსპრემიერი. განა ივანიშვილი არ წავიდა ხელისუფლებიდან სანამ ანტიდისკრიმაციულ კანონს მიიღებდა პარლამენტი? ამერიკელებს კვირიკაშვილისნაირი მორჩილი პრემიერი აძლევს ხელს, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე განაცხადა, შეშფოთებული ვარ რუსული პროპაგანდითო, რომელიც რეალურად არ არსებობს, ხოლო მის მიერ თავისუფალი დემოკრატების კადრების თანამდებობებზე დაბრუნება და ნაცებისა და პრეზიდენტის მიმართ სატრფიალო ლოზუნგების სროლა ამერიკის დირექტივების უპირობოდ შესრულების მაჩვენებელია. რუსული პროპაგანდით ამერიკელთა შეშფოთებამ, ცხადია, ქვეყნის პრემიერიც შეაშფოთა და ეს სენი ამერიკელთა დირექტივების უკეთ შესრულებაზე ორიენტირებულ ოპოზიციურ ძალასაც გადაედო. ქართული ეროვნული ღირებულებების **„დამკვიდრებაზე"** და ხელისუფლებაში მოსვლაზე მეოცნებე **„პატრიოტთა ალიანსმა"** ტელეკომპანია **„ობიექტივის"** ეთერიდან სწორედ ეროვნული იდეოლოგიით გაჯერებული პუბლიცისტ – დავით მხეიძის საავტორო გადაცემა განდევნა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ეროვნულ ღირებულებებზე აპელირება მხოლოდ ნიღაბია და საარჩევნო ხმების მიღების საშუალება **„პატრიოტთა ალიანსისათვის",** ხოლო შენიღბული პატრიოტიზმი გაცილებით საშიშია ჩვენი ქვეყნისთვის, რომელმაც არაერთი იმედგაცრუება განიცადა. საინტერესოა, რას ფიქრობს დავით მხეიძე: ობიექტივის ერთ-ერთი დამფუძნებელი – ირმა ინაშვილი **„ქართული პოლიტიკის ჟანა დარკი",** ამერიკის ინტერესებს ატარებს საქართველოში?

ამერიკის იდეოლოგია ძალადობის პოლიტიკის მატარებელია. საქართველოს ხელისუფლება ანალიზს არ აკეთებს ვის და რატომ ვუჭერთ მხარს. ამერიკას ერთპიროვნული ბატონობა უნდა მსოფლიოზე და რუსეთი ამას ეწინააღმდეგება. მას პუტინის წყალობით საამისო ღირსებაც გააჩნია და საჭირო რესურსიც, რათა მსგავს პოლიტიკას შეეწინააღმდეგოს. რუსეთის დაპირისპირება ისლამურ სახელმწიფოსთან ამერიკისა და დასავლეთის იდეოლოგიასთან დაპირისპირებაც არის და ამავდროულად საქართველოს სიმშვიდის გარანტიც. საქართველოს სუვერენიტეტი თუ საინფორმაციო სივრცე იმდენად მონოპოლიზებული აქვს დასავლეთს, რომ ამერიკა გაზპრომთან ურთიერთობასაც კი უკრძალავს საქართველოს – გაზმომარაგებას და ქვეყნის დამოუკიდებლობას საფრთხე შეექმნებაო. საღად მოაზროვნე საზოგადოება, ვფიქრობ რეალურად აცნობიერებს, რომ ახლა უფრო მეტად ვართ დამოკიდებული ამერიკის ნება-სურვილზე, ვიდრე ოდესღაც რუსეთზე ვიყავით დამოკიდებული. თუ გაზს აზერბაიჯანიდან მივიღებთ, არ ვიქნებით ამ ქვეყნის მონები? იქნებ ჩვენი მიტაცებული ტერიტორიები დაგვიბრუნა და მეგობრის სტატუსი მიიღო? არ გვედავება დავით-გარეჯის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიას?

3 წელი გავიდა **„საოცნებო"** ხელისუფლების მოსვლიდან, მაგრამ არც ეკონომიკის, არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, არც ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის მხრივ არაფერი გაკეთებულა. ამ ხელისუფლების მიზანი ეს არც ყოფილა. მან მხოლოდ ჩაანაცვლა წინა ხელისუფლება ამერიკის დაკვეთით, დაინიშნა მაღალი ხელფასები და თავი პოზიტივად მიაჩნია. ქვეყნის მთავარი მესაჭის განცხადება, რომ ხელისუფლების წარმომადგენელნი მაღალი ხელფასებისა და დანამატების გარეშე არ იმუშავებენ, გარდა იმისა, რომ ამორალურია, თავად მიანიშნებს ხელისუფლების წარმომადგენელთა უზნეობაზე, რომელიც ფულს ემსახურება და არა ქვეყნის ინტერესებს. მაღალი ხელფასები თუ დანამატები მხოლოდ იმიტომ ენიშნებათ, რომ ანტიქართული პოლიტიკით ამერიკის ინტერესების უპირობო შემსრულებელნი იყვნენ.

ქვეყნის ეკონომიკის ნგრევა წინა ხელისუფლების 9 წლიანი მმართველობის დანაშაულებრივი სისტემის გაგრძელების შედეგია, რასაც სოციალური ფონის მნიშვნელოვნად გაუარესება მოჰყვა. ეს გარემოება, ადამიანთა სიცოცხლისუნარიანობაზეც აისახა, რომელზეც დიდი გავლენა იქონია ფარმაცევტული კომპანიების მიერ წამლებზე ფასების მატებამ. ბეჭდურ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, ფარმაცევტული კომპანიების – „ავერსის" და „პსპ"-ს მიერ მიღებული მოგება დაახლოებით 700%-ს აღწევს, ხოლო კვლევებმა აჩვენა, რომ ხშირად 2.000, 3.000 პროცენტსაც აჭარბებს. ინფორმაცია იუწყება, რომ ჟურნალისტის შეკითხვაზე, რატომ არ ერევა სახელმწიფო მათ საქმიანობაში, რათა ფასების დაწევა მოახდინონ, მინისტრი პასუხობს: სახელმწიფოს ჩაურევლობა ამ საკითხში კარგია, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზნესი დაზარალდებაო. სახელმწიფო ამ საქმეში, რა თქმა უნდა არ ჩაერევა, რადგან მესამე გიგანტი ფარმაცევტული კომპანია - „ფარმადეპო" ბ. ივანიშვილის კუთვნილებაა და „ავერსისა" და „პსპ"-ს მონოპოლიზებული საქმიანობა მხოლოდ მედლის ერთი მხარეა. გადავამოწმე ორი პრეპარატის - „პრესტანსი"-სა და „პანანგინი"-ს ფასები სამივე კომპანიაში და აღმოჩნდა, რომ პირველ შემთხვევაში ყველაზე დაბალი ფასი „ავერსს" ჰქონდა, მეორე შემთხვევაში - „პსპ"-ს. ინფორმაცია იუწყება, რომ 2008წ., როცა ევროპულმა კომპანიებმა შემოიტანეს მედიკამენტები, ფასები წამლებზე მნიშვნელოვნად დაეცა. აღნიშნული პრინციპით მოქმედება „ფარმადეპო"-ს მფლობელსაც შეუძლია – წამლები დაბალ ფასში გაყიდოს, მაგრამ ივანიშვილის ლოგიკით ბიზნესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. მეტიც, კონკურენტებზე უპირატესობის მოპოვების მიზნით **„ფარმადეპომ"** მიიღო ექსკლუზიური უფლება, რათა მისმა კლიენტებმა სპეც. ბარათების მეშვეობით **„ონლაინ"** რეჟიმში ექიმთან გასაუბრებით საჭირო მედიკამენტების რეცეპტი **„ფარმადეპო"**-ს ნებისმიერ ფილიალში მიიღონ. ეს ყოველივე კი მიანიშნებს, რომ ექიმის მიერ რეცეპტის გამოწერა, რომელზეც უამრავი ქაღალდი იხარჯება, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვით არ არის განპირობებული და ევროსტანდარტებს ემსახურება ჩვენივე საზიანოდ. მით უფრო, რომ ნარკომანიასთან ბრძოლის ამ მეთოდმა შედეგი არ გამოიღო.

მედიკამენტების გაძვირება, როცა 5-დან ერთ პრეპარატს ძლივს ყიდულობს მოქალაქე, ცხადია, მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობაზეც აისახა. იმატა მიუსაფარ ადამიანთა რაოდენობამაც. მშიერ ადამიანთა რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდა გარდაცვლილთა რაოდენობაც, რაც თავისთავად ამცირებს დახმარების მთხოვნელთა რიცხვს. 2013წ. დედაქალაქში უფასოდ იკვებებოდა 13.976 ბენეფიციარი, 2015წ. გახდა – 26 ათასი. 2016 წლისთვის კი 32 ათასამდე გაზარდეს დახმარების მიმღებთა რაოდენობა, ანუ ხელისუფლებამ წინასწარ განსაზღვრა მოშიმშილე ადამიანთა მატება. როგორც მონიტორინგის ცენტრის დამფუძნებელი ლევან ხაბეიშვილი გვამცნობს, წლის განმავლობაში გამგეობები ათობით მილიონ ლარს ხარჯავენ სარიტუალო მომსახურებაზე და მიმდინარე წლიდან კიდევ 7 მილიონის გამოყოფას გეგმავენ, ანუ წინდაწინ იციან, რომ გარდაცვლილთა რაოდენობა გაიზრდება! რა თქმა უნდა, აჯობებდა ცოცხალ ადამიანს გაუხანგრძლივო სიცოცხლე სათანადო პირობების შექმნით, მაგრამ ცნობილი თეზაა – არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა, ანუ დახმარების ხანგრძლივი პროცესის ნაცვლად არ სჯობია ერთხელ უფასო კუბო უყიდო და უფასოდ გაასვენო? მოკლედ, საამურია ცხოვრება **„ოცნების"** რეჟიმში!

ლიტვის ხელისუფლების წარმომადგენელი სიამაყით აღნიშნავდა, რომ დახმარების მსურველთა რიცხვი შემცირდა. ეს კი, ფაქტიურად, მოსახლეობის 1.700 ათასამდე შემცირებამ გამოიწვია. ხომ არ ემუქრება ეს საშიშროება საქართველოსაც ვიზალიბერალიზაციის შემთხვევაში?

საქართველო ყველაზე დაბალ დონეზეა ეკონომიკის განვითარების მხრივ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, მაგრამ პირველ ადგილზე ვართ ამერიკასთან მონური მორჩილებით. რა მოვიპოვეთ იმაზე მეტი ან უკეთესი რაც გაგვაჩნდა? მხოლოდ დეკლარირებული და არარეალური დამოუკიდებლობა უამრავ მანკიერებასთან ერთად, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება მაინც ჯიქურ მიიწევს წინა ხელისუფლებების მიერ გაკვალულ ეკლიან გზაზე, რომელმაც ტერიტორიებიც დაგვაკარგვინა რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვის ფონზე, რუსეთის ბაზარიც და სოციალური ფონიც მნიშვნელოვნად დაძაბა.

დასასრულ, წარმოგიდგენთ ამონარიდს ჭ. ამირეჯიბის 2003წ. ერთ-ერთი ინტერვიუდან, რომელიც დღესაც აქტუალურია: **„ნურავის ეგონება, რომ ის უტიფრები, ვისაც გუშინ ძალაუფლება ჰქონდა, ასე იოლად დათმობენ რამეს. იმათ რაც დათესეს, ის მოიმკეს, ჩვენ ჩვენი დასათესი უნდა დავთესოთ, მარტო მათი დასჯა რას გვიშველის. ნურც იმის იმედი გვექნება, რომ ყველაფერი უცებ გამოსწორდება. სხვისი ხელით და ნაწყალობები – ნამათხოვრებით კი არა, სახარებაში წერია: ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენიო. შენი ხელით შენს მიწაზე მოწეულ პურს აქვს შენი სისხლის და ჯიშის გადარჩენის ძალა. უნდა დავანებოთ თავი ვინცხეის ქვეყანაში ძუნძულს, ჩვენ რასაც დავთესავთ, მხოლოდ იმით დაპურების უფლება გვაქვს..."**

გეცნოთ წარსული? სამწუხაროდ ის ჯერაც აწმყოა.

**იზა თამაზაშვილი**

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ბატონ დემურ ანთიას დედის,

**მარგო ქაძანაია-ანთიას**

გარდაცვალების გამო...

# არაეროვნული ხელისუფლება და ეროვნული საქმე – „მეგობრების“ სიცილ-ხარხარი შევარდნაძის დაკრძალვაზე



ამ სურათმა, რომელიც გაზეთ **„საქართველო და მსოფლიოს“** ცნობით, სააგენტო **„როიტერმა“** გაავრცელა, მსოფლიო შემოიარა: აი, ასე ხარხარებდნენ “შევარდნაძის მეგობრები”: აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ექსმინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი და მისი მეუღლე – ბარბარა, ედუარდ შევარდნაძის დაკრძალვის ცერემონიაზე. ქვეყნის ელიტა დამწუხრებული და პრობლემებისგან ქანცგაცლილი ეთხოვებოდა ადამიანს, რომლის მიმართ საზოგადოებაში ნეგატივი ბევრად უფრო მეტი იყო, ვიდრე პოზიტივი. მის სახელთან დაკავშირებულია აფხაზეთის სისხლიანი მოვლენები და ქვეყნის მთლიანობის რღვევა. იქვე, ცნობილი სტუმრების უკან, იდგნენ შევარდნაძის მგლოვიარე შვილები, შვილიშვილები, ოჯახის წევრები, ესენი კი გულიანად ხარხარებდნენ...

ცნობილია, რომ ქართველებისთვის და მთელს კავკასიაშიც, დაკრძალვის ცერემონიაზე სიცილ-ხარხარი არა მარტო მიცვალებულის, ჭირისუფლის, დამსწრე საზოგადოების, კულტურის, ტრადიციების შეურაცხყოფაა.

მაშ, რაზე იცინოდნენ ჯეიმს ბეიკერი და ჰანს დიტრიხ გენშერი? ვეჭვობ, ისინი არ გლოვობდნენ მიცვალებულს, არც ანეკდოტს ყვებოდნენ, არც პოროშენკოს უკრაინის ბედ-იღბალსა და მის მომავალზე ბჭობდნენ, ალბათ. უბრალოდ, ეცინებოდათ და იცინოდნენ. ან რა მნიშვნელობა აქვს, თუ რაზე ან ვისზე იცინოდნენ ისინი... მათ კარგად იცოდნენ, რომ ყურადღების ცენტრში იყვნენ და აქ ყოფნით გამოხატავდნენ დამოკიდებულებას საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ, მაგრამ რა უნდა ექნათ, როდესაც ჩვენს ტრადიციებსა და საწუხარს მათი ე.წ. „დასავლური ღირებულებები“ არ ითვალისწინებენ. აქ მთავარი ისაა, რომ მათ ეს არც ადარდებთ: ევროამერიკელი ბოსები ჩვენ სრულფასოვან ადამიანებად არ გვთვლიან და მხოლოდ თავიანთი გეოპოლიტიკური, სტრატეგიული და მერკანტილური მიზნების განსახორციელებლად ვჭირდებით.

აი, ეს არის აქ ჩვენთვის მთავარი და ყურადსაღები, თორემ იყო თუ არა შევარდნაძე მათთვის მნიშვნელოვანი და პატივსაცემი პერსონა, ეს სულ სხვა საქმეა.

ისე, კაცმა რომ თქვას, იგი მათგან მაინცდამაინც დიდ პატივისცემას, ეტყობა, არც იმსახურებდა, რადგან კარგად იცოდნენ, რომ შევარდნაძე ერთდროულად ორი პატრონის – ხან ერთის, ხან მეორის, ხანაც ორივესი ერთად, მსახური იყო. ამიტომ, მათ შორის, ჯაბასა და შევარდნაძის ურთიერთობისა არ იყოს, ცალმხრივ მეგობრობას ჰქონდა ადგილი: შევარდნაძე თვლიდა ჯეიმს ბეიკერს და ჰანს დიტრიხ გენშერს თავის დიდ მეგობრებად, ხოლო ისინი... რაა ამაში გასაკვირი?!

ეტყობა შევარდნაძე, როგორც რუზველტს ნიკარაგუელი დიქტატორის ანასტაზიო სამოსა გარსიას დახასიათებისას უთქვამს, „შეიძლება იყო ძაღლიშვილი“, მაგრამ პორტუგალიისა და კუბის დიქტატორებისაგან განსხვავებით, რომლებიც დიდი პატივით დაკრძალეს, როგორც ჩანს, არ იყო მათი ძაღლიშვილი.

მაშ, ვინ იყო შევარდნაძე – კაცი, რომელიც საკუთარი გარემოცვის მიერ ლამის „მსოფლიო დემოკრატიის მთავარ არქიტექტორად და უდიდეს პოლიტიკოსად“ იყო შერაცხული, თავის ქვეყანაში მშობლიური ხალხი ომსა და უბედურებას რომ ვერ გამოარიდა? განა მისი „ავტორიტეტის“ ზეობის დროს არ გასხვისდა აფხაზეთი და სამაჩაბლო, სამას ათასზე მეტი ადამიანი კი დევნილად იქცა?

ჭეშმარიტი ქართველი საკუთარ ქვეყანას, საკუთარ ხალხს ჩააგდებდა მას ასეთ განსაცდელში? **არ უნდოდა, ვერ შეძლო, არ გამოუვიდა, ძალა არ ეყო, ვერ მიხვდა და მოატყუეს** – შეიძლება ამის დაჯერება?!

ეტყობა, სულით, ხორცით, მენტალობით არ იყო ის ქართველი და ამიტომაც ქართულ საქმეს არ აკეთებდა!

თუ თავქარქაშა სააკაშვილის სომხური წარმომავლობა დღეს არავითარ ეჭვს არ იწვევს და ყველასთვის ცნობილია, ედუარდ შევარდნაძის ვინაობა ბურუსითაა მოცული და არაერთგვაროვან მითქმა-მოთქმას ბადებს.

მაშ, ვინ არის ედუარდ შევარდნაძე, როგორია მისი გვარ-სახელის გენეალოგია?!

ამას წინათ, შემთხვევით წავიკითხე ჟურნალისტ ნინო ჩხაიძის წერილი, რომელიც ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროსაა გამოქვეყნებული და, როგორც ცნობილია, მას არავითარი რეაქცია არ მოყოლია.

აი, რას წერს ჟურნალისტი ნინო ჩხეიძე: „ამ სამი წლის წინ, როდესაც მთელი საქართველო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი, ერთ-ერთი რედაქციის დავალებით საქართველოს მეორე პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მშობლიურ სოფელ მამათში მიმავლინეს. პრეზიდენტ შევარდნაძის იმ სახლის ნახვა და დათვალიერება, სადაც იგი დაიბადა, არა მარტო ჟურნალისთვის, ნებისმიერი ადამიანისთვისაც საინტერესო იყო. ეს ინტერესი მამათში ჩასულს ცოტა ძვირი დამიჯდა და რომ არა პრეზიდენტის ბიძაშვილი გურამ (ბიჭოლია) პატეიშვილი, მამათიდან, ალბათ, საერთოდ უმასალოდ ჩამოვიდოდი.

აი, რა მიამბო პრეზიდენტის ბიძაშვილმა: „მამაჩემის მამა და ედუარდის დედა ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ. დედა ჰყავდა ედუარდს შესანიშნავი პიროვნება. სურათი რომ ნახოთ, გაგიჟდებით, ისე ჰგავს დედამისს. საერთოდ, შევარდნაძეების გვარი ძლიერი და ჭკვიანი გვარია, იმიტომ კი არა, პრეზიდენტის რომ არის, უბრალოდ, გამორჩეულია. ეს გვარი ზუსტად იმ თვისებების გამტარებელია, რომლებიც ქართველ ერს ახასიათებს. მე სუფსაში ვმუშაობდი, სახლს ვაგებდი. ნუგზარ შევარდნაძის სახლიც ჩემი აგებულია. სუფსაში იყო ხალხი, ვინც სუფრასთან შეგნებულად მპატიჟებდა იმისთვის, რომ გაეგოთ, საიდან იყო წამოსული ედუარდის დედის გვარი. ვგიჟდებოდი ამის გამგონე! მე თუ არა, აბა, ვის უნდა სცოდნოდა, სადაურია პატეიშვილის გვარი! ხან ფრანგობას გვაბრალებდნენ და ხან – გერმანელობას. ყველაფერი ხალხის მონაჭორია“. ბიჭოლია პატეიშვილი სუფსაში კომუნისტური რეჟიმის ხანაში მუშაობდა. მაშასადამე, პრეზიდენტის წარმომავლობაზე ეჭვი ჯერ კიდევ იმ დროს გაჩნდა. და მაინც, რატომ ამახვილებს საზოგადოება ყურადღებას პრეზიდენტის (და არამარტო მის) გენეალოგიაზე? დარწმუნებული ვარ, შევარდნაძეს საქართველო რომ აეყვავებინა, კაციშვილს აზრად არ მოუვიდოდა მისი წარმომავლობის ქექვა, მაგრამ ახლა, როდესაც ქვეყანა დაქცეული, გაყიდული და გადაგვარებულია, ბუნებრივად ისმის კითხვა: ნუთუ შეეძლო სისხლით ხორცამდე ქართველს საკუთარი ქვეყნის ამ დღეში ჩაყენება?!

მწერალმა და პუბლიცისტმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარმა, ბატონმა გივი ცქიტიშვილმა 1999 წელს გამოსცა წიგნი „საქართველოს შავი დღეების ქრონიკა“, სადაც ერთ-ერთი თავი – „რომელი ქვეყნის მოქალაქეა შევარდნაძე“ – პრეზიდენტის წარმომავლობას ეხება. ბატონი გივის თქმით, ამ წიგნს პრეზიდენტამდეც მიუღწევია. შევარდნაძეს წიგნი გადაუთვალიერებია და ირონიულად უთქვამს – ამ წიგნიდან მაინც გავიგებ სადაური და ვინა ვარო.

გივი ცქიტიშვილი: შევარდნაძის საეჭვო წარმომავლობის შესახებ პირველად 1994 წელს შევიტყვე. შევხვდი ნაცნობს – ერთ-ერთი პოპულარული სახელმწიფო სამსახურის ყოფილ პასუხისმგებელ მუშაკს, რომელმაც ასეთი რამ მიამბო: „ედუარდ შევარდნაძე ახალი არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, როცა მე, ჩემი მაშინდელი სამსახურის წყალობით, შავი ზღვის ერთ-ერთი ცნობილი სანატორიუმის საგზური მივიღე. ორადგილიან პალატაში მოსკოვიდან ჩამოსული დამსვენებელი დამხვდა, გვარად ვასილიევი, რომელიც საკავშირო ცეკას სპეცგანყოფილების წამყვანი მუშაკი იყო. მალე დავახლოვდით. იმ პერიოდში საკავშირო ტელევიზია, რადიო, პრესა ანშლაგით აძლევდა მასალებს შევარდნაძის საქმიანობაზე და ეს მეამაყებოდა! ასეთ ეიფორიაში რომ ვარ, ერთ საღამოს ვასილიევი მეკითხება: Вахтанг Николаевич, знаете ли вы, что ваш Первый секретарь ЦК КП Грузии, товарищ Шеварднадзе по национальности еврей?.. გავოცდი, ვიფიქრე, მომესმა-მეთქი. ვასილიევმა მითხრა, რომ მას არაერთხელ სჭერია ხელში შევარდნაძის დოსიე, რომელიც პირადად მისი ხელით იყო შევსებული და „სრულიად საიდუმლო“-ს გრიფით სკკპ ცკ-ის სპეცგანყოფილებაში ინახება, სადაც მას ეროვნებად „ებრაელი“ უწერია!..“ ასე დაამთავრა თავისი სათქმელი ბატონმა ვახტანგმა. რა უნდა მეპასუხა? მე მხოლოდ ის ვიცი, ისიც – გადმოცემით, რომ შევარდნაძის დედა „ლუქსემბურგელი“ გერმანელი იყო წარმოშობით, ანუ დღევანდელი ბოლნისიდან, სადაც მათი წინაპრები რუსებმა ჩაასახლეს და 1944 წელს, როცა მეორე მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა, სტალინმა ისინი ისევ რუსეთს დაუბრუნა. მახსოვს ისიც, რომ ამ ორიოდე წლის წინ გერმანიაში მიმავალმა ედუარდ ამბროსოვიჩმა თვითმფრინავში, ინტერვიუს დროს, განაცხადა: – მიყვარს და პატივს ვცემ გერმანელ ხალხს! – და, თითქოს ხუმრობით, – თუნდაც იმიტომ, რომ ამ ხალხთან ნათესაობა მაკავშირებსო. ზოგმა ეს ისე გაიგო, თითქოს პირდაპირ ეთქვას – მე ხომ დედა გერმანელი მყავსო.

ეჭვს ისიც ბადებს, რომ მისი დედის წარმომავლობის შესახებ ყველანაირი საბუთი გამქრალია, ერთი დაწერილი სიტყვა არ არსებობს თურმე! გარდა ამისა, 1993 წელს მოსკოვში ასიათასიანი ტირაჟით გამოიცა წიგნი „ხელისუფლება და პიროვნება“, რომლის ავტორია ვინმე პ. პერესვეტი. წიგნში დოკუმენტურად არის აღწერილი 1917-1993 წლებში სსრკ-ში მოღვაწე უმაღლესი რანგის პარტიული და საბჭოთა ხელისუფლების ჩინოსანთა თანამდებობა მათი ეროვნების მითითებით:

„მ.ს. გორბაჩოვი – ებრაელი დედით.

ა.ნ. იაკოვლევი, იგივე იაკოვ ლევი – ებრაელი.

ვ.ა. მედვედევი, სსკპ ცკ მდივანი იდეოლოგიის დარგში, იგივე ცუკერმანი – ებრაელი.

ე.მ. პრიმაკოვი – გაუ-ს გენერალური დირექტორი, იგივე კირშენბალტი – ებრაელი.

ბ.ნ. ელცინი – ныне хозяин России – еврей.

ვ.ა. ბაკატინი კგბ-ს მინისტრი – ებრაელი.

ე. შევარდნაძე – ებრაელი.

– ბატონო გივი, რამდენადაც ვიცი, თქვენთვის ცნობილია პრეზიდენტ შევარდნაძის დედის ნამდვილი გვარი...

– საზოგადოება „XXI საუკუნეში“ მოვიდა კაცი პროფესიით მშენებელ-ინჟინერი, რომელმაც განაცხადა, რომ მან მამათში პრეზიდენტის დედ-მამის საფლავის ქვაზე წარწერილი გვარი გიტლინგი პატეიშვილად გადააკეთა. ამის მერე ეს კაცი აღარ გვინახავს.

– იმ უცნობს გვარი გიტლინგი პატეიშვილად როდის გადაუკეთებია?

– ამბროსი შევარდნაძის გარდაცვალების შემდეგ. სხვათაშორის, ისიც გაირკვა, რომ შევარდნაძე ქართული გვარი არ არის. ქართული გვარია შევარდენიძე. გარდა ამისა, მაქვს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტის მეუღლე ნანული ცაგარეიშვილი ცაგოლოვა ყოფილა.

– საიდან?

– ერთხელ მატარებელში გორელი კაცი დამემგზავრა, რომელმაც გვითხრა – შევარდნაძის მეუღლე ნანული ცაგარეიშვილი წარმოშობით გორიდან არისო. არადა, ცნობილია, რომ პრეზიდენტის მეუღლე საგარეჯოელი ცაგარეიშვილია. აი რა გვიამბო გორელმა მგზავრმა: „ნანული ცაგარეიშვილი გორშია დაბადებული. მამამისი გორელი ოსი იყო, გვარად – ცაგალოვი. ამბობდნენ, პოლიტიკური ბრალდებით დახვრიტესო ოცდაჩვიდმეტში. პატარა ვიყავი მაშინ, მაგრამ დღესაც მზარავს იმ შიშის გახსენება, რასაც ბავშვები განვიცდიდით, როცა მისი დახვრეტის შესახებ საუბრობდნენ უფროსები. ყველა გორელმა იცოდა, ქალბატონი ნანულის მამა ოსი რომ იყო, გვარად ცაგალოვი. ნანულის დედამ ქმრის დახვრეტით გამოწვეულ დარდს ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. ობლად დარჩენილი შვიდი წლის ნანული მამიდამ საგარეჯოში წაიყვანა და იქ გაზარდა. ეტყონა, ჭკვიანი ქალი იყო ნანულის მამიდა და იმაზეც იზრუნა, რომ მამის ბრალდებას შვილის მომავალზე ცუდად არ ემოქმედა. მიდგამოდგა და მამის გვარი ცაგარეიშვილად გადააკეთებინა, რაც კახეთისთვის უპრეცედენტო შემთხვევა იყო: ცაგარეიშვილები ხომ იმერლები არიან, ძირითადად სამტრედიიდან“.

– ქალბატონი ნანული თუ შეგეხმიანათ ამასთან დაკავშირებით?

– რა თქმა უნდა. ქალბატონი ნანული ამბობს, მართალია, გორში, ოსის ოჯახში დავიბადე, მაგრამ ოსი არ ვარო. საქართველოში დაბრუნებულმა შევარდნაძემ პირველი, რაც გააკეთა, ოსეთისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება გახლდათ და ეს არ იყო შემთხვევითი.

– ბატონო გივი, არ გეშინიათ, ამგვარ განცხადებებს რომ აკეთებთ?

– მე რა შუაში ვარ? ამას ხალხი ლაპარაკობს. პრეზიდენტი ურია რომ არის, ამის შესახებ თვითონ, თავისი ხელით აქვს შევსებული ბარათი. ზვიად გამსახურდიამ გროზნოში ყოფნის დროს თბილისში წერილი გამოაგზავნა, სადაც პირდაპირ წერს – ახლად არჩეული პარლამენტის წევრთა 70-80% არაქართველია და ამას დავამტკიცებო. მე ახალი არაფერი აღმომიჩენია, ამას ხალხი ამბობს და წერს.

დამშვიდობებისას ბატონმა გივიმ ზემოაღნიშნული არგუმენტების განსამტკიცებლად კიდევ ერთხელ გამიმეორა: „ყოველივე ამას „ჰაერზე“ რომ ვლაპარაკობდე, აქამდე დამიჭერდნენ, მაგრამ მხოლოდ ფაქტებს ვეყრდნობი და რასაც მე, გივი ცქიტიშვილი ვამბობ, იცოდეთ, წყალი არ გაუვაო...

ჩემი მხრივ კი დავძენდი: ოღონდ ამ გაუბედურებულ საქართველოს ეშველოს და წაადგეს რამე და ბატონი გივი ცქიტიშვილის ნაამბობი, თუნდაც თავიდან ბოლომდე ტყუილი იყოს. ამას, მგონი, ბატონი გივიც, როგორც გულანთებული მამულიშვილი, დიდი სიხარულით შეხვდებოდა“.

აი, ასეთია ეს ისტორია, სხვა საქმეა მიიღებს თუ არა მას მკითხველი, თუმცა სიმართლე და, მაშასადამე, სარწმუნო მასში საკმარისზე მეტია.

როგორც ვნახეთ, ამხანაგმა შევარდნაძემ ვერ გაამართლა ქართველი ერის მოლოდინი. პირიქით, თავისი ანტიეროვნული და არასახელმწიფოებრივი საქმიანობით დიდი უბედურება მოუტანა ქართველ ხალხს, ხოლო მისმა შეგირდმა სააკაშვილმა კიდევ უფრო დაამძიმა მისი წინამორბედის მიერ დაწყებული „საქმენი საგმირონი“. ამაში არაფერია გასაკვირი: ისინი, უბრალოდ, არ იყვნენ ბედკრული ქართველი ხალხის შვილები! სავსებით ლოგიკურია, რომ ებრაელი შევარდნაძე და სომეხი სააკაშვილი ვერ გააკეთებდნენ ქართველი კაცის საქმეს. „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიაო“ – არის ნათქვამი. ეს ჭეშმარიტებაა და აქამდე ვერ გაუგია ეს ქართველ ხალხს. ისევე, როგორც ვერ გაუგია თუ რისთვის იყვნენ მოვლენილი ისინი საქართველოში. ებრაელი შევარდნაძის მსოფმხედველობას, ავადმყოფურ ამბიციებსა და კარიერისტულ მისწრაფებებს ვერ ზღუდავდა ქართველი ხალხის ჰუმანურ-მიმტევებლური თვისებები და ეროვნული მართმადიდებლური მენტალიტეტი. მან კი, ისევე როგორც მისმა მემკვიდრემ, ვერ დაინდო ქართველი ხალხი და მისი ისტორია, კულტურა, განათლება, მეცნიერება და სხვ. მასონური ლოჟის წარმომადგენელი, შევარდნაძე ემსახურებოდა კოსმოპოლიტური, სულიერად დაცლილი და ზომბირებული თაობების ჩამოყალიბებასა და მათი იდეების დამკვიდრებას საქართველოში. იგი გლობალიზაციის, მონოპოლარული მსოფლიოს და ცხოვრების ახალი წესრიგის დამყარების ერთგული მეხოტბე იყო და რატომ გაითვალისწინებდა ქვეყნის ინტერესებს ან სად ეცალა მას ქართველი ხალხისა და ქვეყნის პრობლემების მოსაგვარებლად?! შევარდნაძის მემკვიდრე დაშნაკმა სააკიანცმა დაასრულა თავის მოძღვრის მიერ დაწყებული ყველა შავბნელი საქმე; საქმიანად გადასცა რუსეთს ქვეყნის ტერიტორიები – აფხაზეთი და სამაჩაბლო; ეცადა ქვეყნის დედაქალაქი გადაეტანა დასავლეთში, აღმოსავლეთ საქართველოში „დიდი არამენიის“ იდეის განვრცობისათვის, მაგრამ ეს მას არ გამოუვიდა და გაიქცა ქვეყნიდან. ახლა პოროშენკოს უდგას გვერდში, უკრაინის დასაქცევად! პარლამენტში ოპონენტების სახით შემორჩენილი „ნაცები“ – ქართულ გვარებს ამოფარებული ხაჩიძე-ხაჩიკიანები, მინაშვილი-მინასიანები, დარჩიაშვილი-დარჩიევები, უსუფაშვილი-უსუპოვები თუ სხვა რჯულის მანქურთები დღესაც არაქართულ საქმეს ემსახურებიან. სწორედ ამას ემსხვერპლა ჩვენში ქვეყნის ინტერესები, ქართული ეროვნული იდეა და შეეწირენ მისი ლიდერები – ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომლებსაც მუხანათურად მოუსწრაფეს სიცოცხლე. სწორედ ამ არაეროვნულმა ძალებმა შემოაბრუნეს უკუღმა ჩვენი ისტორია და განვითარების პროცესები.

სწორედ ესაა ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი და უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რაც სიღრმისეულად დღესაც არა გვაქვს გაცნობიერებული და გათავისებული.

ასეთია ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის განვითარების ტენდენციები და მისი წარუმატებლობის ძირითადი მიზეზები. ამას უნდა ვაცნობიერებდეთ, და ეს უნდა გვახსოვდეს! უნდა გვახსოვდეს, რომ არაქართველები არ გააკეთებენ ქართველი კაცის საქმეს!!!

უნდა ვიცოდეთ ეს და კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ არაეროვნული ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნულ იდეალებს!

**ნაპო მესხია**

# ქვა-ღორღით ნუ ჩაუხერგავთ გზა-სავალს და ნუ გადაუკეტავთ მომავალს, თანამედროვე და შემდგომ თაობებს, კეთილშობილო ადამიანებო!

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

აი,რის გამოც არის შემოღებული საერთაშორისო კანონები ენების დაცვის შესახებ. აი, რისთვისაც არის ჩაწერილი საერთაშორისო დეკლარაციაში: **„მსოფლიოს ყველა ხალხს აქვს უფლება ილაპარაკოს და წეროს საკუთარ ენაზე“**. აი, რატომ ვაყენებთ ჩვენ საკითხს იმის შესახებ,რომ უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიის ფაკულტეტებზე აღდგენილ იქნას ქართველური ენების სწავლება,ისევე როგორც ეს 1999 წლამდე იყო; აი, რატომ ვითხოვთ ჩვენ საშუალო სკოლების ერთ-ორ კლასში მათი სწავლების შემოღებას და არა მეგრული, სვანური და ლაზური სკოლების შექმნას და მათში ფიზიკის, ქიმიის და სხვა საგნების სწავლებას, მსგავსად საქართველოში არსებული თურქულენოვანი, სომხურენოვანი და სხვა სკოლებისა. ხომ აქსიომაა,რომ ენა,რომელსაც არსად სწავლობენ არაფერში (გარდა საკუთარ კერიასთან საუბრისა და ისიც იშვიათად) იყენებენ,განწირულია დასაღუპავად. ასეც რომ არ იყოს, განა საჭირო არ არის ახალგაზრდობამ იმთავიდანვე ისწავლოს, რომ ქართულ-ქართველური ენები ახლო მონათესავე ენები, ძმა ენები არიან,რათა მომავალში არავის მოუვიდეს აზრად საკუთარი თანატომელების მიმართ ხელი აღმართოს,არამედ,პირიქით: — ხელი შეეწყოს ეროვნული კონსოლიდაციის გამყარებას. აი,რაზე ვწერდით ჩვენ საგანგებო მიმართვაში და რისი გაცნობაც კი არ ინებეს ადრესატებმა.

ზემოაღნიშნულ პირობებში, როცა მონათესავე ენების გაქრობა მოასწავებს დედა ენის გაქრობას, საქართველოს პარლამენტის მიერ ამას წინათ (როგორც გადმოგვცეს, მესამე მოსმენით) მიღებული **„კანონი საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ“,** ენების დაცვის თაობაზე ევროსაბჭოს კონვენციების რატიფიკაციის გარეშე, ჩვენის აზრით (და არა მხოლოდ), დიდი ვერაფერი პირობაა ქართულ-ქართველური ენების დაცვისათვის. თუმცა, ასეთი ვითარებაც რა გასაკვირია, მაშინ, როდესაც ცალკეული ფსევდოპატრიოტი პერსონების თავქარიანობაზეა დამოკიდებული ყოველგვარი ეროვნულის შენარჩუნების საქმე, არამხოლოდ ჩვენში.

ცნობილია, რომ დღეისათვის, მსოფლიო მასშტაბით აღრიცხულია საშიშ და მტაცებელ ცხოველთა რაოდენობა და მათი დაცვაა გამოცხადებული; მრავალ ქვეყანაში კი ქუჩაში მოხეტიალე ძაღლებისა და კატების დაცვის კომიტეტებიც არსებობენ. ხოლო საქართველოში მეგრელთა, სვანთა და ლაზთა (ერთ მილიონამდე ხალხების) დასაცავად ევროსაბჭოს კონვენციების რატიფიკაციაც ვერ ხერხდება (?!)

ჟურნალისტების შეკითხვაზე თუ რატომ არ ჩაიწერა სახელმწიფო კანონში ტერმინი **„ქართველური ენები“** და რატომ ეწოდა მათ ენა-კილოები, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარმ ბატონმა ი. კიღურაძემ ასე უპასუხა: **“ვერავინ ვერ იკისრა მისი ჩაწერა. მე მეგრელების სიყვარულს ვერავინ მასწავლის. ვერაფრით დავიჯერებ, რომ ზუგდიდში შეკრებილი ხალხი მეგრელთა წარმომადგენლები იყო“.**

აი, თურმე სანამდეა საქმე მისული: ვერავინ ვერ იკისრა, რომ საქართველოს კანონში ჩაეწერათ სახელწოდება მრავალათასწლოვანი ქართველური ენებისა. სიცრუის ჩაწერა კი იკისრეს.

რაც შეეხება ი. კიღურაძის **„მეგრელთმოსიყვარულეობას“,** მისი როგორც ამ კანონის პროექტის მთავარი შემდგენლის მხრივ,ძნელი დასაჯერებელია. უპირველესი მეგრელთმოძულე ე. შევარდნაძე მეგრელების როგორ სიყვარულსაც (ამაზე ქვემოთ) შეასწავლიდა მისი საარჩევნო შტაბის უფროსს, რომელმაც არჩევნების შედეგების გაყალბებით გაამარჯვებინა კიდეც,ესეც გასაგებია. ხოლო ზუგდიდშიც და წალენჯიხაშიც, დიახაც, მეგრელთა წარმომადგენლები იყვნენ შეკრებილები, იმდენად, რამდენადაც ესენი იყვნენ 2003 წლის 18 ივლისს ქალაქ სენაკის ტერიტოტიაზე არსებული მუზეუმ ნოქალაქევის (არქეოპოლისის) ეზოში ღია ცის ქვეშ ჩატარებული სამეგრელოს (და არა მარტო) მოსახლეობის 10.000-კაციანი წარმომადგენლობითი ყრილობის დადგენილებით არჩეული კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთისა“ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, „აია“-ს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, ასევე, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის წარმომადგენლობა. ასეც რომ არა,ნებისმიერი მეგრულენოვანი ადამიანი (გარდა მეგრელოფობების ერთეული კუდებისა) სამეგრელოს წარმომადგენელია, და ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს.

ჩვენი ზემოაღნიშნული გაუგზავნელი წერილებიდან **„დაგვიანებული პასუხი პროფესორ კონსტანტინე კაციტაძეს“**,დაიწერა შემდეგი მიზეზით: გაზეთ **„ილორში“** (№340, 17-29 ნოემბერი, 2015 წ.) გამოქვეყნებულ წერილში **„მეგრული (იბერიული) ენის ფენომენი“**, კ. ფიფიამ, უკვე მესამედ, დაწერა: **„როცა გამოიცა მამანტი და ცირა ძაძამიების შვიდტომეული „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“, ამის შესახებ ვაცნობე ენათმეცნიერების ინსტიიუტის თანამშრომლებს, და, პროფესორმა კონსტანტინე კაკიტაძემ, რომელსაც თავის კაბინეტში სტუდენტები ჰყავდა, ვერ დამალა თავისი მრისხანება და გაბოროტებულმა წამოიძახა: მოღალატეა მამანტი ძაძამია. ე. ი. ვინც მეგრულ (იბერიულ) ენაში შემონახულ ჭეშმარიტებას გამოიტანს დღის სინათლეზე, მავანთა აზრით, სამშობლო ქვეყნის მოღალატეა და ამას სტუდენტებსაც დაუფარავად უნერგავენ“.** ადრეულ წერილებში ავტორი იმასაც განმარტავდა, რომ ენათმეცნიერის გაბრაზება გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ შვიდტომეულის მიხედვით მეგრული ენის ლექსიკა მილიონობით სიტყვას დაითვლიდა. მას იქვე მყოფი სტუდენტები ასედაც გაუფრთხილებია: **„არ გაეკაროთ მაგ წიგნს-ო“.**

ჩვენი შვიდტომეული ჯერ კიდევ 2007 წელს გამოიცა. კ. კაკიტაძის აღნიშნული საქციელის შესახებ კ. ფიფიამ მაშინათვე დაწერა. მაგრამ, ასეთი უმსგავსო ქმედების გამომხატველი, თანაც არავისთვის ცნობილი **„სპეციალისტის“** მიმართ პასუხის გაცემა არც კი მიფიქრია. ამჯერად კი, როცა ამის შესახებ 7 წლის შემდეგაც (მერამდენედ) შეგვახსენა გულნატკენმა კ. ფიფიამ, მოცალეობისას, **„დაგვიანებული პასუხი“** დავწერე, რითაც ადრესატს ვაუწყე მეგრული ენის ლექსიკის სიმდიდრის საბოლოო მონაცემებისა და ჩვენი ბოლოდროინდელი ნაშრომების ცალკეული საყურადღებო შედეგების შესახებ, ანუ, ერთგვარი სიურპრიზი გავუკეთე, ყოველგვარი ადეკვატური პასუხის გარეშე. ამ წერილში ადრესატი იპოვის ჩვენს აღნიშნულ პასუხსაც.

რაც შეეხება ბოლოს შედგენილ და გაუგზავნელ წერილს **„ეს როყიოდ ნათქვამია თუ სიმართლეა, ბატონო ავთანდილ“,** იგი დაიწერა შემდეგი მიზეზით:

გაზეთ **„ილორის“** 2015 წლის 22-29 დეკემბრის ნომერში (341) გამოქვეყნებული ქართუ არაგველის (ავთანდილ ციხისთავის) წერილში **„ძლიერი საზოგადოება ძლიერი სახელმწიფოს საფუძველია“**, პირდაპირ წერია:

**„ქართველ ხალხს (და არა მარტო ქართველებს) ახლო წარსულში ყველაზე დიდი ტკივილი აფხაზეთმა და სამაჩაბლომ მოგვაყენა. გარე მტრების ჩარევისა და არასწორი ქართული პოლიტიკის შედეგი იყო სეპარატისტული მოძრაობის გაძლიერება გასული საუკუნის დასაწყისში, რაც სტალინურ ეპოქაში თითქმის შენელდა, თუმცა საუკუნის შუა წლებიდან ახალი ძალით გაჩაღდა და 90-იან წლებში სათანადო პირობების შექმნისთანავე აფხაზეთი დავკარგეთ. ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებით მას სამაჩაბლოც მიჰყვა. ბოლო ათწლეულებში (თუ მეტი არა), ახალი უბედურება მწიფდება საქართველოში. როგორც აფხაზეთში, ისეთივე სცენარით ღვივდება სეპარატისტული მოძრაობა სამეგრელოში“...**

აღნიშნულის წაკითხვამ, ცხადია, შემაშფოთა. იგი მეგრელთა უსაფუძვლოდ კიდევ ერთხელ დადანაშაულებად და შეგნებულად შეურაცხმყოფელ ქმედებად მივიჩნიე, და ცხელ გულზე არა, მაგრამ მაინც საკმაოდ ცხარე პასუხი დავწერე. მაშინათვე არც ის გამიგზავნია, და, ამასობაში ა. ციხისთავის წერილში გარკვეული სიმართლე დავლანდე, ხელისუფალთა მხრივ (და არა მეგრელთა მხრივ) ადრინდელი სცენარის გამოყენებისა, რაზეც ა. ციხისთავი მიანიშნებს. ამის გამოც, ყველა აღნიშნული წერილი გაუგზავნელ წერილთა საქაღალდეში განვათავსე და მათ ნაცვლად ეს წერილი დავწერე, ყველა ადრესატის, — დასახელებულთა თუ დაუსახელებელთა — საყურადღებოდ. აი, რა უნდა ითქვას ამ წერილში:

სეპარატიზმის დაბრალება მეგრელებისადმი, თითქმის მუდმივი მოვლენაა. ამის დასტურია საყოველთაოდ ცნობილი, მავანთა მიერ შეთითხნილი ე. წ. **„საქმეები“**, როგორიც იყო: **„მეგრელთა საქმე“, მაფალუისტები“, „ჩხოუშიაელები“, „პროვინციული ფაშიზმი“** და სხვა, რაც ყოველთვის უდიდეს ზიანს აყენებდა სამეგრელოს. ასე, მაგალითად: ბოროტი ადამიანების მიერ შეთითხნილი ე. წ. **„მეგრელთა საქმის“** გამო, თავის დროზე, უამრავი ადამიანი უდანაშაულოდ აწამეს და ლამის მთელი სამეგრელო გააციმბირეს. **„პროვინციული ფაშიზმის“** სახელით აგორებული ცილისწამებისას კი, ე. წ. **„მხედრიოონელებს“** ხუთგზის დაალაშქრინეს და პირწმინდად გააძარცვინეს მთელი სამეგრელო.

**მამანტი ძაძამია,**

**პროფესორი, აკადემიკოსი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის“ პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს საპატიო პრეზიდენტი.**

---

**ეს საინტერესოა**

## *“მოსადის” საიდუმლო ოპერაცია ნაცისტი ჯალათის შესაპყრობად*

ლოთარ ჰერმანი, გერმანიაში დაბადებული ებრაელი, 1935 წელს ნაცისტებმა დაჰაუს საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა. შემდეგ, ნაცნობების დახმარებით, თავი ჰოლანდიას შეაფარა, იქიდან კი არგენტინას მიაშურა.

ჰერმანი უსინათლო იყო, სმენა კი ჩინებული ჰქონდა. ერთხელ თავისი ქალიშვილის საუბარს მოჰკრა ყური: 12 წლის სილვია მეგობარს აღტაცებით უყვებოდა, ახალგაზრდულ კლუბში 16 წლის სიმპათიური გერმანელი ბიჭი, კლაუსი, გავიცანი, კლაუსი გვარად კლემენტია, თუმცა ამბობს, ნამდვილი გვარი აიჰმანიაო. უსინათლო შეძრწუნდა. მას სმენოდა, რომ ებრაელების წამებაში გამორჩეული ნაცისტი ადოლფ აიჰმანი არგენტინაში იმალებოდა. იქნებ მისი ქალიშვილის ნაცნობ ჭაბუკს ფაშისტ ჯალათთან ნათესაობა აკავშირებდა?

ადოლფ აიჰმანის სახელი ყველა გერმანელი ებრაელისთვის იყო ცნობილი. გესტაპოს IV განყოფილების უფროსი! ამ განყოფილებას ევალებოდა ებრაელთა მასობრივი განადგურება, სწორედ ეს განყოფილება იდგა 5 მილიონზე მეტი ადამიანის მკვლელობის სათავეში...

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აიჰმანი ამერიკელმა სამხედროებმა დააპატიმრეს, მაგრამ გაქცევა მოახერხა და ყალბი პასპორტით არგენტინაში გადასახლდა. **”მერსედესის”** ადგილობრივ ქარხანაში მოეწყო, იყიდა სახლი და მეუღლესა და ოთხ შვილთან ერთად მშვიდად ცხოვრობდა. ალბათ, კიდევ მრავალი წელი უზრუნველად იცხოვრებდა და სიცოცხლეს ბუნებრივი სიკვდილით დაასრულებდა, რომ არა ერთი ებრაელი უსინათლოს მიერ შემთხვევით გაგონილი ფრაზა... ჰერმანმა თავისი ვარაუდი ბუენოს-აირესის ებრაელთა თემის წევრებს გაუზიარა. მალე ამ ინფორმაციამ ისრაელის დაზვერვის უწყებამდე, **“მოსადამდე”,** მიაღწია. არგენტინაში არსებული ისრაელის სადაზვერვო ქსელი ჰერმანის ვერსიის შემოწმებას შეუდგა. დადგინდა, რომ 16 წლის კლაუს აიჰმანის მამას მართლაც ადოლფი ერქვა, მაგრამ ეს უკანასკნელი ფოტოებზე აღბეჭდილ ცნობილ ნაცისტ ოფიცერს გარეგნულად მაინცდამაინც არ ჰგავდა. იმის იმედად, რომ ობიექტის იდენტიფიცირებისთვის ახალ მასალას მოიპოვებდა, **“მოსადი”** მას 24 საათის განმავლობაში უთვალთვალებდა.

1960 წლის 21 მარტს ბუენოს-აირესში აიჰმანებმა დიდი წვეულება გამართეს. ეს დღე ნაცისტი ჯალათის ქორწინების 25-ე წლისთავს ემთხვეოდა. ისრაელის სპეცსამსახური დარწმუნდა, რომ ეს იყო მართლაც გესტაპოს მაღალჩინოსანი, რომელსაც 15 წელი უშედეგოდ ეძებდა... თუმცა, ისრაელს აიჰმანის ექსტრადირების იმედი არ ჰქონდა. მამხილებელი მასალის წარდგენის შემთხვევაშიც კი არსებობდა ალბათობა, რომ გერმანელი ნაცისტებისადმი ლოიალურად განწყობილი არგენტინის ხელისუფლება ნაცისტ ჯალათს არც კი დააპატიმრებდა. სწორედ ამიტომ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა დავიდ ბენ-გურიონმა გესტაპოელის გატაცების საიდუმლო ბრძანება გასცა.

### “მშვიდად, თორემ ჩაგაძაღლებთ!”

1960 წლის აპრილიდან **“მოსადის”** ოპერატიულმა თანამშრომლებმა არგენტინაში დაიწყეს თავმოყრა. გატაცების ოპერაცია უნდა დაემთხვიათ არგენტინის დამოუკიდებლობის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ცერემონიისთვის, სადაც ისრაელის სამთავრობო დელეგაციაც მონაწილეობდა. გეგმის თანახმად, გატაცებულ აიჰმანს დელეგაციის თვითმფრინავში მოათავსებდნენ.

29 აპრილისთვის არგენტინაში სპეცოპერაციის ყველა მონაწილე ჩავიდა. 30 მამაკაცს, რომელთაგან შვიდს აიჰმანის გატაცება, დანარჩენ ოცდაორს კი მათი მხარდაჭერა ევალებოდა, **“მოსადის”** დირექტორი ისერ ჰარელი ხელმძღვანელობდა. რაზმი აღჭურვილი იყო სპეცტექნიკით, უახლესი იარაღით, ყალბი საბუთებით და მანქანის ნომრებით. ბუენოს-აირესში მათ რამდენიმე ბინა, კერძო სახლი და ავტომანქანა იქირავეს.

გესტაპოს ჯალათი 11 მაისს უნდა აეყვანათ.

აიჰმანი შინ, როგორც წესი, საღამოს 7 საათზე, საქალაქო ტრანსპორტით ბრუნდებოდა. იმ დღეს კი იგი ავტობუსში არ აღმოჩნდა. არც შემდეგი ავტობუსიდან ჩამოსულა, რომელიც ყოველ ნახევარ საათში მოდიოდა... ოპერაცია ჩაშლის პირას იყო. ორ მანქანაში მყოფი შვიდი ოპერატიული მუშაკი უკიდურესად ღელავდა. ზედმიწევნით გათვლილი გეგმა იმ საღამოს უნდა ჩატარებულიყო და თუკი ობიექტი არ გამოჩნდებოდა, მისი გატაცება გაურკვეველი ვადით გადაიწევდა... იქნებ ინფორმაციამ გაჟონა და აიჰმანი მიიმალა? მოსადის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, კიდევ ნახევარი საათი დაეცადათ.

8 საათიც შესრულდა. **“მერსედესის”** ქარხნიდან მომავალი ტრანსპორტიც აღარ ჩანდა. ოპერმუშაკები წასვლას აპირებდნენ, რომ შორიდან ავტობუსი შენიშნეს. რამდენიმე წუთიც და, აიჰმანიც დაინახეს. გესტაპოელმა ჯიბიდან ფარანი ამოიღო, აანთო და სახლისკენ მიმავალ ბილიკს მშვიდად გაუყვა.

— უკაცრავად, ბატონო! — ესპანურად მიმართა აიჰმანს ჯგუფის ერთმა წევრმა. ნაცისტი შემობრუნდა და უცნობს მიაშტერდა. წამიც და, აგენტი ობიექტს ეძგერა, ხელი ამოუბრუნა და მიწაზე დაანარცხა. ამასობაში იქ სხვებიც გაჩნდნენ. დაბნეული აიჰმანი ხელში აიტაცეს, მანქანაში შეაგდეს და ხელ-ფეხი შეუკრეს. **“მშვიდად იყავი, თორემ ჩაგაძაღლებთ!”** — ეს უკვე გერმანულად უთხრეს.

აიჰმანი ქალაქის გარეუბანში, ვილაში მიიყვანეს... ტყვემ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს, მაშინვე დაასახელა ნაცისტური პარტიის საკუთარი ბილეთის ნომერი — 889895, რომელიც მოსადის დოსიეში მითითებულ ციფრებს დაემთხვა. ეს ასპროცენტიანი მტკიცებულება იყო იმისა, რომ ებრაელ აგენტებს მართლაც IV განყოფილების უფროსი ჰყავდათ მოტაცებული, თუმცა ოპერაციის დასრულებამდე ჯერ კიდევ შორს იყო...

შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად **“მოსადის”** შეფმა, ისერ ჰარელმა, ე.წ. მობილური შტაბი გამართა — მზვერავებმა მიიღეს ქალაქის იმ კაფეების სია, სადაც გარკვეულ დროს თათბირები უნდა გამართულიყო...

ამასობაში აიჰმანი ვილაში საწოლზე ჰყავდათ ხელბორკილით მიბმული. მას მუდმივად დარაჯობდა მოსადის ერთი თანამშრომელი. გესტაპოელის მცველები მკაცრი მითითებებით მოქმედებდნენ: მათ ეკრძალებოდათ აიჰმანთან საუბარი, ადგილობრივი პოლიციის შესაძლო ვიზიტის შემთხვევაში კი მზვერავებს ნაცისტი სხვა კონსპირაციულ ბინაში უნდა გადაეყვანათ. **“მოსადთან”** კავშირი კატეგორიულად უნდა უარეყოთ და თავი ისრაელელ მოხალისეებად გაესაღებინათ.

19 მაისს ისრაელის თვითმფრინავი ბუენოს-აირესში დაეშვა. ისერ ჰარელმა მობილური შტაბი აეროპორტის კაფეში გადაიტანა და ოპერაციის დასრულებამდე იქიდან გასცემდა განკარგულებებს. 20 მაისის საღამოს აიჰმანი ნარკოტიკებით გააბრუეს, ისრაელელი მფრინავის ფორმა ჩააცვეს, აეროპორტში მიიყვანეს და მესაზღვრეებს ებრაელი პილოტის, რაფაელ არნონის პასპორტით წარუდგინეს. თავად არნონმა ერთი დღით ადრე ბუენოს-აირესში ავტოავარია მოაწყო, თავი განზრახ დაიზიანა და საავადმყოფოში მიიღო ცნობაც, სადაც ეწერა, რომ პაციენტს ფრენა მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობით შეეძლო. ეს ცნობა გონებადაბინდულ აიჰმანს ხელში დააჭერინეს და სასაზღვრო კონტროლი უპრობლემოდ გაატარეს. ბორტზე ასვლისთანავე თვითმფრინავმა გეზი ისრაელისკენ აიღო.

ოპერაცია ფილიგრანული სიზუსტით ჩატარდა, გაუჩინარებულ აიჰმანს კი ამაოდ ეძებდა არგენტინის ხელისუფლება და ამ ქვეყანაში მცხოვრები ასობით გერმანელი ნაცისტი. მისი ამბავი მათ მხოლოდ 22 მაისს შეიტყვეს, როცა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა დავიდ ბენ-გურიონმა საჯაროდ განაცხადა, ადოლფ აიჰმანი დაკავებულია და მის ბედს ჩვენი სასამართლო გადაწყვეტსო. ამ ინფორმაციას არგენტინის მწვავე პროტესტი მოჰყვა. ინციდენტის განსახილველად გაეროს სპეციალური სხდომაც კი მოიწვიეს, მაგრამ ჯალათის დაბრუნებაზე ისრაელმა მტკიცე უარი განაცხადა.

სასამართლოზე აიჰმანს ჰოლოკოსტში მონაწილეობა დაუმტკიცეს და 1962 წლის 31 მაისს სიკვდილით დასაჯეს. ჩამოხრჩობის შემდეგ მისი გვამი დაწვეს, ფერფლი კი ხმელთაშუა ზღვაში გადაყარეს — ისრაელის ტერიტორიული წყლების მიღმა.

**მიხეილ ჩერქეზია**

# საფრთხე, რომელმაც შეიძლება ადამიანები იმსხვერპლოს!



მოსალოდნელი საფრთხის წინასწარ განჭვრეტა სრულიადაც არ განეკუთვნება ჩვეულებრივი ადამიანის გონისათვის მიუწვდომელ ფენომენს და იგი იოლი ამოსაცნობია მაშინ, როცა ეს საფრთხე აშკარა და თვალშისაცემია! ხოლო, საფრთხე რომ რეალურია, ამას საინჟინრო გეოლოგიის დარგის კომპეტენტური სპეციალისტების დასკვნაც ადასტურებს, რომლის სათაურია: **"ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის VII კვარტალში მდებარე პირველი "ა" და "ბ" კორპუსების მდგომარეობის შესახებ".**

დასკვნაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საინჟინრო-გეოლოგიის სპეციალისტებმა 2016 წლის (14-15) იანვარს განმეორებით, გადაამოწმეს და შეისწავლეს ადგილზე ჩატარებული სამუშაოების სისწორე (კონდიციურობა) საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისად. აღნიშნულის საჭიროება განაპირობა იმან, რომ როგორც კორპუსის მობინადრეები ამბობენ, მათთან გეოლოგიური-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად არავინ არ მოსულა და არ ჩატარებულა. გამომდინარე აქედან მერიის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილია გაყალბებული გეოლოგია, შესაბამისად გაყალბდა კონსტრუქციული ნაწილების დასკვნაც.

სწორედ ეს ფაქტი წარმოადგენს იმ საფრთხის ქვაკუთხედს, რომელმაც შეიძლება უდანაშაულო ადამიანები იმსხვერპლოს!

შემოწმებით დადგინდა, რომ კორპუსში მდებარე ლუდსახარშ "მადაგონში" და მის გვერდით სამკერვალოში გაჭრილია მზიდი კედლები შესაბამისად 2X4 და 2X3 მეტრისა, რომელიც, მობინადრეების მტკიცებით, ძალისმიერი გზით გაანგრიეს გიგი უგულავას ახლობლებმა, რასაც მაცხოვრებლებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. აღნიშნულმა უნებართვო ნგრევამ გამოიწვია კორპუსის მდგრადობის შესუსტება, დეფორმაცია მიიღო და თითქმის ჩამოიშალა ტემპერატურული ნაკერის შემავსებელი აგურის წყობა, შესაბამისად გაჩნდა მზიდ კედლებზე, ჭერებზე და სარდაფებში სხვადასხვა მიმართულების და რამოდენიმე მეტრის სიგრძის ბზარები, განსაკუთრებით ბზარები და დეფორმაციები გაჩნდა რეკონსტრუქცია-დაშენების პროექტის განხორციელების დაწყების დღიდან, რის გამოც 3-ე სადარბაზოში შენობის დეფორმაციის გამო გაიჭედა ლიფტი, რომელიც გამოვიდა მწყობრიდან. აღნიშნული დეფორმაციები განსაკუთრებით აღინიშნება მე-III-ე სადარბაზოს მე-II, მე-IV და მე-V სართულებზე და ერთ-ერთ სარდაფში. იგივე მდგომარეობაა მთელ კორპუსში, სადაც აღინიშნება დეფორმაციები, გამჭოლი 3-4 მეტრი სიგრძის ბზარები, რომლებიც უდავოდ გამოწვეულია სახლის უნებართვო რეკონსტრუქციით (ნგრევით), რომლებიც ხორციელდება გაურკვეველი და დღემდე დაუდგენელი ვითომ მშენებლების მიერ 11-ე სართულზე. და ეს მაშინ, როცა კორპუსი ისედაც ამორტიზირებულია და ავარიულია. ასეთ პირობებში კი სათანადო გეოლოგიური დასკვნის გარეშე რაიმე სამუშაოების ჩატარება კატეგორიულად იკრძალება, რომლის მსგავსი (საინჟინრო-გეოლოგიური) სამუშაოები აქ არასოდეს არ ჩატარებულა.

აი, ხარვეზები, რომელიც არ იძლევა რეალური საინჟინრო-გეოლოგიური მდგომარეობის ასახვის საშუალებას:

1. კონსტრუქციულ დასკვნაში არ არის სრულყოფილი, დასაბუთებული დასკვნა შენობის მდგრადობაზე, არ არის დასკვნა იმის შესახებ თუ რა გავლენას მოახდენს შენობის მდგრადობაზე ტექნიკური სართულის დემონტაჟი, ისედაც ამორტიზირებულ შენობაზე, იმ მეთოდით, რითაც დღეს მშენებლები აწარმოებენ (პერფორატორით);

2. ასევე საუბარი არ არის დასკვნაში თუ რა გავლენას მოახდენს ისედაც ამორტიზირებულ შენობის მდგრადობაზე, შენობის ტექნიკური სართულის (ბრტყელი, რულონური, მცირე დაქანებით) გადახურვის ჩანაცვლება ლითონის კონსტრუქციით მთელ პერიმეტრზე. (არ არის გაანგარიშება, იმისა თუ რამდენი ტონით მძიმდება კორპუსი;

3. საუბარი არ არის იმაზე თუ რა გავლენას მოახდენს სეისმური ბიძგები შენობის მდგრადობაზე. ასევე საერთოდ ხსენება არ არის ვიბრაციაზე, რომელიც გამოწვეული იქნება მეტროს ხაზის გახსნით, რომელიც ერთი წლის შემდეგ ამუშავდება, და რომელიც გადის შენობის ქვეშ;

4. ასევე არ არის არის გათვალისწინებული თუ რა გავლენას მოახდენს გრუნტის წყლების მიმართულებების შეცვლა, ზოგან ხელოვნურად ჩაკეტვა მეტროს ხაზების მოწყობით;

5. გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ ქ. თბილისის ტერიტორიაზე ასეთი ტიპის (9 სართულიანი შენობის) დაშენების გამოცდილება არ არსებობს და იგი პირველია ქ. თბილისისთვის;

6. მთავარი და აუცილებელი პირობაა ის, რომ ასეთი ტიპის, მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო შენობის (ავარიული და ამორტიზირებულობის გამო) აღნიშნულ დასკვნებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გავლილი სახელმწიფო ექსპერტიზია;

7. აღნიშნული შენობის მდგომარეობიდან გამომდინარე და არასასურველი შედეგების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია ჩატარდეს დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, შემდგომ კი მაღალკვალიფიციური (აკრედიტირებული) სპეციალისტების მიერ მომზადდეს შენობის კონსტრუქციული დასკვნა და მდგრადობის შეფასება.

ზემოთ აღნიშნულიდან (შენობის ამორტიზებულობა, ავარიულობა) გამომდინარე მიზანშეუწონლად მიგვაჩნია (არ შეიძლება), რომ საფუძვლად დაედოს წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური და კონსტრუქციული დასკვნები ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულ დაშენების პროექტისათვის სანებართვო დოკუმენტაციას, რადგან ისინი არაკონდიციურია და არ ასახავს შენობის მდგომარეობის რეალურ სურათს მის მდგრადობაზე.

აღნიშნული ალტერნატიული დასკვნა, რომელიც ჩვენი დაკვეთით განხორციელდა და რომელსაც ხელს აწერენ აღიარებული სპეციალისტები, იმის მაუწყებელია, რომ მარტივი ენით თუ ვიტყვით: **"სახლის დანგრევას მხოლოდ საჩვენებელი თითის კედელზე დატაკება სჭირდება"!**

და ასეთი საფრთხის ქვეშ დღეს ცხოვრობს 500-მდე ადამიანი, რაც დიდად არ ადარდებს არც ქალაქ თბილისის მერიას და არც მის შესაბამის სამსახურებს, განსაკუთრებით არქიტექტურის სამსახურს და ზედამხედველობის სამსახურს, რომლებმაც გაყალბებული დოკუმენტაციის საფუძველზე გასცეს რეკონსტრუქცია-დაშენების ნებართვა.

ეს დასტურდება იმითაც, რომ მერიაში შესული განგაშის მაუწყებელი წერილის მიუხედავად თავი არავის შეუწუხებია საკითხის შესწავლაზე. აი, ეს წერილიც:

**"ქ.თბილისის მერს ბატონ დავით ნარმანიას**

**ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი VII კვარტალის, პირველი კორპუსის ბინათმესაკუთრეთა ერთობლივი განცხადება-საჩივარი**

გაცნობებთ, რომ 2016 წლის 20 იანვარს ქ. თბილისის მერიამ ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე ოფიციალურად გადმოგვცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება № 2174031, (პროექტი) რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. კვარტალი VII, კორპუსი 1-ზე რეკონსტრუქცია-დაშენებას. აღნიშნული საცხოვრებელი სახლი/კორპუსი წარმოადგენს მრავალბინიან 9-სართულიან, ეგრეთწოდებულ **„ხრუშოვკის"** ტიპის სახლს. როგორც მოგეხსენებათ და ეს საყოველთაოდ ცნობილია, (თბილისის მერიის არაერთი საჯარო განცხადებით) ხრუშოვკის ტიპის კორპუსებს დიდი ხანია გასული აქვთ ექსპლუატაციის ვადა. კორპუსი არის ავარიულ მდგომარეობაში, ასევე ცნობილია, რომ საქართველოში პრაქტიკაში არა გვაქვს 9 სართულიანზე დაშენების გამოცდილება, მეტიც – 2015 წლის 14 სექტემბერს საერთოდ კანონით აიკრძალა დაშენებები.

აღნიშნული პროექტის განხილვის დროს დავადგინეთ, რომ დაშენებასთან დაკავშირებით 04/09/2015 წელს თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ყოფილა მშენებლობის ნებართვა № 2174031 ბრძანებით. როგორც ჩანს არქიტექტურის სამსახურში წარდგენილია ამხანაგობა **„საბურთალოა-61"**-ის თავმჯდომარე იოსებ აფციაურის მიერ გაყალბებული ოქმი, რომლის შესახებ 141 ბინათმესაკუთრედან გარდა 18 მესაკუთრისა და ამხანაგობის თავმჯდომარის იოსებ აფციაურისა გარდა არავინ იცოდა, ასევე არაფერი იცოდნენ ბინათმესაკუთრეებმა ტექნიკური სართულის პრივატიზირების შესახებ, რომელიც განახორციელეს საიდუმლოდ, მე-9-ე სართულის 18-მა ბინათმესაკუთრემ, ამხანაგობის თავმჯდომარესთან ერთად. ასე მიითვისეს 141 ბინათმესაკუთრეთა საერთო ქონება თაღლითური გზით 18-მა ბინათმესაკუთრემ, ამხანაგობის თავმჯდომარის ი. აფციაურის ხელშეწყობით. როგორც ირკვევა მათ მიერ წარდგენილია ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში გაყალბებული დოკუმენტაცია რის საფუძველზედაც მოხდა მშენებლობის (რეკონსტრუქცია-დაშენების) პროექტის ნებართვის გაცემა. აღნიშნულთან დაკავშირებით ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურაში, და ვაკე-საბურთალოს სამართველოს მე-2-ე განყოფილებაში მიმდინარეობს მოკვლევა დოკუმენტაციების (კრების ოქმის და გეოლოგიური დასკვნის) შესაძლო გაყალბებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული საცხოვრებელი კორპუსი, წარმოადგენს ამორტიზირებულ შენობას და იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში, რომლის სათანადო ალტერნატიული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნაც გაგვაჩნია. ხოლო რაც შეეხება პროექტირებისათვის საჭირო და აუცილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნას მსგავსი სამუშაოები არ ჩატარებულა, რასაც ვადასტურებთ მობინადრეები და თვით ამხანაგობის თავმჯდომარეც. გამომდინარე აქედან ეჭქვეშ დგება კონსტრუქციული დასკვნის სისწორე, რადგან ის ყალბ გეოლოგიურ დასკვნაზე დაყრდნობით არის შედგენილი, რაც არასწორია და შედეგიც დამანგრეველი იქნება და 500 ადამიანის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დადგება, რაშიც ახლო მომავალში დარწმუნდებით. რომელზეც პასუხისმგებლობას თქვენ გაკისრებთ, ბატონო დავით **„მნგრეველო"**. აი, ასეთი თაღლითური გზით 18-მა მესაკუთრემ ამხანაგობა **„საბურთალო-61"**-ის თავმჯდომარესთან იოსებ აფციაურთან ერთად გაყალბების გზით მოიპოვეს რეკონსტრუქცია-დაშენების უფლება, რომლის განხორციელება შესაძლოა ფატალური შედეგით დამთავრდეს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კორპუსი ამორტიზირებულია (ექსპლუატაციის ვადა. უკვე ამოწურულია – 52 წელია, რაც ექსპლუატაციაშია აღნიშნული კორპუსი) და ავარიულ მდგომარეობაშია. აღსანიშნავია, რომ მის ქვეშ გადის მეტროს გვირაბი და არსებული რყევები დამატებით ზიანს მიაყენებს კორპუსს მომოვალში, თუ გავითვალისწინებთ სეისმურ ბიძგებს, არავინ უწყის რით დამთავრდება მობინადრეთა ბედი. აღნიშნულ ვითარებას ემატება მშენებლობა, რომელიც გარდაუვალს ქმნის კორპუსისათვის ზიანის მიყენებას, რა დროსაც, დიდი ალბათობით, კორპუსი საცხოვრებლად უვარგისი გახდება და ჩვენ მასში მცხოვრები მოსახლეობა დავრჩებით საცხოვრებლის გარეშე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაშენება მიმდინარეობს ყოველგვარი სამშენებლო ნორმების დარღვევით და მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის სრული იგნორირებით. არ მომხდარა შესაბამისი კვლევების ჩატარება, არ არსებობს საექსპერტო დასკვნა კორპუსის მდგრადობაზე, რითაც ოდნავ მაინც გაჩნდებოდა ჩვენი გადარჩენის იმედის ნაპერწკალი, მაგრამ აქ ადამიანების სიცოცხლეზე არავინ ფიქრობს აქ მთავარია კომერციული ინტერესები. აღსანიშნავია ის გარემობა, რომ დღემდე არ არის დადგენილი თუ ვინ და რა სახის მშენობლობა მიმდინარეობს ჩვენს კორპუსში, მხოლოდ ვიცით ერთი რამ, რომ თქვენი ქვემდებარე ორგანიზაცია ზედამხედველობის სამსახური და უცხო მშენებლები მუშაობენ შეხმატკილებულად, რაც ჩვენში ეჭვს ბადებს. აღნიშნული გამოიხატება იმაში, რომ მოდიან ზედამხედველობის სამსახურიდან სპეც. ავტომანქანით და შესაბამის ინსტრუქტაჟს უტარებენ დამკვეთ მშენებლებს, რომ დააჩქანონ ნგრევა. მუშაობას იწყებენ დილით 7 საათზე, რათა დროულად მოახდინონ ტექნიკური სართულის დანგრევა, რის გამოც მაცხოვრებლებს (ბავშვებს, მოხუცებს და სხვებს) შეგვიქმნეს გაუსაძლისი პირობები. ვინ მოთვლის, რამდენჯერ იქნა გამოძახებული პატრული, მაგრამ უშედეგოდ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მერიამ, როცა, ჩვენი საჩივრიდან შეიტყო, რომ დამკვეთების გარკვეული ნაწილი საქართველოში არ იმყოფებოდა მშენებლობის დამკვეთი 18-სულიანი ბანერი შეცვალეს 13 დამკვეთის ბანერით. აი, ასე ჭრის და კერავს მერია, როგორც მას აწყობს, კანონი კი ფეხებზე ჰკიდია. ასევე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად, აუცილებელი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა არ განხორციელებულა. ბატონო დავით, სანამ დროა. გთხოვთ ჩაერთოთ აღნიშნულ საქმეში, შექმნათ ამ საქმის შემსწავლელი კომისია და კომისიის მუშაობის პერიოდში დროებით (დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობაში მოყვანამდე) შეაჩეროთ აღნიშნული **„რეკონსტრუქცია-დაშენების"** პროექტის განხორციელება, ამით თავიდან ავიცილებთ არასასასურველ (კატასტროფულ) შედეგებს, რომელიც სპეციალისტების აზრით გარდაუვალია და თქვენც არ აღმოჩნდებით ისეთ მდგომარეობაში, როგორც ეს მოხდა 2015 წლის 13 ივნისს. ჩვენს შემთხვევაში კი მსხვერპლი გაცილებით უფრო დიდი იქნება.

აი, რატომ არის მერიის სამსახურები დაინტერესებულნი და რატომ მალავენ მშენებელთა ვინაობას! არა და, ვის მოვთხოვოთ პასუხი უბედურების შემთხვევაში? აღნიშნულზე ჩვენ გვაქვს გონივრული ეჭვი კორუფციულ გარიგებაზე, რასაც ჯერჯერობით ვერ ვამტკიცებთ.

ბატონო დავით, გეკითხებით, რა დაგიშავეთ ასეთი ქალაქელებმა? გთხოვთ დაინტერესდეთ აღნიშნული საქმით და მოახდინოთ რეაგირება. ამით თქვენ გადაარჩენთ ასობით ადამიანის სიცოცხლეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კატასტროფა გარდაუვალია.

პატივისცემით:

**81 ბინათმესაკუთრისაგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი**

**P.S.** ამრიგად, კორპუსის მაცხოვრებლები ორ ფრონტად არიან გაყოფილი და თავგანწირვით ებრძვიან ერთმანეთს, სინამდვილეში კი იბრძვიან იმ რისკის განსახორციელებლად, რომელიც ვერაგულადაა ჩასაფრებული თავისი წილი მსხვერპლის მოლოდინში!

ქალაქის სამი მთავრობა (ზოდელავა, უგულავა, ნარმანია) ყოველთვის იღებდა გაფრთხილებებს დარგის გეოლოგ-სპეციალისტებისაგან გარკვეული რისკების არსებობის თაობაზე, რასაც ისინი არასოდეს უწევდნენ ანგარიშს. სწორედ ამან მიგვიყვანა 2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიამდე, მაგრამ, როგორც ჩანს, ამგვარი კატაკლიზმიც კი არ აღმოჩნდა საკმარისი ნარმანიას და ქალაქის არქიტექტურის სამსახურის **"აზრზე მოსაყვანად"**, რაც რეალურად ქმნის 2015 წლის ტრაგედიის განმეორების საფრთხეს, ოღონდ, უფრო დიდი მასშტაბებით!

ნარმანია და მისი მონა-მორჩილი არქიტექტორები და მერიის ზედამხედველობის სამსახური, რა თქმა უნდა, თავს იმით იმართლებენ, რომ ტრაგედია მოულოდნელად მოხდა. ნარმანია კი 2015 წლის 13 ივნისი ტრაგედიის შემდეგ რომ **"არვიცოდის"** პოზაში ჩადგა, ზუსტად ისე მოიქცევა დღესაც. გავიხსენოთ, როგორი პოზიცია დაიჭირა ახლახან, როცა მისი მეგობარი პროკურორის შვილს საფრანგეთში სწავლა და ცხოვრება დაუფინანსა 5.400 ლარით.

საწყენია, რომ ნარმანია იმდენად ფუყე და საქმეში ჩაუხედავი ჩინოვნიკი აღმოჩნდა, რომ თავისი უსაქმობით გაწამებულ ქალაქელებს სისხლის სამართლის დამნაშავე უგულავაც კი მოანატრა.

შენობის მდგრადობის დასკვნა არ არსებობს და აპირებენ სართულნახევრის დაშენებას (რასაც ეძახიან დაშენება-რეკონსტრუქციას), რაც უკვე აკრძალულია მერიის სათანადო დადგენილებით. საწყენია, რომ ალი-ბაბად (ამხანაგობა **"საბურთალო-61-ის"** თავმჯდომარე) და 18 ყაჩაღად სახელდებული მისი ამფსონები, რომელთაც უკანონოდ მიითვისეს 122 ბინათმესაკუთრის საერთო ქონება, დღემდე დაუსჯელად დააბოტებენ ქალაქის მერიის კაბინეტებში და აკეთებენ ყველაფერს, რაც მათ მოესურვებათ!

კოლხი ადამიანი ბრძანდებით, ბატონო ნარმანია, და ამიტომაც მოგმართავთ გაზეთ **"ილორის"** ფურცლებიდან, რომლის სახელობის ხატი იფარავს სრულიად საქართველოს. იმედია, რომ შეისწავლით ჩვენს მიერ წარმოდგენილ პრობლემებს და მიიღებთ კანონიერ გადაწყვეტილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუფრთხილებლად დაგატყდებათ თავს ილორის წმინდა გიორგის რისხვა!

**საინციატივო ჯგუფი**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ვინ არის ფეხბურთის განვითარების ერთიანი ფონდის ხელმძღვანელი?

16 თებერვალს, სფფ-ის და კლუბების ხელმძღვანელები ერთმანეთს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ. კლუბებს პროგრამის დეტალები გააცნეს. სწორედ იქ გახდა ცნობილი, რომ ფეხბურთის განვითარების ერთიან ფონდს სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი, რუსთავის **"მეტალურგის"** ყოფილი დირექტორი ზაზა დოლიძე უხელმძღვანელებდა.

შევიტყვეთ, რომ ერთიანი ფონდი **ააიპ**-ს ფორმით (არაკომერციული, არასამეწარმეო იურიდიული პირი) დაფუძნდა. მას ექნება გამგეობა, რომელშიც შევლენ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი და მისი, აგრეთვე, ინფრასტრუქტურისა და ფინანსთა მინისტრების პირველი მოადგილეები.

ფონდში შეიკრიბება ის თანხები, რომლებიც ქართულ ფეხბურთს მოხმარდება. მისი მიზანია დაეხმაროს კლუბებს, საფეხბურთო სკოლებს, შესაძლებელი გახდება მწვრთნელთა გადამზადება, სამედიცინო და ათასი სხვა პრობლემის მოგვარება, შეეცდება სპონსორების მოზიდვას.

აქვე ვიტყვით, რომ ფეხბურთის განვითარების ფონდის ერთ-ერთი ფუნქცია თანხების მონიტორინგი იქნება.

### დაპირისპირება ფედერაციასთან

ფონდის ხელმძღვანელად ზაზა დოლიძის დანიშვნა ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა და კითხვებიც გააჩინა. 2013-14 წლებში დოლიძე რუსთავის **"მეტალურგს"** ხელმძღვანელობდა და პროფლიგის საინიციატივო ჯგუფშიც შედიოდა.

2010 წლის 22 სექტემბერს **"ლელომ"** გამოაქვეყნა მისი წერილი – **"რატომ არ ჰყავს ეროვნულ ნაკრებს სპონსორი?"** – მაშინ დოლიძე ფარმაცევტული კომპანია PRP-ის თანამშრომელი გახლდათ.

"11 სექტემბრის **"ლელოში"** ზვიად სიჭინავა საუბრობდა, რომ ევროპაში მხოლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არ ჰყავს სპონსორი. სფფ არის ბრენდი და ამ ბრენდთან ასოცირება არის პროდუქტი, რომელიც თავად ამ ორგანიზაციამ უნდა გაყიდოს. როგორც ჩანს, ბატონ ზვიადს ამ პროდუქტის გაყიდვა არ შეუძლია ან ჩვენთვის უცნობი პრინციპებით ხელმძღვანელობს.

მე გახლავართ ერთ-ერთი ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენელი. ივნისში სფფ-ს სასპონსორო წინადადება შევთავაზეთ – წლის განმავლობაში სხვადასხვა ნაკრები გუნდების მედიკამენტებით უზრუნველყოფა. ეს არ იყო დიდი თანხა, მაგრამ 10.000 ლარის შეღავათი იმ პირობებში, რაშიც დღეს ფედერაცია აღმოჩნდა, ცუდი წინადადება არ უნდა ყოფილიყო...

თითქოს, მოლაპარაკებებიც წარმატებით მიმდინარეობდა და დარჩენილი იყო მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმება, როცა შევიტყვეთ, რომ სიჭინავას გარიგების გაუქმება უბრძანებია...

მე, როგორც რიგითი გულშემატკივარი და კომპანიის მხრიდან სპონსორობის ინიციატორი, მომხდარის გამო გულგატეხილი და განცვიფრებული დავრჩი, მით უმეტეს, **"ლელოში"** ზემოთ ნახსენები სტატიის წაკითხვის შემდეგ. ვფიქრობ, არა მხოლოდ ჩემთვისაა საინტერესო, რა თანხას ითხოვს ფედერაცია სპონსორობაში? იქნებ, ჯამში, სწორედ ასეთი წვრილი სასპონსორო თანხით, სოლიდური სასპონსორო ფონდი შეგროვდეს?

**"ყველამ უნდა იცოდეს, ფედერაცია სპონსორობაში რას ითხოვს და როდესაც ეს ციფრი დასახელდება, იქნებ ბევრი კომპანია დაინტერესდეს. არ მინდა, ყველა პოტენციური პარტნიორის წინადადების ანალოგიური უგულებელყოფით, ჩვენი ფედერაცია კიდევ დიდხანს დარჩეს იმ ერთადერთად ევროპაში, რომელსაც სპონსორი არ ჰყავს",** – წერდა დოლიძე.

ამ წერილს სფფ-ის განრისხება მოჰყვა. ეს ფრაგმენტი კი იმიტომ გაგახსენეთ, რომ ის წარმოდგენას შეგიქმნით დოლიძის ხედვებზე.

### რატომ არ ეტანებიან ფეხბურთს?

რუსთავის **"მეტალურგის"** დირექტორობის პერიოდში, ზაზა დოლიძეს ეკუთვნოდა სახელმწიფო სახსრების მონიტორინგის იდეა, რომელიც კლუბებს ხარჯებს მაქსიმალურად შეუმცირებდა.

ის საფეხბურთო სამყაროს პრობლემებს აანალიზებდა:

**"ახლა ყველა კლუბს ფინანსური პრობლემები აწუხებს. ვცდილობთ, ბიუჯეტი გავზარდოთ, მაგრამ გლობალურად, ქართული ფეხბურთისადმი ინტერესი კატასტროფულად დაეცა.**

**ეს მოსალოდნელიც იყო – ფეხბურთში ბიზნესმა ფული რომ ჩადოს, საამისოდ აუცილებელია რენტაბელური იყოს საფეხბურთო ინდუსტრია, გაიყიდოს სატელევიზიო უფლებები, კლუბის სიმბოლიკა, სარეკლამო უფლებები, ხალხი სტადიონზე დადიოდეს, რაც საფეხბურთო მატჩებზე რეკლამას ეფექტურს გახდის...**

**სამწუხაროდ, არც ხალხი დადის თამაშებზე და სატელევიზიო უფლებებიც, კლუბის სიმბოლიკაც და სარეკლამო უფლებებიც არ იყიდება, რადგან ჩვენი ჩემპიონატი, კლუბები და მოთამაშეები ბიზნესს ვერ აინტერესებენ. კლუბების მენეჯმენტშიც სერიოზული პრობლემებია – ბიზნესს საინტერესო პროექტებს ვერ ვთავაზობთ, ჩვენი ჩემპიონატი კი ადამიანების ცხოვრების საჭირო და აუცილებელ დანამატად ვერ გადაიქცა. მყიდველისთვის საინტერესო პროდუქტის შესაქმნელად პირობებიც არ არის.**

**ამიტომ, ჩემი აზრით, ახალი ქართული ფეხბურთის მშენებლობა უნდა დავიწყოთ. ასევე, ვითარებას საგრძნობლად შეცვლიდა საკანონმდებლო ცვლილებები და ადეკვატური გადასახადები. ძალიან ბევრი ბიზნესმენი ვიცი, რომელიც ფეხბურთში თანხის დასაბანდებლად სწორედ ამას ელოდება.**

**თუ მათ არ ექნებათ ეკონომიკური ეფექტი და გადასახადები არ შემცირდება, ტყუილად ფულს არავინ გადაყრის, რადგან ამ სახეობაში ბიზნესმენები კაპიტალს მოგებიდან აბანდებენ. მაგრამ რაც უნდა დიდი სიყვარული ჰქონდეთ, სულ წაგებაზე მუშაობა არავის ახარებს".**

### სახსრების ეკონომია და ჩემპიონთა კლუბი

დოლიძე სახსრების დაზოგვის ასეთ გზას გვთავაზობდა:

**"რამდენიმე კლუბს უკვე ველაპარაკე, რომ არაკომერციული სუბიექტი – "ქართული ფეხბურთის განვითარების სააგენტო" დავაფუძნოთ. ამ სააგენტოს ძირითადი მისია სახსრების ეფექტურად ათვისება და ქართული ფეხბურთის განვითარება იქნება, ხოლო ერთ-ერთი მთავარი ამოცანა – ლოჯისტიკური ფუნქციის ერთად შესრულება, რასაც კლუბები ცალ-ცალკე არაეფექტურად ვახორციელებთ.**

**სააგენტოს მეშვეობით, შესაძლებელი გახდება კლუბებისთვის საჭირო შესყიდვების ცენტრალიზაცია. ეს საშუალებას მოგვცემს, სახსრები რაციონალურად ვხარჯოთ. საამისოდ კი სხვადასხვა ტენდერი უნდა ჩავატაროთ, რათა ოპტიმალურ ფასებში შევძლოთ სატრანსპორტო საშუალებების იჯარა, საწვავის, ეკიპირების, სპორტული და სტადიონის ინვენტარის (ბურთები, ტრენაჟორები, ტაბლო, აუდიოსისტემები...) შესყიდვა და სამედიცინო მომსახურების მიღება.**

**გარდა ამისა, გამოიკვეთება, რომელი კომპანია გვთავაზობს შეკრების უკეთეს პირობას – ავიაბილეთებს, სასტუმროს, მატჩების ორგანიზებას... აქაც და სტუმრადაც გუნდს სასტუმროში დაბინავება სჭირდება. ტენდერი გაარკვევს, რომელ მათგანს აქვს უკეთესი პირობები...**

**საბითუმო გაყიდვებით კი თავად კომპანიები დაინტერესდებიან. კლუბები შეღავათს მიიღებენ და სახსრების ეკონომიას მოახერხებენ. ეს ბიზნესის კანონია".**

ერთიანი ფონდის ხელმძღვანელს ეკუთვნოდა ძალიან საინტერესოა იდეა, რომელიც განუხორციელებელი დარჩა:

**"სააგენტომ უნდა დააფუძნოს საქართველოს ჩემპიონთა კლუბი, რომელშიც გაერთიანდებიან სხვადასხვა დროის ოქროსმედალოსნები – თბილისის "დინამო", ქუთაისის "ტორპედო", რუსთავის "მეტალურგი", "ზესტაფონი", "ვიტ ჯორჯია" და ბოლნისის "სიონი"** (მაშინ გორის **"დილა"** ჩემპიონი ჯერ არ იყო – რედ).

**ეს ტურნირი საფეხბურთო ცხოვრებასაც გამოაცოცხლებს და გუნდებს ზამთარში უკეთ მომზადებაშიც დაეხმარება. რაც მთავარია, მაყურებელს მისი ფორმატი დააინტერესებს: ორ ჯგუფად დაყოფილი 3-3 გუნდი ერთმანეთში 45-წუთიან ტაიმებს ითამაშებს, ხოლო ჯგუფის გამარჯვებულები ფინალში სტანდარტულ 90-წუთიან მატჩს ჩაატარებენ.**

**ტურნირი უნდა გაიმართოს სფფ-სთან შეთანხმებით და მიეცეს ტრადიციული ხასიათი. მარკეტინგულ მხარეს რაც შეეხება, მას უნდა ჰქონდეს კომერციული დატვირთვა, რათა მოვიზიდოთ სპონსორები და მონაწილეთათვის საპრიზო ფონდი გაკეთდეს".**

მოკლედ, დოლიძეს აშკარად პროგრესული იდეები აქვს და ეგებ მოხერხდეს კიდეც ფეხბურთის განვითარების ერთიანი ფონდის, სწორი მენეჯმენტის საშუალებით ამ საშური იდეების რეალიზება.


# გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II,III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.




ჩვენს მეგობარსა და თანამებრძოლს, ჭეშმარიტ ქართველ ინტელიგენტს, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატს, მზრუნველ პედაგოგსა და მეოჯახეს თენგიზ კუბლაშვილს შეუსრულდა დაბადებიდან 75 წელი.

გილოცავთ ამ საიუბილეო თარიღს, ჩვენო ძმავ და მეგობარო. შენნაირი მაღალი სულიერებისა და პატრიოტული სულისკვეთების მქონე ადამიანები ქვეყნის ოქროს ფონდს წარმოადგენენ. ამიტომ გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, ძმაო თენგიზ!

სახალხო მოძრაობა "სამეგრელო", გაზეთი "ილორი", მეგობრების ჯგუფი

## იუმორი

– მარო, მიდი, ერთი, იმღერე.

– კი მარა, რაღა დროს სიმღერაა, შე კაი ადამიანო, სტუმრები ხომ უკვე შინ წასვლას აპირებენ.

– რომ, აპირებენ და აღარ მიდიან, იმიტომ იმღერე. დააჩქარებენ.

* * *

– რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ, როგორ მიყვარხარ, როგორ მიყვარხარ... მაგრამ, თუ გავიგე, რომ მღალატობ...

– ნუ გეშინია, ვერ გაიგებ...

* * *

– ჩემი ძაღლი სახლში რომ მოდის, ზარს თვითონ რეკავს ხოლმე.

– შენი ძაღლი ისეთი მამაძაღლია, რომ თურმე სხვის კარებზეც რეკავს ზარს.

– შენ რა იცი?

– ჩემმა ძაღლმა მითხრა.

* * *

– მიტო, სად იყავი დილას, ჯო, გეძახდი და ვერ გაგაგონე!

– რას გამაგონებდი, საუზმეზე "სუხარსა" ვჭამდი...


### სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში




დომენტი ბაგნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის კოორდინატებია:* თელავი, სოფელი შალაური, ბაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 593-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.




მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 ხარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge